

# სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2022, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, №9

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2022, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქატიკვან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპული

1. **სასამართლო შეტყობინება და დაბარება**  
სასამართლო უწყების ჩაბარება ..... 4
2. **მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა**  
არასათანადო მოპასუხის შეცვლა ..... 12
3. **საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით**  
აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა ..... 31
4. **სარჩელის უზრუნველყოფა**  
სარჩელის უზრუნველყოფის  
ერთი სახის შეცვლა მეორეთი ..... 48; 54; 59  
სასამართლოს გადანყვეტილებით  
უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ..... 72
5. **დაუსწრებელი გადანყვეტილება**  
დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმების საფუძვლები ..... 77; 89
6. **სასამართლო გადანყვეტილების კანონიერი ძალა**  
გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება ..... 124  
დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადანყვეტილებები ..... 131  
სასამართლო გადანყვეტილების  
აღსრულების უზრუნველყოფა ..... 145
7. **სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება**  
გადანყვეტილების გაუქმება და  
საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად ..... 154  
მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები ..... 163

# 1. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

## სასამართლო უწყების ჩაბარება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-939-2020

30 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ნ. თ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ფ-ის, თ. ფ-ის, მ. ფ-ისა და ვ. ო-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „პირველი მოპასუხე“ ან „კასატორი“, „მეორე მოპასუხე“, „მესამე მოპასუხე“, „მეოთხე მოპასუხე“, ერთად მოხსენიებული, როგორც „მოპასუხეები“) მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

#### 2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება უძრავი ქონება, მდებარე ქ. გორში, ... (ს/კ №...) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სადავო უძრავი ნივთი“).

2.2. მოპასუხეები ფლობენ სადავო უძრავ ნივთს და მოსარჩელეს არ აძლევენ შესაძლებლობას ისარგებლოს კუთვნილი ქონებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

3. გორის რაიონული სასამართლოს 31.10.2018წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა სადავო უძრავი ნივთი და თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს შემდეგ გარემოებათა გამო:

3.1. მოპასუხეებს გაეგზავნათ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები და განესაზღვრათ ათდღიანი საპროცესო ვა-

და შესაგებლის წარსადგენად.

3.2. პირველი მოპასუხისთვის განკუთვნილი სარჩელი და თანდართული დოკუმენტები ადრესატის მეუღლეს – მ. ო-ს ჩაჰბარდა 24.03.2018წ.; მეოთხე მოპასუხის სახელზე გზავნილი ჩაჰბარდა მის მამას, მ. ო-ს 24.04.2018წ.; რაც შეეხება მეორე და მესამე მოპასუხებს, მათთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება განხორციელდა საჯარო შეტყობინების გზით, კერძოდ, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ 27.07.2018წ. განჩინება საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე განთავსდა 03.08.2018წ.

3.3. მოპასუხეებს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებელი არ წარუდგენიათ და არც მისი წარუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებიათ. პირველი მოპასუხის მიერ შესაგებელი წარმოდგენილი იქნა 03.05.2018წ., ვადის დარღვევით, რის გამოც იგი დარჩა განუხილველად.

3.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგენილი სსსკ) 232<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

### **3.5. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

3.5.1. სადავო უძრავი ნივთი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე.

3.5.2. მას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ მოპასუხეები, რაც მესაკუთრის ნებას ეწინააღმდეგება.

3.6. სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგენილი სსკ) 170-ე, 172-ე მუხლების საფუძველზე.

3.7. არ არსებობს სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები და მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრეს პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხებმა. გორის რაიონული სასამართლოს 21.10.2019წ. განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 31.10.2018წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების თაობაზე სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ პირველმა მოპასუხემ.

**სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:**

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.06.2020წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე განჩინება მისი უცვლელად დატოვების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

6.1. პირველ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაჰპარდა დადგენილი წესით. კერძოდ, მისთვის განკუთვნილი სარჩელი და თანდართული დოკუმენტები 24.03.2018წ. ჩაჰპარდა ადრესატის ოჯახის წევრს, მეუღლეს – მ. ო-ს, რაც მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

6.2. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე ამავე კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლზე და განმარტა, რომ სასამართლო ვალდებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას შეამოწმოს არსებობს თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. კერძოდ, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სასამართლო გზავნილი კანონით დადგენილი წესით ჩაჰპარდა მოპასუხეს და განემარტა შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგები. სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ მის მიერ დადგენილ ვადაში მოპასუხე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს შესაგებელს. სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად რამდენად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

6.3. პირველი მოპასუხისთვის გაგზავნილ სარჩელისა და თანდართული მასალების ასლებს ერთვოდა სასამართლოს გზავნილიც, სადაც დეტალურად იყო მითითებული შესაგებლის წარდგენის ვადისა და მისი არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შედეგების თაობაზე.

6.4. პირველმა მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა საპროცესო ვადის დარღვევით, საპატიო მიზეზების მითითების გარეშე. მისი შედავება ვერ გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველი.

**საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და საკვარაუდო დარღვევებზე:**

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე პირველმა მო-

**პასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:**

7.1. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი.

7.2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს აცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე. პირველმა მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 03.05.2018წ. არ არსებობდა შესაგებლის წარუდგენლობის საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამართლიანობის პრინციპით.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 13.11.2020წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 24.03.2021წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

10. საკასაციო საჩივრის ობიექტია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების თაობაზე განჩინება.

11. სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წა-

რუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12. სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

13. სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საკმარისია იმ პროცესუალური შემადგენლობის ნიშნების არსებობა, როგორცაა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის მოპასუხისათვის სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარება და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, არასაპატიო მიზეზით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, ხოლო, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის კი, სახეზე უნდა იყოს ერთი დამატებითი პირობაც, როგორცაა სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 17.03.2016წ. განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016).

14. სსსკ-ის 241-ე მუხლით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

15. პირველი მოპასუხის როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი ისაა, რომ მას სასამართლოს გზავნილი არ ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედვლებაზე არაა დამოკიდებული, შესაბამისად, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი მონესრიგების ფარგლებში, მხარისათვის სასამართლო უწყების/გზავნილის ჩაბარების წესის შემოწმება სასამართლოს



ვალდებულებაა (შდრ.სუსგ. №ას-1188-1148-2016, 24.07.2017წ.).

16. სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდგევე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

17. სადავო არ არის, რომ მოპასუხეებს შესაგებლის წარსაადგენად განესაზღვრათ ათდღიანი საპროცესო ვადა და 17.04.2018წ. გაეგზავნათ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები. პირველი და მეოთხე მოპასუხისთვის განკუთვნილი გზავნილები ჩაჰბარდა მათ ოჯახის წევრს, პირველი მოპასუხის მეუღლეს და მეოთხე მოპასუხის მამას – მ. ო-ს. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეებს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნათ ერთსა და იმავე დღეს, 17.04.2018წ., საქმეში წარმოდგენილ გზავნილებზე ჩაბარების თარიღად პირველი მოპასუხის შემთხვევაში მითითებულია 24.03.2018წ., ხოლო მეოთხე მოპასუხის შემთხვევაში – 24.04.2018წ.

18. პალატა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ როგორც რაიონულმა, ისე სააპელაციო სასამართლომ პირველი მოპასუხისთვის შესაგებლის წარდგენის ვადის ათვლის წერტილად ისე მიიჩნია 24.03.2018წ., რომ არ შეაფასა გზავნილის გაგზავნის (17.04.2018წ.) და ჩაბარების (24.03.2018წ.) თარიღების ურთიერთმართება, ასევე ოჯახის იმავე სრულწლოვანი წევრის მიერ მეოთხე მოპასუხის სახელზე გზავნილის ჩაბარების თარიღი (24.04.2018წ.). სასამართლომ გზავნილის გაგზავნა-მიღების დამა-

დასტურებული ზემოაღნიშნული მტკიცებულებები უნდა შეაფასოს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც უნდა გამოიტანოს დასკვნა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის მოპასუხისათვის ჩაბარების თარიღის თაობაზე, რისი სწორად განსაზღვრაც გადამწყვეტია შესაგებლის წარდგენის ვადის მართებულად ათვისებისთვის.

19. სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო სსსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

20. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით უნდა დაადგინოს პირველი მოპასუხისთვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების თარიღი. შესაბამისად, სსსკ-ის მე-60 და 61-ე მუხლების საფუძველზე უნდა შეფასდეს, პირველი მოპასუხის მიერ 03.05.2018წ. რაიონულ სასამართლოში შესაგებლის შეტანისას, იყო თუ არა დაცული შესაგებლის წარდგენისთვის სასამართლოს მიერ დადგენილი ათდღიანი ვადა და რამდენად არსებობდა შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით დაუსწრებელი გადანყვეტილების მიზეზების ან/და მისი უცვლელად დატოვების წინაპირობა.

21. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო პალატა საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამარ-

თლოს, რომელმაც წინამდებარე განჩინებაში ასახული დასაბუთების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, რამდენად არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.06.2020წ. განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. მხარეთა საპროცესო უფლებანარიანობა და ქმედუნარიანობა

### არასათანადო მოპასუხის შეცვლა

#### ბანჩინება საქართველოს სასახელით

№სს-124-116-2017

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შპს „რ.ტ.პ-ის“ (შემ-  
დეგში: მოსარჩელე, საწარმო, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი მ.  
ც-ის (შემდეგში: მოპასუხე ან წარმომადგენელი) მიმართ თანხის,  
2015 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული დავალიანე-  
ბის, 2214 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა; მოსარ-  
ჩელეს ასევე უარი ეთქვა მოპასუხის მიმართ წაყენებულ შემდეგ  
მოთხოვნებზე: 2015 წლის 8 ოქტომბრიდან დარიცხული დავალია-  
ნების გადახდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე  
ყოველდღიურად 3 ლარის ოდენობით, რაც ავტომანქანის ყოველ-  
დღიური შენახვის საზღაურია და, ზიანის ანაზღაურების სახით,  
ყოველდღიურად 3 ლარის დაკისრება მოპასუხისათვის გადაწყვე-  
ტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მოსარჩელის ტერიტორიის  
გამოთავისუფლებამდე, ავტოსატრანსპორტო საშუალებისაგან –  
„Citroen“, ვინ კოდი: VF7SO..., ვტტ: 50...

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, მოცემულ  
საქმეში მ. ჩ-ძე არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.

3. 2013 წლის 10 ოქტომბრის მიბარების ხელშეკრულებას ხელს  
ანერენ, ერთი მხრივ, მოსარჩელე საწარმოს (იხ. წინამდებარე გან-  
ჩინების პირველი პუნქტი) წარმომადგენელი დ. ჯ-ი და, მეორე  
მხრივ, მ. ც-ძე. თუმცა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ხელ-  
შეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე საწარმო, რო-  
გორც შემსრულებელი და ფიზიკური პირი – ნ. კ-ძე (შემდეგში: მარ-

ნმუნებელი, ავტომანქანის მესაკუთრე), როგორც დამკვეთი, რომელსაც შემოჰყავს ავტომანქანა.

4. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულება მოგვიანებით იქნა ხელმოწერილი, მას შემდეგ, რაც მარწმუნებელმა მას 2014 წლის 3 ივლისს მისცა მინდობილობა, ამავე დროს ხელი მოაწერა დაზიანების აქტსაც. ავტომანქანა მოპასუხედ დასახელებულ პირს არ შემოუყვანია საქართველოში და იგი არც ავტომანქანის მესაკუთრეს წარმოადგენს. მოპასუხედ დასახელებულმა პირმა ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა როგორც მარწმუნებლის წარმომადგენელმა, ამ უკანასკნელისავე თხოვნით.

5. მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე წარდგენილი საწარმოში გამოცხადების შესახებ ცნობით ირკვევა, რომ გამოცხადების დრო არის 2013 წლის 10 ოქტომბერი, ხოლო ავტომანქანის შემომყვანი არის ნ. კ-ძე. ამ დოკუმენტში მითითებულია ნ. კ-ძის პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი, ასევე ავტომანქანის მახასიათებლები.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მითითებული ნორმა ადგენს მხარის ვალდებულებას, საჭირო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც მისი მოთხოვნები ეფუძნება. კანონის აღნიშნული დანაწესი უთითებს იმ მტკიცებულებების რიგზე, რომლებიც მხარემ თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად შეიძლება წარადგინოს, თუმცა გარკვეული ფაქტების დადასტურება შესაძლებელია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ კონკრეტული, სათანადო მტკიცებულებებით. სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობის შესახებ.

7. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასკვნა რომ წარმომადგენელი არ წარ-

მოადგენს ხელშეკრულების მხარეს, შესაბამისად, სათანადო მოპასუხეს აღნიშნულ დავაში, სათანადო მოსარჩელეა მარნმუნებელი, რომელიც სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით გარდაცვლილი არის, შესაბამისად, მისი უფლებამონაცვლეობის საკითხი უნდა გადაწყდეს.

8. სსსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

9. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, წარმომადგენელი არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, ამასთან, მოსარჩელე საწარმომ უარი განაცხადა მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, რის გამოც, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

#### **10. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები**

10.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საწარმომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10.2. აპელანტის განმარტებით, საწარმოს ტერიტორიაზე მოპასუხედ დასახელებულმა პირმა საკუთარი სურვილით შეიყვანა ავტომობილი და გააფორმა „პარკირების მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება – მიბარების ხელშეკრულება. შესაბამისად, ხელშეკრულებაზე ხელის მონერით პირადად იკისრა ვალდებულება მოსარჩელის წინაშე;

10.3. აპელანტის მითითებით პირველი ინსტანციის სასამართლომ მთავარ სხდომაზე დააკმაყოფილა შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, კერძოდ, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გამოითხოვა მინდობილობა, რითაც დაარღვია სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ იქნა დაყენებული აღნიშნული შუამდგომლობა საქმის მოსამზადებელ ეტაპზე. ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებამ კი გავლენა იქონია საქმის შედეგზე, რადგან სასამართლომ გადაწყვეტილებაში სწორედ ამ მინდობილობაზე მიუთითა და მასზე მითითებით დააკმაყოფილა შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე. ამასთან, სასამართლომ

არ შეაფასა მინდობილობის შინაარსი, თუ რა უფლებამოსილება მიენიჭა მ. ჩ-ძეს, აღნიშნული უფლებამოსილება ითვალისწინებდა თუ არა მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას; არც ის შეაფასა სასამართლომ, თუ რითი აიხსნება მინდობილობა-სა და მოსარჩელესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დროის სხვაობა, არის თუ არა არსებულ მინდობილობაში გარიგების მოწონების პირობები, რადგან წარმოდგენილი მინდობილობით დასტურდება მხოლოდ ნებართვა გარიგების გაფორმებაზე და მხოლოდ შეზღუდული/სპეციალური სახით. აღნიშნული განჩინებით სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. სასამართლომ არ გასცა პასუხი მნიშვნელოვან კითხვებს იმის შესახებ, თუ ვინ შევიდა სამართლებრივ ურთიერთობაში მოსარჩელესთან, თუ ნ. კ-ძე შევიდა, სასამართლოს უნდა მიეთითებინა, თუ რის საფუძველზე მოხდა გარიგების მოწონება, რადგან ხელშეკრულების გაფორმებასა და მინდობილობის გაცემას შორის სხვაობა შეადგენს 8 თვეს, ხოლო ასეთ შემთხვევაში, მიმდობი ან იწონებს გარიგებას ან/და სამართლებრივი შედეგები წარმოიშვება წარმოდგენილი პირისათვის;

10.4. სასამართლომ არ შეაფასა აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულება, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიწერილი წერილი, სადაც მოპასუხე აღიარებს ვალდებულების არსებობას და ადასტურებს ამ ვალდებულების შესრულების მზაობას. სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ თავისი მოსაზრებები, რომელსაც ემყარება მისი შინაგანი რწმენა, უნდა ასახოს გადაწყვეტილებაში, ამასთან ერთად სსსკ-ის 249-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები.

## **11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

11.1. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა შეფასდეს არსებობს თუ არა სსსკ-ის 85-ე მუხლის კვალიფიკაციის საფუძველი.

11.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს მოთხოვნა თანხის დაკისრების თაობაზე ემყარება 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებულ მიბარების ხელშეკრულებას. საქმის მასალებში წარმოდგენილია 2013 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულება

საბაჟო კონტროლის ზონაში პარკირების მომსახურების წესის შე-  
სახებ, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, აპელანტი საწარმოს (შემ-  
სრულებელი) დირექტორის მინდობილ პირს დ. ჯ-სა და ფიზიკურ  
პირს – ნ. კ-ძეს (მარნმუნებელი; დამკვეთი) შორის გაფორმდა ხელ-  
შეკრულება, რომლის თანახმად, შემსრულებელმა აიღო ვალდე-  
ბულება, უზრუნველყო დამკვეთის სატრანსპორტო საშუალების  
წვდომა შემსრულებლის ტერიტორიაზე, ასევე უზრუნველყო ავ-  
ტოტრანსპორტის განლაგება დამკვეთის ღია მოედანზე. ავტომან-  
ქანის მონაცემებია: ვინ კოდი VF7SOK..., NT... მითითებულ ხელ-  
შეკრულებას ხელს აწერს მოპასუხედ დასახელებული მ. ც-ძე; საქ-  
მეში ასევე წარმოდგენილია საწარმოს ე.წ. გამოცხადების შესახებ  
აქტი, რომლის თანახმად გამოცხადების დრო არის 2013 წლის 10  
ოქტომბერი, ავტომანქანის შემომყვანი (მფლობელი) – ნ. კ-ძე.  
ალიშნულ დოკუმენტში მითითებულია ნ. კ-ძის პირადი ნომერი, ტე-  
ლეფონის ნომერი, ასევე ავტომანქანის მახასიათებლები. 2013 წლის  
10 ოქტომბრით დათარიღებულ დაზიანების №1-325 აქტს (ა/სატ-  
რანსპორტო საშუალების ნომერი TR-..., ა/მონობის ნომერი 5...),  
მფლობელის სახით, ხელს ასევე მოპასუხედ დასახელებული წარ-  
მომადგენელი აწერს.

11.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრე-  
ტენზია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სსსკ-ის 215-ე  
მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, ასევე დაუ-  
საბუთებლად მიიჩნია აპელანტის მტკიცება შეჯიბრებითობის პრინ-  
ციპის დარღვევის შესახებ, რადგან წარმოდგენილი სააპელაციო  
საჩივარი ამის შესახებ, რაიმე დასაბუთებულ პრეტენზიას არ შეი-  
ცავს.

11.5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით, მოპასუხის წარ-  
მომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საქართველოს ნო-  
ტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილ იქნა ნ. კ-ძესა (პ/ნ ...) და მ. ჩ-  
ძეს (პ/ნ ...) შორის გაფორმებული სანოტარო აქტი (რწმუნებულე-  
ბა/მინდობილობა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

11.5.1. სსსკ-ის 215-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარე-  
თა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებე-  
ბი ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ  
სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ  
საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარ-  
მოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზე-  
ბით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი  
წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით  
ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადე-



ბების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.

11.5.2. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სწორად დადგენის მიზნით, საქმის ზეპირი განხილვისას, სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოიკვეთა, მტკიცებულების გამოთხოვის აუცილებლობა, რაც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სწორად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (18.02.2016წ. სასამართლო სხდომის ოქმი).

11.6. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების სსსკ-ის 377-ე მუხლის ფარგლებში შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ არ არსებობს გადაწყვეტილების წინმსწრები, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განჩინების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული განჩინება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონიერია და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს; კერძოდ, სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 103-ე, 136-ე და 215-ე მუხლებზე დაყრდნობით იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინების საფუძველზე ნოტარიუსთა პალატიდან გამოთხოვილი დოკუმენტი (მინდობილობა) მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით ამ საპროცესო მოქმედებით და შესაბამისი მტკიცებულების გამოთხოვით მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ დარღვეულა;

11.7. წარმოდგენილი მინდობილობით, რომელიც გაცემულია 2014 წლის 3 ივლისს, ნ. კ-ქემ (მარწმუნებელმა) მ. ც-ქეს (რწმუნებულს; მოპასუხედ დასახელებულ პირს) მინიჭა მინდობილობა, რათა ამ უკანასკნელმა საბაჟო ტერმინალიდან გამოიყვანოს და განაბაჟოს მარწმუნებლის კუთვნილი ავტომანქანა „Citroen“, საიდენტიფიკაციო კოდი: VF7...; აიღოს ავტომანქანის სარეგისტრაციო მონაწილეობა. მართოს და განკარგოს აღნიშნული ავტომანქანა, რისთვისაც რწმუნებულს მიენიჭა უფლებამოსილება, იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სხვადასხვა დაწესებულებაში; ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთ მითითებული დავალების შესრულებასთან.

11.8. სსკ-ის 103-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლე-

ბამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმომადგენელ პირს. სსკ-ის 107-ე მუხლის მიხედვით, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

11.9. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ წარმომადგენელი (განსახილველ დავაში მოპასუხედ დასახელებული პირი) არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს. საქმის მასალების შესწავლის შედეგად სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს მოპასუხის პოზიციას იმის შესახებ, რომ განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობაში, წარმომადგენელი წარმოადგენდა ავტომობილის მესაკუთრეს – მარწმუნებელს, საქმის მასალებში წარმომადგენელი მინდობილობის საფუძველზე.

11.10. დადგენილია, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში პარკირების მომსახურების წესის შესახებ 2013 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულებას ხელს აწერს მოპასუხე წარმომადგენელი, თუმცა ხელშეკრულების თანახმად, შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მოსარჩელე საწარმოს (შემსრულებელი) დირექტორის მინდობილი პირი დ. ჯ-ი და, მეორე მხრივ, ავტომობილის მფლობელი (მარწმუნებელი; დამკვეთი). 2013 წლის 10 ოქტომბერს შედგენილი დაზიანების №1-325 აქტს წარმომადგენელი ხელს აწერს, როგორც ა/სატრანსპორტო საშუალების მფლობელი. ასევე, დადგენილია, რომ 2014 წლის 3 ივლისის, მინდობილობით წარმომადგენელს მარწმუნებლისაგან მინიჭებული ჰქონდა საბაჟო ტერმინალიდან მისი კუთვნილი ავტომანქანის (CITROEN, საიდენტიფიკაციო NVF7SO...) გამოყვანისა და განბაჟების უფლება; მინდობილობის თანახმად, წარმომადგენელს მიენიჭა უფლებამოსილება მართოს და განკარგოს აღნიშნული ავტომანქანა და იყოს მარწმუნებ-

ლის წარმომადგენელი სხვადასხვა დანესებულებებში. ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთ მითითებული დავალების შესრულებასთან;

11.11. საქმეში წარმოდგენილი ზემოთ მითითებული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხედ დასახელებული წარმომადგენელი არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, რის გამოც იგი არასათანადო მოპასუხედ მართებულად იქნა მიჩნეული და ვინაიდან, მოსარჩელემ უარი განაცხადა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, შესაბამისად, მოსარჩელეს სწორად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

11.12. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო სსსკ-ის მე-4 მუხლთან ერთობლივად განხილვის შედეგად, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მხარეს, რომელმაც სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, აწვეს როგორც ამ მოთხოვნის საფუძველად არსებული ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს – საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი. აპელანტი, მართალია მიუთითებს, რომ წარმომადგენელი თვითონვე წარმომადგენდა სადავო გარიგების მხარეს, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია. აპელანტის შეფასებით, ვალდებულების არსებობას ადასტურებს ასევე, მოპასუხის მხრიდან ამ ვალდებულების შესრულების მზაობა, რაც დაფიქსირებულია მოსარჩელე საწარმოს მიერ მოპასუხედ დასახელებული პირისადმი 26.06.2015წ. გაგზავნილ წერილში. სასამართლოს შეფასებით, მითითებულ წერილში წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული პოზიცია განხილულ უნდა იქნეს 03.07.2014წ. მინდობილობის საფუძველზე, როგორც, მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის მიწიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმომადგენლის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რა დროსაც წარმომადგენელი მოქმედებდა მარწმუნებლის სახელით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული წერილი ვერ გახდება, 2013 წლის 10 ოქტომბრის პარკი-

რების მომსახურების წესის შესახებ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავალიანებაზე, წარმომადგენლის პასუხისმგებელ პირად მიჩნევის საფუძველი.

## **12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

12.1. მოსარჩელე საწარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

12.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საწარმოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საწარმოს საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვს წარმოდგენილი.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par.

81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

15. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამონმებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ საქმეზე გადანყვეტილების მისაღებად არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

16. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა მის მიერ საკვლევ ძირითად გარემოებებზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხედ დასახელებული პირი არასათანადო მხარედ იქნა მიჩნეული მოცემულ დავაში; საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან მტკიცებულების – მინდობილობის გამოთხოვის შესახებ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ დარღვეულა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი; იმსჯელა წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპასუხედ დასახელებული პირის წერილზე მოსარჩელე სანარმოს წერილის პასუხად, რაც მარწმუნებლის სახელით მითითებულ პოზიციად შეაფასა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სანარმომ მოპასუხედ დასახელებული პირისაგან მოითხოვა 2013 წლის 10 ოქტომბრის პარკირების მომსახურების წესის შესახებ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადახდა, რაც არ დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) და გადანყვეტილება უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ.

17. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს,

ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

18. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

19. მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე

პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

21. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულება (იხ. ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

22. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

23. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

24. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

25. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პრეტენზია საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 18 თებერვლის განჩინების საფუძველზე საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან მტკიცებულების – მინდობილობის გამოთხოვის შესახებ არ არის გაზიარებული, რადგან მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები, მათ შორის საბაჟო კონტროლის ზონაში პარკირების მომსახურების წესის შესახებ 2013 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულების კონტრაჰენტთა გარკვევის მიზნით, მართებულად დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხედ დასახელებული პირის შუამდგომლობა, რომელიც განსახილველი დავისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, დასაშვები და განკუთვნილი მტკიცებულებაა. საგულისხმოა, რომ სარჩელის პასუხად წარდგენილ წერილობით შესაგებელში მოპასუხემ შედაგება განახორციელა სწორედ იმ კუთხით, რომ ის არ იყო სათანადო მოპასუხე, ავტომობილის მესაკუთრის წარმომადგენელი იყო, მინდობილობის საფუძველზე მოქმედებდა და მისი გადაუმონმებელი ინფორმაციით უკვე გარდაცვლილია ავტომობილის მესაკუთრე (იხ. შესაგებელი).

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების სა-



განს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“. განსახილველ შემთხვევაში სარჩელში მოპასუხედ დასახელებულმა პირმა არსებითი შედაგება სწორედ იმ თვალსაზრისით განახორციელა, რომ იგი არ იყო სათანადო მოპასუხე.

27. საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებაში დასაბუთებულია მხარის მიერ მთავარ სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან გამოსათხოვ მტკიცებულებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოსაკვლევა და აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილება არ დაარღვევდა მხარეთა უფლებებს, რაც სავსებით გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ (იხ. წინამდებარე განჩინების 11.6 ქვეპუნტი). საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვის მიზანი იყო მხარეთა (მოსარჩელისა და მოპასუხის) მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებისა და შინაარსის დადგენა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. იმ პირობებში, როდესაც შესაგებლის წარდგენის ეტაპზევე მოპასუხემ მისი საპროცესო სტატუსის სათანადოობა გახადა სადავო და მიუთითა, რომ მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტების კვალობაზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ, სადავო სამართალურთიერთობის იურიდიული კვალიფიკაციის მიზნებისათვის, მართებულად დააკმაყოფილა შუამდგომლობა მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ, რასაც გავლენა არ მოუხდენია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე და მათი საპროცესო უფლებების ხელყოფა არ გამოვლენილა.

28. დადგენილია, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში პარკირების

მომსახურების წესის შესახებ 2013 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულებას ხელს აწერს მოპასუხე წარმომადგენელი, თუმცა ხელშეკრულების თანახმად, შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მოსარჩელე საწარმოს (შემსრულებელი) დირექტორის მინდობილი პირი დ. ჯ-ი და, მეორე მხრივ, ავტომობილის მფლობელი (მარწმუნებელი; დამკვეთი). 2013 წლის 10 ოქტომბერს შედგენილი დაზიანების №1-325 აქტს წარმომადგენელი ხელს აწერს, როგორც ა/სატრანსპორტო საშუალების მფლობელი. ასევე, დადგენილია, რომ 2014 წლის 3 ივლისის, მინდობილობით წარმომადგენელს მარწმუნებლისაგან მინიჭებული ჰქონდა საბაჟო ტერმინალიდან მისი კუთვნილი ავტომანქანის (CITROEN, საიდენტიფიკაციო N VF7...) გამოყვანისა და განბაჟების უფლება; მინდობილობის თანახმად, წარმომადგენელს მიენიჭა უფლებამოსილება მართოს და განკარგოს აღნიშნული ავტომანქანა და იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სხვადასხვა დანესებულებაში. ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთ მითითებული დავალების შესრულებასთან; სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმომადგენლის (მოპასუხედ დასახელებული პირის) მიერ ქმედების განხორციელების მიუხედავად, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმომადგენელს. „ეს დათქმა წარმოადგენს წარმომადგენლობით დადებული გარიგების განსაზღვრის უმთავრეს კრიტერიუმს, რომლითაც გარიგების მონაწილე მხარის ვინაობა დგინდება. შედეგად, ასეთ შემთხვევაში სახეზეა სამი პირის (წარმოდგენილი, წარმომადგენელი და მეორე მხარე) მიერ გამოვლენილი ნება“ (იხ. სერგი ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, ჭანტურია (რედ.). 2017, მუხლი 104, ველი 2). წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულია წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე. გარიგებითი წარმომადგენლობის საფუძველს წარმოადგენს მინდობილობა, რომელშიც გამოიხატება ამა თუ იმ პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება. წარმომადგენლობის დროს, მართალია, სამართალურთიერთობაში მონაწილეობს წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობის სამართლებრივი შედეგები დგება უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ, სწორედ ამ უკანასკნელს წარმოეშობა უფლება-მოვალეობები. წარმომადგენლობის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ეს განპირობებულია იმით, რომ წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელითა და სხვისი ინტერესებისათვის. წარმომადგენლის გარი-

გება ეს ნების იმგვარი გამოვლენაა, რომლის შედეგადაც წარმოშობილი ურთიერთობების სუბიექტები ხდებიან წარმოდგენილი და მესამე პირი (შეად. სუსგ №ას-127-124-2011, 05.09.2012წ.).

29. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯობრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

30. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნ-

და გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – საჩრჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დაამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

32. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-

ვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

33. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (*Ruiz Torija v. Spain*, Application no. 18390/91; §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (*Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (*Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმი-

რებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

34. კასატორმა ვერ შეძლო დასაბუთებული საკასაციო შედავების წარდგენა, რაც მისი მტკიცებების გაზიარების შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს, მოცემულ შემთხვევაში, მხარისათვის უარყოფითი სამართლებრივი შედეგის დადგომა განპირობებული იმით, რომ მოსარჩელემ არასათანადო პირი დაასახელა მოპასუხედ, ხოლო მისი სათანადო მოპასუხით შეცვლაზე უარი განაცხადა. საქმის არსებითი განხილვის შედეგად უარყოფილია საკასაციო საჩივრის დასაბუთებლობა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რაც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

35. სსსკ-ის 55.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „რ.ტ.პ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით

#### ალიარაპიტი სარჩელის დასაშვებობა

##### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-287-273-2016

3 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრე-  
ბის ოქმების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ი. დ-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის“ (შემდგომ-  
ში – „მოპასუხე“, „ამხანაგობა“, „კასატორი“ ან „საკასაციო სა-  
ჩივრის ავტორი“), დ. ქ-ის, მ. მ-ისა და ნ. კ-ის მიმართ (შემდგომ-  
ში – „მოპასუხეები“, „მოპასუხე ამხანაგობის წევრები“, „კასა-  
ტორები“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორები“) და მოითხოვა:

1.1. ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6, №7 კრების ოქ-  
მების ბათილად ცნობა;

1.2. ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვრის №2 კრების ოქმის ბათი-  
ლად ცნობა;

**2. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:**

2.1. მოსარჩელე ცხოვრობს ქ. ბათუმში, ტ-ში მდებარე მრავალ-  
ბინიან სახლში. მრავალბინიან სახლში დაფუძნებულია ბმა „მ-ი“,  
რომელიც აერთიანებს ამხანაგობის 36 წევრს;

2.2. 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 კრების ოქმების სა-  
ფუძველზე ამხანაგობამ მოპასუხეებს ინდივიდუალურ საკუთრე-  
ბაში გადასცა სხვენები, თუმცა ამხანაგობის კრებებზე მოსარჩე-  
ლე არ იყო მიწვეული და, ამასთან, ეს ფართები მანამდე არავის  
ფაქტობრივ მფლობელობაში არ ყოფილა;

2.3. 2010 წლის 27 იანვარს შედგა ამხანაგობის კრება ბოლო სარ-  
თულზე მანსარდისა და დამატებითი სართულების დაშენების სა-  
კითხთან დაკავშირებით. მანსარდისა და დამატებითი სართულე-  
ბის დაშენება არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა სა-

ერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, შესაბამისად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას სჭირდება ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება. ამხანაგობის კრებაზე მოსარჩელემ და ამხანაგობის წევრმა – გ. გ-მ მხარი არ დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს, თუმცა, კრების ოქმში დაფიქსირდა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ამხანაგობის წევრთა 100%-ის თანხმობით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. გამომდინარე აქედან, ამხანაგობის კრების ოქმი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს, რის გამოც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი;

2.4. მოსარჩელემ მიუთითა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილობის იურიდიულ ინტერესზე და განმარტა, რომ გასაჩივრებული ოქმის საფუძველზე დაგეგმილი მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეიცვლება მისი, როგორც ამხანაგობის წევრის, წილი ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში, რასაც არსებითი გავლენა ექნება მისი, როგორც თანამესაკუთრის, უფლებებზე.

### **3. ამხანაგობამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:**

3.1. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლი, რომელიც ეხება ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების განვითარების პირობებს, რადგან მანსარდის ფართობი მობინადრეებს დარეგისტრირებული ჰქონდათ ინდივიდუალურ საკუთრებაში, ხოლო ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო წევრთა 2/3-ის თანხმობა;

3.2. ამასთან, სადავო ამხანაგობის კრების ოქმში მითითებული არ არის, რომ გადაწყვეტილება მიღებულია წევრთა 100%-ის თანხმობით, არამედ, კრების ოქმში აღნიშნულია, რომ ამხანაგობის კრებას ესწრებოდა მობინადრეთა 100%, ხოლო 2 წევრი იყო წინააღმდეგი;

3.3. მოპასუხემ დამატებით მიუთითა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა დავა მოპასუხესა და ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს შორის ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვრის №2 კრების ოქმის ბათილობის შესახებ სწორედ იმ საფუძველით, რომ კრებაზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული წევრთა 100%-ის თანხმობით. სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ამხანაგობის წევრებს



სხვენის ფართობი დარეგისტრირებული ჰქონდათ ინდივიდუალურ საკუთრებაში და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის ნორმები.

4. მოპასუხე ამხანაგობის წევრებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადარბაზოში განცხადების გამოკვრის გზით მოსარჩელე ინფორმირებული იყო 2009 წლის 3 ივნისის კრების თაობაზე.

5. ამხანაგობის თავმჯდომარემ რ. ი-მა სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელი არ ცნო, მაგრამ განმარტა, რომ ამხანაგობას 2009 წელს ამხანაგობის წევრებზე სხვენის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით კრება არ ჩაუტარებია. მომდევნო სხდომაზე მოპასუხე წარმოდგენილი იყო სხვა თავმჯდომარის მიერ (თავმჯდომარეობის საკითხი მხარეებს შორის გახდა სადავო. თუმცა, რ. ი-ი სხდომაზე აღარ გამოცხადებულა. სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ახალი თავმჯდომარე – ბ. თ-ე), რომელმაც განმარტა, რომ სადარბაზოებში გამოკრული იყო განცხადება კრების შესახებ დღის წესრიგთან ერთად, შესაბამისად, მოსარჩელე 2009 წლის 3 ივნისის კრებაზე მოწვეული იყო კანონით დადგენილი წესით, თუმცა არ გამოცხადებულა, რაც არ ინვესს სხვა წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. გარდა ამისა, მან განმარტა, რომ კრებამ სხვენის ფართები გადასცა იმ პირებს, ვისაც დაკავებული ჰქონდათ. მოსარჩელეს სხვენთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, შესაბამისად, ის ვერ მიიღებდა სხვენს საკუთრებაში. მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნას არ აქვს იურიდიული ინტერესი, რადგან ოქმების გაუქმების შემთხვევაშიც კი, იგი სარგებელს ვერ მიიღებს.

6. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 20 ნოემბრის, 2014 წლის 26 დეკემბრის, 2015 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინებებით საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარეზე ჩააბა ზ. ბ-ე, ე. ა-ე, ლ. ზ-ე, შ. ბ-ე, დ. ჟ-ი, ა. კ-ი, ხოლო მოპასუხის მხარეზე – ბ. მ-ე, ი. მ-ე, ა. ბ-ე, ხ. ჩ-ი, ს. ბ-ე, დ. თ-ე და მ. ხ-ი.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი დაკ-

მაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობის წევრთა 2009 წლის 3 ივნისის კრების №5, №6, №7 ოქმები, აგრეთვე – 2010 წლის 27 იანვრის კრების №2 ოქმი.

**10. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

10.1. ქალაქ ბათუმში, ტ-ში მდებარე მრავალბინიან სახლში დაფუძნებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ი“, რომელიც 2009-2010 წლებში შედგებოდა 36 წევრისაგან; ერთ-ერთი წევრია მოსარჩელეც, რომელსაც ეკუთვნის №7 ბინა;

10.2. იმავე სახლში მდებარე სხვენი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ამხანაგობის სხვადასხვა წევრების საკუთრებად, მათ შორის: 72.9 მ<sup>2</sup> სხვენი ეკუთვნის მოპასუხე დ. ქ-ეს; 45 მ<sup>2</sup> სხვენი ეკუთვნის მოპასუხე მ. მ-ეს; 70.9 მ<sup>2</sup> სხვენი ეკუთვნის მოპასუხე ნ. კ-ეს. საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდა ამხანაგობის წევრთა 2009 წლის 3 ივნისის კრების №5, №6 და №7 ოქმები მითითებულ ფართებზე საკუთრების უფლების არსებობის დადასტურების შესახებ;

10.3. 2010 წლის 27 იანვარს შედგა ამხანაგობის წევრთა კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება – სახურავს ჩატარებოდა რეკონსტრუქცია და მასზე მონყობილიყო მანსარდული სართული; ასევე – განხორციელებულიყო ტერასის რეკონსტრუქცია და მასზე დაშენებულიყო სამი სართული. ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ამხანაგობის ორმა წევრმა: მოსარჩელემ და გ. გ-ემ;

10.4. მოსარჩელე სხვენის რომელიმე ნაწილს არ ფლობდა;

10.5. მითითებულ საცხოვრებელ სახლზე მანსარდული სართულების მშენებლობა უკვე დასრულებულია.

**11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის კრების მოწვევისა და ჩატარების ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია თავად კრების ოქმებით, მოპასუხეების და მათ მხარეზე ჩაბმული მესამე პირების ახსნა-განმარტებებით, მოწმეების: ა. ქ-ისა და გ. გ-ის ჩვენებებით, რასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე:**

11.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას აღნიშნული კრების ჩატარება უარყო ამხანაგობის წინამორბედმა თავმჯდომარემ – რ. ი-მა და განაცხადა, რომ კრებები არ ტარდებოდა წლების განმავლობაში; ამხანაგობის წევრებმა არც ის იცოდნენ, რომ სხვენი განკარგული იყო (იხ: 2015 წლის 6 თებერვლის სხდომის ოქმი – 15:26 საათიდან);

11.2. ვინაიდან სწორედ ამ კრებაზე მიღებული ოქმების კანონი-

ერება იყო სასარჩელო დავის საგანი, კრების რეალურად ჩატარების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებად ისინი ვერ მიიჩნეოდა;

11.3. მოპასუხეების და მათ მხარეზე ჩაბმული მესამე პირების ახსნა-განმარტებები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, იმავე დონის მტკიცებულებები იყო, რაც მოსარჩელის ახსნა-განმარტება, ამიტომ ისინი ერთმანეთს აქარწყლებდა;

11.4. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოწმე ა. ქ-ე მოპასუხე დ. ქ-ის შვილია, ხოლო მოწმე გ. გ-ე – მოპასუხე ნ. კ-ის მეუღლე. აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები იმასთან დაკავშირებით, რომ 2009 წლის 3 ივნისის კრება ნამდვილად ჩატარდა და ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებით მათი ოჯახების ფლობა-სარგებლობაში არსებული სხვენის ფართობები გადაეცათ მათვე საკუთრებაში, სააპელაციო სასამართლომ უტყუარ მტკიცებულებებად არ მიიჩნია, ვინაიდან ისინი, როგორც მოპასუხეების ახლო ნათესავები (პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები), საქმის შედეგით პირდაპირ დაინტერესებული პირები იყვნენ, უფრო მეტიც, მოწმე გ. გ-ემ მიუთითა, რომ მოპასუხე მ. მ-ეს საერთოდ არ აინტერესებდა სხვენი, არ ფლობდა მას, რადგან ბინა გაქირავებული ჰქონდა და დროდადრო თუ გამოივილიდა კორპუსში.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით, უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენის გზით, ვერ დაამტკიცა, რომ ამხანაგობის წევრები გაფრთხილებულნი იყვნენ 2009 წლის 3 ივნისის კრების თაობაზე (მისი ჩატარების დროის, ადგილისა და განსახილველი საკითხის შეტყობინების სახით) და რომ ეს კრება რეალურად ჩატარდა; ასევე ვერ დაამტკიცა, რომ სხვენის სადავო ფართებს, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტიდან დაწყებული, ფლობდნენ მოპასუხეები.

13. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელე ითხოვდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა გადაწყვეტილებების (ასახული კრების ოქმებში) ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ წესს და აღძრული აღიარებითი სარჩელისადმი იურიდიულ ინტერესს ასაბუთებდა იმით, რომ, მართალია, ველარ მოახერხებდა სადავო ოქმებით განკარგული ქონების ნატურით დაბრუნებას თავის საკუთრებაში, მაგრამ – გასაჩივრებული ოქმების ბათილად ცნობის შემთხვევაში მიეცე-

მოდა შესაძლებლობა – აღეძრა სარჩელი დაკარგული ქონების შე-  
სატყვისი კომპენსაციის გადახდევინების მოთხოვნით.

14. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამარ-  
თლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის დასაბუთება აღიარებითი სარ-  
ჩელისადმი იურიდიული ინტერესის არსებობის თაობაზე ლოგიკუ-  
რი და თანმიმდევრული იყო: უდავო იყო, რომ გასაჩივრებული ოქ-  
მებით განკარგული ქონება წარმოადგენდა ამხანაგობის წევრთა  
(მათ შორის – მოსარჩელის) საერთო საკუთრებას, რომელიც ამჟა-  
მად მოქცეული იყო სხვა წევრების ინდივიდუალურ საკუთრებაში;  
სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმისათვის, რომ მოსარ-  
ჩელეს გასჩენოდა საფუძველი – აღეძრა და მიეღწია მისთვის დამ-  
დგარი ქონებრივი დანაკლისის ფულადი კომპენსირების თაობაზე  
მიკუთვნებითი სარჩელის დაკმაყოფილებისთვის, აუცილებელი  
იყო, აღიარებული ყოფილიყო, რომ ეს ოქმები ბათილ გარიგებებს  
წარმოადგენდნენ, რათა დადასტურებულიყო საქართველოს სამო-  
ქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტუ-  
რი ვალდებულების ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქ-  
მედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არ-  
სებობა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ  
საქალაქო სასამართლოს დასკვნა განსახილველი აღიარებითი სარ-  
ჩელისადმი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობის თა-  
ობაზე არასწორი იყო.

15. სააპელაციო პალატის განმარტებით, გასაჩივრებულ ოქმებ-  
ში ასახული გადაწყვეტილებები წარმოადგენს საქართველოს სა-  
მოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ, ამხანაგო-  
ბის წევრთა მრავალმხრივი ნების გამოვლენას და, მაშასადამე, გა-  
რიგებას, რომელიც მიმართულია გარკვეული სამართლებრივი შე-  
დეგების დადგომისაკენ: 2009 წლის 3 ივნისის ოქმების შემთხვევა-  
ში – ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებულ სამე-  
ურნეო სათავსზე – სხვენზე ამხანაგობის გარკვეულ წევრთა სა-  
კუთრების უფლების დადასტურებისაკენ, ხოლო 2010 წლის 27 იან-  
ვრის ოქმის შემთხვევაში – საერთო საკუთრებაში არსებული ქო-  
ნების იმგვარი განვითარებისაკენ, რომელიც იწვევს ამ საკუთრე-  
ბის გარდაქმნას ამხანაგობის ცალკეულ წევრთა ინდივიდუალურ  
საკუთრებად. გამომდინარე აქედან, სააპელაციო სასამართლომ მი-  
იჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვე-  
ლი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომე-  
ლიც ბლანკეტურია და მიუთითებს სამართლის სხვა, გარკვეული  
იურიდიული მოქმედებების განხორციელების პირობების დამდგე-  
ნი ნორმების დარღვევაზე.

16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემ-

თხვევაში ამგვარ პირობებს ადგენდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის კრება არ ჩატარებულა; საქმეში არ იყო წარმოდგენილი არც იმ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება, რომ ამხანაგობის წევრთა 2/3-მა (ამხანაგობის წესდება სხვაგვარ კვორუმს არ ითვალისწინებს) გამოთქვა თანხმობა – სხვენის ფართები საკუთრებაში გადასცემოდათ მოპასუხეებს, როგორც ამ ფართების ფაქტობრივ მფლობელებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 ოქმები ეწინააღმდეგებოდა ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილ წესს, რის გამოც ეს ოქმები ბათილ გარიგებებს წარმოადგენდა.

17. რაც შეეხება ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვრის კრების №2 ოქმს, სააპელაციო პალატამ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით, მიუთითა, რომ მოცემულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონება და ამან გავლენა მოახდინა სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად, რაც არ მომხდარა, ხოლო ამ ურთიერთობის მოწესრიგება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლით დაუშვებელი იყო, რადგან ეს ნორმა კანონს დაემატა 2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად და მას უკუძალა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით, არ ჰქონდა მიცემული. შესაბამისად, ეს ოქმიც ბათილ გარიგებას წარმოადგენდა.

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ამხანაგობამ (წარმომადგენელი – ბმა-ს თავმჯდომარე ბ. თ-ე) და მოპასუხე ამხანაგობის წევრებმა შეიტანეს საკასაციო საჩივრები და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**19. კასატორებმა საკასაციო საჩივრებში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:**

19.1. საქალაქო სასამართლოს სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიეღო, რადგან არ არსებობდა აღიარებითი სარჩელის წარმოებაში

მიღების აუცილებელი პირობა – იურიდიული ინტერესი. კერძოდ, ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვერ დაკმაყოფილდება, რადგან სხვენები და მანსარდები იმყოფება სხვა პირთა ინდივიდუალურ საკუთრებაში, რომლის მიმართაც მოქმედებს შემძენის კეთილსინდისიერების პრინციპი. ამასთან, მოსარჩელეს არ დაუყენებია მიკუთვნებითი მოთხოვნა, ხოლო, თუ სარჩელის აღძვრის დროს მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება შეუძლებელი იყო, აღნიშნული მოსარჩელეს უნდა განემარტა და დაესაბუთებინა მიზეზი;

19.2. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე სხვენის რომელიმე ნაწილს არ ფლობდა. შესაბამისად, მას ამ ფართების საკუთრებაში გადაცემის პერსპექტივა არ აქვს. ამას გარდა, კასატორების მოსაზრებით, თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ის მიიღებს საერთო საკუთრებაში მისი წილის კომპენსაციას, მას შეუძლია მოითხოვოს ასეთი საკომპენსაციო თანხა კრების ოქმების ბათილად ცნობის გარეშეც ანუ მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის გარეშეც შეუძლია საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება;

19.3. უსაფუძვლოა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლზე მითითება, მშენებლობის წარმოებისათვის აუცილებელი არ იყო ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შესრულებული №428-2012-08-4 დასკვნით დგინდება, რომ სახეზე არ არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და რაიმე გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე. ამასთან, მოსარჩელეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი მტკიცებულება;

19.4. მოსარჩელე მიუთითებს, რომ ამხანაგობის საერთო საკუთრებაში მშენებლობის წარმოება არსებითად ცვლის ამხანაგობის წევრთა წილს საერთო ქონებაში, თუმცა ვერ ასაბუთებს საერთო ქონების წილის არსებით შეცვლაში რას გულისხმობს. ბუნდოვანია, დაირღვა თუ არა სადავო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით ამხანაგობის წევრის უფლებები და, თუ დაირღვა, კონკრეტულად რაში გამოიხატა დარღვევა;

19.5. სხვენის ფართები მოპასუხე ამხანაგობის წევრების მფლობელობაში იყო და, შესაბამისად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგო-

ბის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სხვების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემისთვის არ იყო საჭირო ამხანაგობის წევრთა 100%-ის თანხმობა. ამასთან, მოსარჩელე ამხანაგობის კრებაზე მონევეული იყო კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, სადარბაზოებში გამოკრული იყო განცხადება დღის წესრიგის მითითებით.

19.6. სააპელაციო პალატამ არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მისცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებასა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინებას, რომლებიც საქმეზე მტკიცებულების სახით არის წარმოდგენილი და, რომლებშიც ზაზგასმით არის მითითებული 2010 წლის 27 იანვრის №2 კრების ოქმის კანონიერებაზე.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განჩინებით მოპასუხე ამხანაგობის წევრების საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 მაისის განჩინებით ამხანაგობის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ამხანაგობისა და მოპასუხე ამხანაგობის წევრების საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძველზე ბის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ამხანაგობისა და მოპასუხე ამხანაგობის წევრების საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

#### **24. მოცემული დავის საგანია:**

24.1. ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6, №7 კრების ოქმების ბათილად ცნობა, რომელთა საფუძველზე მოპასუხეებს ინ-

დივიდუალურ საკუთრებაში გადაეცათ სხვენის ფართები;

24.2. ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვრის №2 კრების ოქმის ბათილად ცნობა, რომლის თანახმად, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება – სახურავს ჩატარებოდა რეკონსტრუქცია და მასზე მოწყობილიყო მანსარდული სართული; ასევე – განხორციელებულიყო ტერასის რეკონსტრუქცია და მასზე დაშენებულიყო სამი სართული.

25. კასატორების ძირითადი პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავოდ გამხდარი კრების ოქმების ბათილად ცნობასთან მიმართებით უკავშირდება მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობას.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო კრების ოქმები, რომლებშიც აისახა ამხანაგობის გადაწყვეტილებები სხვენების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემასა და მანსარდების მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოადგენს გარიგებას – ამხანაგობის წევრთა მრავალმხრივი ნების გამოვლენას, რომლის ბათილად ცნობის, როგორც აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების, წინაპირობად უნდა იკვეთებოდეს მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

27. შესაბამისად, საკასაციო პალატა მოცემული კრების ოქმების ბათილად ცნობის საკითხის არსებით განხილვამდე ვალდებულია დაადგინოს მოცემული დავის მიმართ მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა.

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელის აღძვრისას უნდა მიუთითოს ზემოაღნიშნულ 180-ე მუხლით გათვალისწინებულ იურიდიულ ინტერესზე.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი



სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. დიდი პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტის შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016; 2016 წლის 17 მარტი).

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016; 2016 წლის 17 მარტი).

31. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება დადგეს ის შედეგი, რასაც მხარე ისახავს მიზნად. აღნიშნული პირობა ობიექტური გარემოებაა და არ აქვს მნიშვნელობა, თავად მხარე რა სამართლებრივი შედეგის დადგომას უკავშირებს საქმეზე გადანყვეტილების მიღებას. განსახილველ შემთხვევაში, მითითებული ოქმების ბათილად აღიარებაც დაკავშირებული უნდა იყოს მოსარჩელის ინტერესთან მის მიმართ დადგეს კონკრეტული სამართლებრივი შედეგი (სუსგ №ას-148-139-2014, 2015 წლის 26 თებერვალი).

32. საკასაციო სასამართლო ცალ-ცალკე შეამოწმებს ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 კრების ოქმებისა და ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვრის №2 კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობას.

33. ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 კრების ოქმების ბათილად ცნობის მიმართ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იურიდიულ ინტერესზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს გასაჩივრებული ოქმების ბათილად ცნობის შემთხვევაში მიეცემა შესაძლებლობა – აღძრას სარჩელი დაკარგული ქონების შესატყვისი კომპენსაციის გადახდევინების მოთხოვნით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმისათვის, რათა მოსარჩელეს გაუჩნდეს საფუძველი – აღძრას და მიალწიოს მისთვის დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ფულადი კომპენსირების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელის დაკმაყოფილებას, აუცილებელია, აღიარებული იქნეს, რომ ეს ოქმები ბათილ გარიგებებს წარმოადგენს.

34. ზემოაღნიშნულთან მიმართებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ აღიარებითი მოთხოვნის ინტერესი მიკუთვნებითი ხასიათისაა, მაშინ აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებით სასამართლო პროვოცირებას გაუკეთებს ერთ სასარჩელო მოთხოვნაზე ორმაგი სასარჩელო წარმოების ჩატარების აუცილებლობას, რაც ეწინააღმდეგება სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების წარმართვისა და სასამართლოს ეკონომიურობის ძირითად პრინციპს.

35. უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობაზე არსებით გავლენას, იურიდიული ინტერესის თვალსაზრისით, ახდენს ის ფაქტი, რომ სხვა სახის სარჩელის (მაგ., მიკუთვნებითი სარჩელის) აღძვრის გზით დავის გადაწყვეტა არ უნდა იყოს შესაძლებელი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ მოსარჩელეს დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ფულადი კომპენსირების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელი შეეძლო აღედრა.

36. სხვა საკითხია, რამდენად შესაძლებელია მოსარჩელის მიერ თავად მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა.

37. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტზე, რომელიც მხარეთა მიერ შედაგებული არ არის, რომ მოსარჩელე სხვენის რომელიმე წაწილს არ ფლობდა, მისით არ სარგებლობდა ანუ მას, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 4.2 მუხლის საფუძველზე, სადავო

ფართებზე საკუთრების მოპოვების პერსპექტივა არ აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 კრების ოქმების ბათილად ცნობის შემთხვევაში იგი ამ ოქმებით განკარგული ფართების ვერც მის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემისა და ვერც ფართების გადაცემის შეუძლებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას დააყენებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრაც უპერსპექტივოა.

38. სააპელაციო სასამართლოს მითითებით უდავოა, რომ გასაჩივრებული ოქმებით განკარგული ქონება წარმოადგენდა ამხანაგობის წევრთა (მათ შორის მოსარჩელის) საერთო საკუთრებას.

39. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობას უფლება აქვს იჯარით გასცეს, გააქიროს ან გაასხვისოს ამხანაგობის წევრთა საერთო უძრავი ქონება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების უკანონო განკარგვის გამო სარჩელის აღძვრის უფლება თავად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს თავისი სახელით („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი, მუხლი 14.2). ასეთ ურთიერთობებში ამხანაგობას თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი წარმოადგენს („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი, მუხლი 14.2), რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ამხანაგობის საერთო კრების მიერ უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

40. ამრიგად, თუ ამხანაგობის რომელიმე წევრს მიაჩნია, რომ მოხდა ამხანაგობის საერთო ქონების უკანონოდ განკარგვა, მან აღნიშნულ საკითხზე ამხანაგობის წევრთა კრების მოწვევისა და გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, უპირველეს ყოვლისა, ამხანაგობის თავმჯდომარეს უნდა მიმართოს. თუ თავმჯდომარე არ არის, ან იგი თავისი მოვალეობის სანაღმდეგოდ თავს არიდებს კრების მოწვევას, კრება შეიძლება მოინვიოს თავად ამხანაგობის წევრმა („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი, მუხლი 27.2). ამხანაგობის წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3, ხოლო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი, მუხლი 28.5). ამავე დროს, ამხანაგობის იმ წევრებს, რომელთა წინააღმდეგაც სასამართლოში სარჩელის შეტანასაც ეხება საკითხი, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი, მუხლი 28.6).

41. მოცემულ შემთხვევაში, 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7

კრების ოქმების ბათილად ცნობისა და უკანონოდ გადაცემული ქონების დაბრუნების თუ შესაბამისი ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრა, თუ აღნიშნული გადაწყვეტილებებით მოხდა ამხანაგობის საერთო ქონების (და არა მოსარჩელის ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული ქონების) განკარგვა, თავად ამხანაგობის გადაწყვეტილებას საჭიროებს, ხოლო წევრს შეუძლია იმოქმედოს ამხანაგობის სახელით, თუ მას ამხანაგობის კრების მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლება აქვს.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაკი მოსარჩელე სადავო ფართებს ინდივიდუალურად არ ფლობდა, ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 კრების ოქმების ბათილად ცნობის შედეგად მისთვის შესაბამისი სამართლებრივი შედეგი – ქონების დაბრუნების ან ზიანის ანაზღაურების სახით – მიკუთვნებითი სარჩელის წარდგენის შემთხვევაშიც კი ვერ დადგება. შესაბამისად, მას ზემოაღნიშნული ოქმების ბათილად ცნობის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ აქვს. რაც შეეხება ამხანაგობის საერთო ქონებისადმი მიყენებულ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, აღნიშნული მოთხოვნით სარჩელი შესაძლებელია მხოლოდ ამხანაგობის წევრთა კრების მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა აღძვრას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

43. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვრის №2 კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართაც, იმ პირობებში როდესაც დადგენილია, რომ ტ-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სხვენი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოპასუხე ამხანაგობის წევრების ინდივიდუალურ საკუთრებად, ხოლო აღნიშნულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მანსარდული სართულების მშენებლობა უკვე დასრულებულია. ბუნდოვანია, აღნიშნული ოქმის ბათილად ცნობით რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს მოსარჩელეს, რადგან მოცემულ შემთხვევაში (პირველი მოთხოვნისაგან განსხვავებით), მოსარჩელე სამომავლო მიკუთვნებითი სარჩელის საგანზე საერთოდ არ უთიბებს.

44. ასეთ პირობებში მოსარჩელის მითითება, რომ გასაჩივრებული ოქმის საფუძველზე დაგეგმილი მშენებლობის განხორციელებით მნიშვნელოვნად შეიცვლება მისი, როგორც ამხანაგობის წევრის წილი ამხანაგობის საერთო ქონებაში, არ არის საკმარისი კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნის იურიდიული ინტერესის დასასაბუთებლად, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა დადგენილია, რომ იგი მიწვეული იყო და მონაწილეობდა ამხანაგობის 2010 წლის 27 იანვარს ჩატარებული კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში (წინააღმდეგ მისცა ხმა), რომელსაც მხარი დაუჭირა

ამხანაგობის წევრთა 2/3-მა. ამხანაგობის 2009 წლის 3 ივნისის №5, №6 და №7 კრების ოქმების მოქმედების პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ ტ-ში მდებარე მრავალბიანიანი სახლის სხვენი მოპასუხე ამხანაგობის წევრების ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მითითებას, რომ 2010 წლის 27 იანვრის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ისეთი კატეგორიის გადაწყვეტილებას მიეკუთვნება, რომელიც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებას საჭიროებდა.

45. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მოცემული დავის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა. შესაბამისად, არ არსებობს სადავო კრების ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე მისი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები.

46. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება აღიარებით სარჩელებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები საქმეზე №ას-664-635-2016, 2017 წლის 2 მარტი; საქმეზე №ას-121-117-2016, 2016 წლის 17 მარტი; იხ. ასევე სუსგ. №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-17-14-2015, 01.07.2015; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015; №ას-869-819-2015, 11.12.2015; №ას-773-730-2015, 08.09.2015; №ას-181-174-2016, 06.05.2016; №ას-323-308-2016, 03.06.2016; №ას-407-390-2016, 10.06.2016; №ას-375-359-2016, 17.06.2016.).

47. ამგვარად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ამასთან, არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძვლიანი, რამდენადაც მიღებული გადაწყვეტილება, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენის მხრივ, იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

48. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქ-

მის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

49. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორების საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

50. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

51. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს ამხანაგობისა და მოპასუხე ამხანაგობის წევრების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხე ამხანაგობის წევრების მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარისა და ამხანაგობის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. დ. ქ-ის, მ. მ-ის, ნ. კ-ისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება

და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ი. დ-ეს (პ/ნ: ...) დ. ქ-ის (პ/ნ: ...), მ. მ-ის (პ/ნ: ...), ნ. კ-ისა (პ/ნ: ...)

და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის“ თავმჯდომარის, ბ. თ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს დ. ქ-ის, მ. მ-ისა და ნ. კ-ის წარმომადგენლის, პ. შ-ის (პ/ნ: ...) მიერ 2016 წლის 18 აპრილს №1 საგადასახადო დავალებით საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის“ თავმჯდომარის, ბ. თ-ის მიერ 2016 წლის 28 აპრილს №12 საგადახდო დავალებით საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარის გადახდა;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. სარჩელის უზრუნველყოფა

### სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორეთი

#### განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-553-2021

17 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მიქაბერიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „F. H.“-მა (შემდეგში: მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სასამართლოში სარჩელი აღძრა შპს „ვ-ასა“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე, სანარმო) და ა. მ-ძის (შემდეგში: მეორე მოპასუხე, განმცხადებელი) წინააღმდეგ და მოპასუხეთათვის სოლიდარულად 7 612 ლარის (მათ შორის: ძირი თანხა, 2 200 ლარი და პირგასამტეხლო – 5 412 ლარი) დაკისრება მოითხოვა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქმეზე გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – ქ. ოზურგეთში, ... ქუჩაზე მდებარე 740კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (შემდეგში – პირველი უძრავი ქონება) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

3. ამავე სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით: მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული; სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პირველი მოპასუხის მიმართ და ამ უკანასკნელს



მოსარჩელის სასარგებლოდ 2 200 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში, მათ შორის, მეორე მოპასუხის მიმართ მოთხოვნის ნაწილში, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3.1. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – ქ. ოზურგეთში, ... ქუჩაზე არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შემოიტანა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

**6. 2021 წლის 9 სექტემბერს, საკასაციო სასამართლოში განცხადება წარმოადგინა მეორე მოპასუხემ, რომელმაც სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ იშუამდგომლა.**

6.1. განმცხადებლის მითითებით, კონკრეტულ საქმეზე საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად, იგი კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისებას ვერ ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მის მიმართ სარჩელი არ დააკმაყოფილეს, განმცხადებელი მაინც ვერ იყენებს აღნიშნულ ქონებას. ამჟამადაც, მეორე მოპასუხეს უძრავი ქონების გასხვისება სურს და შესაბამისი კლიენტიც ჰყავს. საგულისხმოა, რომ განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული უძრავი ქონების (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ... ქუჩაზე მდებარე 100კვ.მ მიწის ნაკვეთი, შემდეგში მოხსენიებული, როგორც მეორე უძრავი ქონება) ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება დავის საგნის ღირებულებას, რის დასტურადაც განცხადებას თან ერთვის ექსპერტიზის დასკვნა.

6.2. ამდენად, განმცხადებელს მიაჩნია, რომ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის საფუძველი, რაც, სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებია.

7. მეორე მოპასუხის ზემოხსენებულ განცხადებას წერილობით უპასუხა მოსარჩელემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველ უძრავ

ქონებაზე შეზღუდვა სწორედ განმცხადებლის არაკეთილსინდისიერი მოქმედებების (მესამე პირთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისა და კანონის სისტემატური დარღვევა) გამო განხორციელდა. ამასთან, განმცხადებლის ქონებრივი მდგომარეობა, რომელიც მისი არაკეთილსინდისიერი მოქმედებებითაა გამოწვეული, მიუთითებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, იგი შეეცდება, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას. დაუსაბუთებელია მეორე მოპასუხის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის მის მიერ შემოთავაზებული საგნით ჩანაცვლება ადეკვატურია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, განცხადების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ განმცხადებლის მოთხოვნის საფუძვლიანობა.

8. პირველ რიგში, პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაშვებულია, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესაძლებლობა, კერძოდ, სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია შემდეგი: ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს შეუძლია, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მიზნით, სასამართლოს სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება შესთავაზოს.

ამდენად, მოცემული ნორმა დასაშვებად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლას და ნორმის სისტემური ანალიზი, მოთხოვნის წინაპირობად, ამ საგანთა უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან ტოლფასოვნებას განიხილავს (იხ. სუსგ №ას-1596-2019, 18.02.2020).

9. **ამავდროულად, პალატას აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის საკითხის შეფასებისას, სასამართლომ, ყურადღება უნდა მიაქციოს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანზე, რაზეც საკასაციო პალატის არაერთ განჩინებაშია განმარტებული, კერძოდ:**

9.1. სსსკ-ის XXIII თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფი და ეფექტური საპროცესოსამართლებრივი გარან-

ტიაა. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია, მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრირებულია სსსკ-ის 191-ე მუხლში, კერძოდ კი, იმ წინადადებაში, რომლის თანახმად, თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებას. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის სამიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (მდრ. იხ. სუსგ №ას-467-2019, 28.02.2020; №ას-1302-2019, 26.12.2019).

10. საკასაციო პალატის ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელმა მხარემ სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, შემდეგი გარემოების არსებობა: მის მიერ შემოთავაზებული სხვა უძრავი ქონება, სრულიად უზრუნველყოფს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტურ და დაუბრკოლებელ აღსრულებას.

11. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ ზემომითითებული გარემოების დასაბუთებას ემსახურება, ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 3.09.2019წ.-ის დასკვნა, რომლითაც დადგენილია, რომ მეორე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 29 600 ლარია. საკასაციო პალატამ, განსახილველი შუამდგომლობის შესახებ აცნობა მონინალმდეგე მხარეს (მოსარჩელე), რომელსაც აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მეორე უძრავი ქონების განმცხადებლის მიერ მითითებულ ფასს მოსარჩელე არ შედავებია,

თავის წერილობით მოსაზრებაში იგი მხოლოდ იმას დასძენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა არასწორია. საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ მეორე მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა, ამ უკანასკნელისათვის (პირველ მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად) 7 612 ლარის დაკისრებაა.

დასახელებული მტკიცებულება ასაბუთებს, რომ მეორე მოპასუხეს საკუთრებაში საკმარისად მაღალი (დავის საგნის ფასთან მიმართებით) ღირებულების მქონე, სტაბილური აქტივი (უძრავი ქონება) გააჩნია. ბაზარზე უძრავი ქონების ფასების მზარდობის გათვალისწინებით, აღნიშნულ ქონებას, ამჟამად, შესაძლოა, უფრო დიდი საბაზრო ღირებულებაც ჰქონდეს, თუმცა ასეც რომ არ იყოს და ექსპერტის მიერ 2019 წლის 3 სექტემბრისათვის დადგენილ ღირებულებას დავეყრდნობ, იგი სრულად უზრუნველყოფს განსახილველი სარჩელის მოთხოვნას. შესაბამისად, მოცემული დავის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების პირობებში, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, საფრთხე არ დაემუქრება.

## **12. შექმნილი ფაქტობრივი მოცემულობის პირობებში, დღის წესრიგში დგება, საკასაციო პალატის მიერ შემდეგი საკითხის განმარტების აუცილებლობა:**

12.1. სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება და მხარის პოზიციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უტყუარად შეძლებს იგი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურებას (სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები). შესაბამისად, სასამართლოში წარმატების მომტანია არა მხოლოდ მოთხოვნის დამასაბუთებელ არგუმენტზე (არგუმენტებზე) მითითება, არამედ მისი ნამდვილობის სათანადო მტკიცებულებით (მტკიცებულებებით) დადასტურება. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან საქმის გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ სწორი დასკვნა სასამართლოს მიერ სწორედ მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას შეიძლება დაეფუძნოს. ბუნებრივია, ერთი მხარე ყოველთვის შეეცდება, სასამართლოს სიტყვიერად თავის სასარგებლო პოზიციაზე მიუთითოს, ხოლო მეორემ – ეს პოზიცია უარყოს. მათი პოზიციების განხილვით ჭეშმარიტების დადგენა, რათქმაუნდა გამოორიცხულია (იხ. სუსგ: №ას-1423-2019, 28.02.2020).

12.2. ასეა კონკრეტულ შემთხვევაშიც, მოსარჩელის მიერ განმცხადებლის (მეორე მოპასუხე) პოზიციის საფუძვლიანობის გამორიცხვა დამოკიდებულია სარწმუნო და უტყუარი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენით იმ ფაქტის დასაბუთებაზე, რომ შესაცვლელად წარმოდგენილი ახალი საგანი, ვერ უზრუნველ-

ყოფს სარჩელის მოთხოვნას. მოსარჩელეს ასე არ უმოქმედია, მან შესაბამის მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვერ დაადასტურა, რომ განმცხადებლის მიერ შერჩეული მეორე უძრავი ქონება, არაა საკმარისი – განსახილველი სარჩელის უზრუნველსაყოფად. საამისოდ ვერ გამოდგება მოსარჩელის მიერ მხოლოდ იმაზე მითითება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა არასწორია, მით უმეტეს, რომ აღნიშნული არც სიტყვიერად არ შეიცავს განმცხადებლის მიერ შერჩეული უძრავი ქონებაზე ღირებულებაზე შედაგებას. მიუხედავად ამისა, ასეც რომ იყოს და მოსარჩელე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უზრუნველყოფის საგნის ფასის საწინააღმდეგო ფასზე რომც აპელირებდეს, შეუძლებელია, რომ სასამართლო ამა თუ იმ საკითხის დადგენისას რომელიმე მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას დაეყრდნოს. კანონი სასამართლოს ავალდებულებს, მტკიცებულებები შეაფასოს თავისი შინაგანი რწმენით და ეს რწმენა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (სსსკ-ის 105.2 მუხლი).

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საფუძველი დასკვნისათვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 196<sup>1</sup>-ე, 408.3 მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. მ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინების მეორე პუნქტი შეიცვალოს იმგვარად, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდეს ქ. ოზურგეთში, ... ქუჩაზე მდებარე, ა. მ-ძის საკუთრებაში არსებულ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე და სანაცვლოდ ა. მ-ძის აკრძალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ... ქუჩაზე მდებარე 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ზონა – ჩოხატაური, სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – 0..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა  
მიორებით**

**განჩინება  
საქართველოს სასჯელით**

№ას-1085-2021

30 დეკემბერი 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. ზამბახიძე,  
რ. ნადარაია**

**განმცხადებლის მოთხოვნა:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ჭ-იამ და გ. ჩ-ძემ სარჩელი აღძრეს რ. კ-ძისა და ს. კ-ძის მიმართ მატერიალური ზიანის – 7292 ლარის სოლიდარულად დაკისრების შესახებ. გ. ჩ-ძის სასარგებლოდ რ. კ-ძისა და ს. კ-ძისათვის მატერიალური ზიანის – 2000 ლარისა და მორალური ზიანის – 2000 ლარის დაკისრების შესახებ. ამასთან, მოსარჩელებმა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით იშუამდგომლეს რ. კ-ძის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განჩინებით, გ. ჭ-იასა და გ. ჩ-ძის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე რ. კ-ძეს (პ/ნ ...) აეკრძალა ქ. თბილისში, ... მდებარე №67 ბინის (ს/კ №..., ფართი 94.90 კვ.მ) და ქ. თბილისში, ... მდებარე სხვენის (ს/კ №..., ფართი 49.40 კვ.მ) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ჭ-იასა და გ. ჩ-ძის სარჩელი რ. კ-ძისა და ს. კ-ძის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ს. კ-ძეს გ. ჭ-იას სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 7282 ლარის გადახდა. ს. კ-ძეს გ. ჩ-ძის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით – 858.43 ლარის და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით – 2000 ლარის გადახდა. ს. კ-ძეს გ. ჭ-იას სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 218.46 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფის

ფისტვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდა. ს. კ-ძეს გ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 85.75 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდა. ს. კ-ძეს გ. ჭ-იასა და გ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა იურიდიული მომსახურებისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 405.61 ლარის გადახდა. სარჩელი რ. კ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. ს. კ-ძემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. გ. ჭ-იამ და გ. ჩ-ძემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის რ. კ-ძის მიმართაც დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ივნისის განჩინებით გ. ჭ-იასა და გ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. არ დაკმაყოფილდა არც ს. კ-ძის სააპელაციო საჩივარი. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ს. კ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 01 ნოემბრის განჩინებით ს. კ-ძის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამონმმებლად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბერს შუამდგომლობით მომართა რ. კ-ძის წარმომადგენელმა ლ. უ-ძემ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განჩინების გაუქმება და უზრუნველყოფის საგნად რ. კ-ძის მიერ ს.ს.ი.პ. საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელებების მიერ მოთხოვნილი თანხის შესაბამისი ოდენობის სადეპოზიტო თანხის – 11000 ლარის გამოყენება. შუამდგომლობას თან ერთვის ს.ს.ი.პ. საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 2021 წლის 16 დეკემბერს 11000 ლარის შეტანის დამადასტურებელი სალაროს შემოსავლის ორდერი (№211216131520905 ს.ს. „თ. ბ.“).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კასატორის წარმომადგენლის განცხადების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ კასატორის წარმომადგენლის შუამდგომლობა გამოყენებული უზრუნველყოფის

ფის ღონისძიების საგნის შეცვლის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ზემოაღნიშნული ნორმა ადგენს მხარეთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალურად განხორციელების სწრაფ და ეფექტიან საპროცესოსამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა, ვერ აღსრულდეს, ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი უნდა შეფასდეს როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული და ადეკვატური უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამონეული შესაძლო ზიანი და რისკები.

სარჩელის უზრუნველყოფით გამონეული ზიანის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, ამ შემთხვევაში სასამართლო



ამონმებს, რამდენად საფუძვლიანია მოპასუხის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე, ხომ არ შეუშლის ხელს მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, ან მისი განუხორციელებლობით ხომ არ მიადგება ზიანი მხარის კანონიერ ინტერესებს. სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას სასამართლოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებაში ცვლილების შეტანა გამართლებულია და გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების, თუ შეუძლებლობის საფრთხე არ დასტურდება.

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ მოსარჩელეების სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად ( $7292+2000+2000=11292$ ) 11292 ლარის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ს. კ.-ძეს მოპასუხეების სასარგებლოდ დააკისრა 10140.43 ლარის გადახდა ( $7282+858.43+2000=10140.43$ ). ს. კ.-ძეს მოსარჩელეების სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის სახით ჯამურად დაეკისრა 809.82 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრები და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოსარჩელეებს – გ. ჭ-იას და გ. ჩ-ძეს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, განჩინება მხოლოდ ს. კ.-ძემ გაასაჩივრა სარჩელზე სრულად უარის თქმის მოთხოვნით.

ამდენად, შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე, მოსარჩელეებისათვის დაკმაყოფილებული მოთხოვნის ღირებულება არ აღემატება 11000 ლარს და ამ თანხის გაზრდის შესაძლებლობაც აღარ არსებობს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელეებს კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო საჩივარი არ წარუდგენიათ და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სასამართლო უზრუნველყოფს რა ერთი მხარის მოთხოვნის აღსრულებადობას, აღნიშნული მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების გათვალისწინებლად არ უნდა განხორციელდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მხარეთა ლეგიტიმური ინტერესების შეპირისპირების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა მიზანშეწონილია, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრება და კანონით დასაშვები უზრუნველყოფის ღონის-

ძიების ზომად თანხის დეპოზიტზე განთავსება მიიჩნევა დავის საგანი არ აღემატება დეპოზიტზე განთავსებული თანხის ოდენობას, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა უზრუნველყოფს როგორც გადანყვეტილების აღსრულებას, ისე მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – რ. კ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის შესახებ უნდა შეიცვალოს ს.ს.ი.პ. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 11000 ლარის განთავსებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 196-ე 284-ე, 285-ე მუხლებით,

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. კ-ძის წარმომადგენლის ლ. უ-ძის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – მოპასუხე რ. კ-ძისათვის ქ. თბილისში, ... მდებარე №67 ბინის (ს/კ №..., ფართი 94.90 კვ.მ) და ქ. თბილისში, ... მდებარე სხვენის (ს/კ №..., ფართი 49.40 კვ.მ) გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის შესახებ – შეიცვალოს უზრუნველყოფის მეორე სახით – ს.ს.ი.პ. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 11000 ლარის განთავსებით (16.12.2021, სალაროს შემოსავლის ორდერი №211216131520905, ს.ს. „თ.ბ.“).

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც რ. კ-ძეს (პ/ნ ...) აკრძალა ქ. თბილისში, ... მდებარე №67 ბინის (ს/კ №..., ფართი 94.90 კვ.მ) და ქ. თბილისში, ... მდებარე სხვენის (ს/კ №..., ფართი 49.40 კვ.მ) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მიორათი

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-138-2022

4 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძე

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გა-  
უქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინებით მოსარჩე-  
ლეების, დ. ჯ-სა და ს. ს-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველ-  
ყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დაკ-  
მაყოფილდა: სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე,  
შპს „ე. ტ-ს“ (ს. ნ. ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, შემ-  
დეგი მოძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირ-  
თვა:

1.1 დროებითი სატესტო ანგარი;

1.2 თვითმფრინავის გამწვევი (საბუქსირე) სატრანსპორტო სა-  
შუალება (მოტოტოკი) – „Mototok International GmbH“;

1.3 ბოროსკოპის ინსტრუმენტი – „KARL STORZ Industrial Endo-  
scope SET with accessories“;

1.4 თვითმფრინავის მობილური ელექტრო კვების მონოკილო-  
ბა – „Combined ground power unit (GPU) FCA-90/AR-3 x 600M (მობი-  
ლე);

1.5 ასანევი ელექტრო პლატფორმა „Spetial Technology 12m Elec-  
tric Platform, Mark SINOBOOM. Model: GTJZ1212“;

1.6 სტატიკური წნევის საზომი მონოკილობა „Pitot Static Acces-  
sory Kit AK 737 Classic and AK 737-900 for Boeing 600-900“;

1.7 ავტომანქანა მერსედეს-ბენცი (MERSEDES BENZ) სახელმწი-  
ფო ნომერი -..., VIN:...;

1.8 ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი (FORD TRANZIT) სახელმწი-  
ფო ნომერი -..., VIN:...

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით მოპასუხის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და, საქმის მასალებთან ერთად, ზემდგომ სასამართლოს გადაეგზავნა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით მოსარჩელე დ. ჯ-ს მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

**4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 აპრილის განჩინებით მოპასუხე კომპანიის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, შემდეგი მოძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა:**

4.1. თვითმფრინავის გამწვევი (საბუქსირე) სატრანსპორტო საშუალება (მოტოტოკი) – „Mototok International GmbH“;

4.2. ბორსკოპიის ინსტრუმენტი – „KARL STORZ Industrial Endoscope SET with accessories“;

4.3. თვითმფრინავის მობილური ელექტრო კვების მონყობილობა – „Combined ground power unit (GPU) FCA-90/AR-3 x 600M (mobile);“

4.4. ასანევი ელექტრო პლატფორმა „Spetial Technology 12m Electric Platform, Mark SINOBOOM. Model:GTJZ1212“;

4.5. სტატიკური წნევის საზომი მონყობილობა „Pitot Static Accessory Kit AK 737 Classic and AK 737-900 for Boeing 600-900“;

4.6. ავტომანქანა მერსედეს-ბენცი (MERSEDES BENZ) სახელმწიფო ნომერი -..., VIN:....;

4.7. ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი (FORD TRANZIT) სახელმწიფო ნომერი - ..., VIN:....

4.8. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განჩინება მოპასუხის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხის საჩივარი შემდეგი მოძრავი ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის გაუქმების შესახებ:

4.8.1. თვითმფრინავის გამწვევი (საბუქსირე) სატრანსპორტო საშუალება (მოტოტოკი)– „Mototok International GmbH“;

4.8.2. ბოროსკოპის ინსტრუმენტი – „KARL STORZ Industrial Endoscope SET with accessories“;

4.8.3. თვითმფრინავის მობილური ელექტრო კვების მოწყობილობა – „Combined ground power unit (GPU) FCA-90/AR-3 x 600M (mobile),

4.8.4. ასანევი ელექტრო პლატფორმა „Spetial Technology 12m Electric Platform, Mark SINOBOOM. Model:GTJZ1212,

4.8.5. სტატიკური წნევის საზომი მოწყობილობა „Pitot Static Accessory Kit AK 737 Classic and AK 737-900 for Boeing 600-900,

4.8.6. ავტომანქანა მერსედეს-ბენცი (MERSEDES BENZ) სახელმწიფო ნომერი – ..., VIN:...,

4.8.7. ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი (FORD TRANZIT) სახელმწიფო ნომერი – ..., VIN:...

4.9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება, მოპასუხის კუთვნილი ქონებიდან დროებითი სატესტო ანგარის გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

**5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა:**

5.1. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, შრომის ანაზღაურების დავალიანების სახით, დაეკისრა 61 851,41 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემდეგ მისაღები თანხა), გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

5.2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის იანვრის ჩათვლით მისაცემ შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული პირგასამტეხლოს სახით, დაეკისრა 9 836 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემდეგ მისაღები თანხა), გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

5.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით, დაეკისრა 61 851,41 აშშ დოლარის 0.07%-ის ეკვივალენტი ლარის გადახდა (საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემდეგ მისაღები თანხა), 2020 წლის 01 თებერვლიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის ნაწილში გადაწყვეტილების აღსრულებამდე, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

5.4. მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 3000 ლარის გადახდა. მოპასუხეს, ადვოკატის დახმარებისათვის განუული ხარჯების სახით, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 000 ლარის ანაზღაურება.

5.5. მოპასუხეს, საქმეზე განუული ხარჯების სახით, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარის ანაზღაურება.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 3 სექტემბრის განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სამი თვის ხელფასის – 18 000 აშშ დოლარის (საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემდეგ მისაღები თანხა), ეკვივალენტი ლარის (გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით) დაკისრების ნაწილში.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე კომპანიის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის შესახებ, წარმოებაში იქნა მიღებული.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხე კომპანიის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ ნაწილში, რომლითაც კომპანიას აეკრძალა კუთვნილი დროებითი სატესტო ანგარის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა და გაუქმებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად, კომპანიას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული

შემდეგი მოძრავი ნივთების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა:

- თვითმფრინავის გამწვევი (საბუქსირე) სატრანსპორტო საშუალება (მოტოტოკი) – „Mototok International GmbH“;

- ბოროსკოპიის ინსტრუმენტი – „KARL STORZ Industrial Endoscope SET with accessories“;

- თვითმფრინავის მობილური ელექტრო კვების მონწყობილობა – „Combined ground power unit (GPU) FCA-90/AR-1x 600M (mobile);

- ასანევი ელექტრო პლატფორმა „Spetial Technology 12m Electric

Platform, Mark SINOBOOM. Model: GTJZ1212;

– სტატიკური წნევის საზომი მოწყობილობა „Pitot Static Accessory Kit AK 737 Classic and AK 737-900 for Boeing 600-900“;

– ავტომანქანა მერსედეს-ბენცი (MERSEDES BENZ) სახელმწიფო ნომერი – ....., VIN: ....;

– ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი (FORD TRANZIT) სახელმწიფო ნომერი – ....., VIN: ....

9. სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ს. ს-ქმ და მისი გაუქმება მოითხოვა.

10. საჩივრის ავტორის განმარტებით, შეცვლილი უზრუნველყოფის ღონისძიებით არსებობს იმის საფრთხე, რომ მოპასუხემ თავი აარიდოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ პასუხისმგებლობას. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ნივთები წარმოადგენს არარეალიზებად ქონებას, რადგან მასზე მოთხოვნა ძალიან მცირეა. გაურკვეველია უზრუნველყოფის ჩანაცვლების მიზანი, იგი არ ემსახურება მოსარჩელის ინტერესებს.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინებით ს. ს-ძის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და უსაბუთებლობის გამო და, საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

12. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 196-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითებით განმარტა, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განცხადების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა ესაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ, შესაძლოა, მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის ან დააბრკოლებს მოპასუხის ინტერესების სანინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულო-

ბის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად (სუსგ №ას-1556-1476-2017).

14. სსსკ-ის 196-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე.

15. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე.

16. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მონინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს (სუსგ №ას-1556-1476-2017).

17. სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მიზნით სასამართლოს სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება შესთავაზოს. ამავე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო უზრუნველყოფის საგნის შეცვლისა და ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე (ნატურით გაყოფაზე) თანხმობის გაცემის საკითხს განიხილავს განცხადების შეტანიდან 5 დღის ვადაში ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის დანიშვნის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის ამ მუხლით დადგენილ ვადაში განხილვას და გადაწყვეტას.

18. განმცხადებელმა (მოპასუხე კომპანიამ) სააპელაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოპასუხის საკუთრებაში არსებული დროებითი სატესტო ანგარის ნაცვლად უზრუნველყოფის ღო-



ნისძიება გავრცელებულიყო მის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთებზე, რომელთა ჯამური ღირებულება საქმეში წარმოდგენილი დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნის თანახმად, 438 000 ლარს შეადგენს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, იმ პირობებში, როდესაც სარჩელის ფასი შეადგენს 119 096.52 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, მოპასუხის მიერ შემოთავაზებული მოძრავი ქონების ღირებულება სრულად უზრუნველყოფდა სასარჩელო მოთხოვნას და არ არსებობდა უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის დამაბრკოლებელი გარემოება. მოპასუხის მხრიდან შეთავაზებული უზრუნველყოფა დავის საგნის დასაცავად ადეკვატური იყო, როგორც დასაშვებობის, ისე – საკმარისობის თვალსაზრისით და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ქმნიდა მიღებული გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გარანტიას.

19. ამასთან, უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად შემოთავაზებული ნივთები წარმოადგენს ლიკვიდურ და რეალიზებად ქონებას. დროებითი სატესტო ანგარი მოითხოვს დაშლას და მხოლოდ ამ შემთხვევაში ექვემდებარება გასხვისებას; მოპასუხის 2021 წლის 14 დეკემბრის განცხადებაში ჩანაცვლების მიზნით შემოთავაზებული ქონება კი დამოუკიდებელი, სივრცობრივად გამიჯნული ნივთებია, შესაბამისად, მათი რეალიზაცია მოსარჩელის მიერ ინიცირებული იძულებითი აღსრულების რეჟიმშიც კი მეტი ეფექტურობის შესაძლებლობას იძლევა მოსარჩელის სასარგებლოდ.

20. სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მოსარჩელის საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მოპასუხე კომპანიის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით, 420-ე მუხლის მი-

ხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად, ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

22. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეს აეკრძალა მისი კუთვნილი მოძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი).

23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხე კომპანიის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი). სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმავე სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განჩინებით და საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, ზემდგომ სასამართლოს – უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

24. მოსარჩელის საჩივრის ფარგლებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის კანონიერება.

25. სსსკ-ის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, რაც საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დაიშვება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა, ეს არ არის მხარის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას.

26. სამართალწარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებითაც კი ვერ დაკმაყოფილდება მისი სამართლებრივი ინტერესი. გადაწყვეტილების აღსრულების გზაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულებას პერსპექტიულს ხდის, სამართალწარმოების პროცესში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენებაა, რომელთა მეშვეობით გარანტირებული და უზრუნველყოფილია დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულება ან თავიდანაა აცილებული აღსრულების გაძნელება (სსსკ-ის 191-ე მუხლი).

27. ამავე დროს, მოდავე მხარეთა ლეგიტიმურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით, კანონმდებელი უშვებს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, ბუნებრივია, იმ პირობით, რომ მოსარჩელეს დაკმაყოფილებული მოთხოვნის აღსრულების პრობლემა არ შეექმნება. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 აპრილის განჩინებით მოპასუხე კომპანიის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. წინამდებარე განჩინების 4-4.9 პუნქტები), ხოლო ამის შემდეგ მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით მოითხოვა მოძრავ ქონებაზე გამოყენებული უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, კერძოდ, გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის გამოყენება სხვა მოძრავ ქონებაზე (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი).

28. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე კომპანიას არ წარუდგენია დასაბუთებული შუამდგომლობა, თუ რატომ სურდა უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა, რადგან საამისოდ ვერ გამოდგება მის განცხადებაში მითითებული არგუმენტი, რომ სასარჩელო მოთხოვნის ფულად ოდენობაზე გაცვლებით მეტი ღირებულების მოძრავი ქონების გამოყენება უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უკეთესად დაიცავს მოსარჩელის ინტერესს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლამ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს ის მიზანი, რისთვისაც თავდაპირველად სარჩელის უზრუნველყოფა იქნა გამოყენებული (იხ. ამ განჩინების მე-16 პუნქტი). ვინაიდან მოპასუხის შუამდგომლობის დაკმაყოფილებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით საფრთხე დაემუქრა საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის მიზანს, რაზეც უკვე ნამსჯელია ორი ინსტანციის სასამართლოში (იხ. ამ განჩინების პირველი და მე-4 პუნქტები თანმდევ ქვეპუნქტებთან ერთად). საკასაციო სასამართლოს განსჯით მოსარჩელის საჩივარი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორი მართებულად მიუთითებს მოსარჩელის სასარგებლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლო გართულებაზე, რასაც სასამართლომ ხელი არ უნდა შეუწყოს.

29. სსსკ-ის 196-ე მუხლის მიზანი, მოპასუხის ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით, მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება და მისი უსაფრთხოების დაცვაა. ამიტომ, რომ უზრუნველყოფის სა-

შუალეხის შეცვლა მხარეთა პროცესუალური შესაძლებლობაა, რაც სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს. ამასთან, მოცემული შემთხვევა იმითაც არის საყურადღებო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინება (მოპასუხის საჩივრის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე), რომელიც იმავე სასამართლოს 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით, სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 აპრილის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. 4-4.9 პუნქტები). სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე კომპანიის საჩივარზე მსჯელობისას განმარტა, რომ რადგან დ. ჯ-მა უარი თქვა სარჩელზე და მის მიმართ შეწყდა სამოქალაქო საქმეზე წარმოება (სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც თავდაპირველად 215 828.03 განისაზღვრებოდა 69 243.03 ლარით შემცირდა), მოპასუხეს, როგორც მოვალეს, ამ დავაში დარჩა ერთი მოსარჩელე – ს. ს-ძე, რომლის სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სავსებით საკმარისი იქნებოდა მოპასუხის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და უზრუნველყოფის სახით პროპორციულად უნდა მიჩნეულიყო დროებითი სატესტო ანგარის გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის განჩინების უცვლელად დატოვება. ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ დროებითი სატესტო ანგარის ღირებულებას, რაც 150 000 ლარს შეადგენს და მხოლოდ ამ ნაწილში დარჩა უცვლელი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის სხვა ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ იქნებოდა დავის საგნის – სახელფასო დავალიანების შესატყვისი. სააპელაციო სასამართლომ, როგორც აღინიშნა, სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე და 420-ე მუხლების საფუძველზე, როგორც ზემდგომმა სასამართლომ, შეამოწმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების დასაბუთებულობა და კანონიერება, შესაბამისად მისი განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. ამის შემდეგ, მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოში სარჩელის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის გზით წარდგენილი განცხადებით კიდევ ერთხელ სცადა უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა და სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინების საფუძველზე

მიღებული იქნა გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლაზე, რაც სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მიერ გასაჩივრებისა და შემდეგ უზენაეს სასამართლოში გადმოგზავნის გზით, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია. საკასაციო სასამართლომ, ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციის საფუძველზე, დაასკვნა, რომ მოსარჩელის საჩივარი დასაბუთებულია, რადგან მოპასუხე კომპანიამ სამართლებრივად სარწმუნო არგუმენტებით ვერ დაამტკიცა უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახით შეცვლის მიზანშეწონილობა, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მნიშვნელოვნად შეცვლილ გარემოებას და დაარწმუნებდა საკასაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის მიზანშეწონილობაში.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 196-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით, „მითითებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მონინალმდეგე მხარის კანონიერ ინტერესებს“ (იხ. სუსგ №ას-1165-1095-2015, 25.11.2015 წ.; №ას-454-438-2016, 19.07.2016 წ.).

31. სარჩელის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობას და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

32. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ

არაქმედითად დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. საქმე შპს „იზა“ და მაკრაზიძე საქართველოს წინააღმდეგ“). სხვა საქმეში ევროსასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ – ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (იხ. Hornsby, cited above, §§ 40 and seq.).

33. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დავის საგანია თანხის დაკისრება. ასეთი სარჩელი კი არის მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, არამედ – ასევე მოპასუხის ნებაზე – განახორციელოს გარკვეული მოქმედება, გადაიხადოს დაკისრებული თანხა. თანხის გადახდის თაობაზე ნების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის საჩივარი დასაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და უნდა გაუქმდეს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ, განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, ამასთან, უნდა განისაზღვროს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე, 197-ე, 199-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ს-ძის საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინება და ამავე სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 დეკემბრის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის შესახებ, განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ე.ტ-ს“-ს (ს/ნ ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ნივთების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა:

– 3.1. თვითმფრინავის გამწევი (საბუქსირე) სატრანსპორტო საშუალება (მოტოტოკი) – „Mototok International GmbH“;

– 3.2. ბოროსკოპიის ინსტრუმენტი – „KARL STORZ Industrial Endoscope SET with accessories“;

– 3.3. თვითმფრინავის მობილური ელექტრო კვების მოწყობილობა – „Combined ground power unit (GPU) FCA-90/AR-1x 600M (mobile);

– 3.4. ასანევი ელექტრო პლატფორმა „Spetial Technology 12m Electric Platform, Mark SINOBOOM. Model: GTJZ1212;

– 3.5. სტატიკური წნევის საზომი მოწყობილობა „Pitot Static Accessory Kit AK 737 Classic and AK 737-900 for Boeing 600-900;

– 3.6. ავტომანქანა მერსედეს-ბენცი (MERSEDES BENZ) სახელმწიფო ნომერი – ....., VIN: ...;

– 3.7. ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი (FORD TRANZIT) სახელმწიფო ნომერი – ....., VIN: ...;

4. შპს „ე.ტ-ს“-ს (ს/ნ ...) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული დროებითი სატესტო ანგარის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა;

5. განემართოს მოსარჩელეს, რომ საქართველოს სსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ მოსარჩელე ვალდებული იქნება აუნაზღაუროს მონინალმდეგე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის  
ლონისკიების გაუქმება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1848-2018

22 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**პალატამ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მაისის განჩინებით კასატორ ზ. ბ-ძეს, მოწინააღმდეგე მხარე – მ. მ-სა და ე. ბ-ძეს შორის დამტკიცდა მორიგეობა შემდეგი პირობებით:

1. მხარეები თანმხედებიან, რომ არსებული სასარჩელო მოთხოვნის სანაცვლოდ, მ. მ-ი გადასცემს საკუთრების უფლებით ზ. ბ-ძეს ან მის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს – ე. ბ-ძეს მის საკუთრებაში არსებულ: ა) ქ. კასპში, ... (ყოფილი ...), მე-2 სართულზე მდებარე 35,62 კვ.მ ბინასა (ს/კ№ ...) და ბ) ავტომანქანა ტოიოტა RAV 4-ს (გამოშვების წელი: 2002, სახელმწიფო ნომერი: MAR ..., შასის №AC..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბო: OV037..., გაცემული: 19.03.2013წ);

1.1. საჯარო რეესტრის 2020 წლის 13 მარტის ამონაწერით მ. მ-ის საკუთრებაში არსებული, ქ. კასპში, ... (ყოფილი ...), მე-2 სართულზე მდებარე 35,62 კვ.მ ბინა (ს/კ№ ...) დღეისათვის უფლებრივად უნაკლოა, რაც ნარმოადგენს წინამდებარე მორიგების არსებით პირობას. ამასთან, მ. მ-ი აცხადებს, რომ არ მიმდინარეობს რაიმე სახის სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავა, რომელიც გავლენას იქონიებს აღნიშნული ბინისა და ავტომანქანის უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაზე და იღებს ვალდებულებას, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებების განხორციელებისგან, რომელიც გამოიწვევს მორიგების ობიექტის რაიმე უფლებრივ შეზღუდვას ან დატვირთვას;

2. წინამდებარე მორიგების მიზნებიდან გამომდინარე, ზ. ბ-ძე ან ე. ბ-ძე ერთპიროვნულად ვალდებული არიან და აცხადებენ თან-



ხმობას, რომ მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გადაცემიდან და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით („საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“) განსაზღვრული შეზღუდვების მოხსნიდან 10 (ათი) დღის ვადაში, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენით განახორციელებენ 1. პუნქტში მითითებულ ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნის რეგისტრაციას, ასევე, ბინისა და ავტომანქანის საკუთარ თავზე გადაფორმებას;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (საქმე №51/12-14) მ. მ-ის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა ტოიოტა RAV 4-ის (გამოშვების წელი: 2002, სახელმწიფო ნომერი: MAR ..., შასის №ACA21..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონმობა: OV03..., გაცემული: 19.03.2013წ) დაყადაღების ნაწილში, ხოლო, ზ. ბ-ძის ან ე. ბ-ძის მიერ ბინისა და ავტომანქანის უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით გადაფორმების შემდეგ გაუქმდეს ამავე განჩინებით განსაზღვრული უზრუნველყოფა ბინაზე (მდებარე ქ. კასპში, ..., ს/კ № ...) ყადაღის დადების ნაწილში. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის დაყადაღებულ ბინაზე უზრუნველყოფის განჩინების გაუქმების საფუძველია საჯარო რეესტრის ამონაწერი და ავტომანქანის შესახებ ამონაწერი შსს-ს მომსახურების სააგენტოდან, რომლითაც დადასტურდება ზ. ბ-ძეზე ან ე. ბ-ძეზე უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ბინასა და ავტომანქანაზე საკუთრების უფლების აღრიცხვა;

3.1. ზ. ბ-ძე და ე. ბ-ძე იღებენ ვალდებულებას, ავტომანქანის შსს-ს მომსახურების სააგენტოში გადაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში აიღონ და მ. მ-ს გადასცენ ცნობა ავტომანქანის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბინაზე (მდებარე ქ. კასპში, ..., ს/კ № ...) არსებული ყადაღის მოხსნის ერთ-ერთ საფუძველს;

4. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მორიგების 1. პუნქტში მითითებული ბინისა და ავტომანქანის ზ. ბ-ძეზე ან ე. ბ-ძეზე უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით გადაფორმების შემდეგ, მ. მ-ი უფლებამოსილია განახორციელოს წინამდებარე მორიგების 3. პუნქტში მითითებული ყადაღის გაუქმების პროცედურული მოქმედებები და განჩინების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ბინაზე (მდებარე ქ. კასპში, ... ს/კ № ...);

4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ბინაზე ყადაღის გაუქმების

საფუძველს წარმოადგენს:

ა) ზ. ბ-ძეს ან ე. ბ-ძეზე მორიგების ობიექტის – ქ. კასპში, ... (ყოფილი ...), მე-2 სართულზე მდებარე 35,62 კვ.მ ბინის (ს/კ № ...) საჯარო რეესტრში და ავტომაქანა ტოიოტა RAV 4-ის (გამომგების წელი: 2002, სახელმწიფო ნომერი: MAR ..., შასის №ACA2..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბა: OV03..., გაცემული: 19.03.2013წ.) შსს-ს მომსახურების სააგენტოში უფლებრივად უნაკლო (იგულისხმება უფლებრივი ნაკლი, რომელიც მომდინარეობს მ. მ-ისგან) მდგომარეობით გადაფორმება (აღრიცხვა);

ბ) ზ. ბ-ძის ან ე. ბ-ძის მიერ წინამდებარე მორიგების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გადაცემიდან და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით („საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“) განსაზღვრული შეზღუდვების მოხსნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში ბინასა და ავტომანქანაზე საკუთრების უფლების სარეგისტრაციოდ წარუდგენლობა;

5. წინამდებარე მორიგების 1.1. პუნქტში მითითებული ქონების გადაფორმებამდე უფლებრივად უნაკლო მდგომარეობის შენარჩუნების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ აღმოიფხვრება წარმოშობიდან ორი თვის ვადაში, მ. მ-ი ვალდებულია, გადაუხადოს ზ. ბ-ძეს პირგასამტეხლო 7 000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით;

6. ამ შეთანხმებით სრულდება მხარეებს, როგორც ყოფილ მეუღლეებს შორის არსებული დავა და მათ ერთმანეთის მიმართ სხვა რაიმე სახის ქონებრივი პრეტენზია არ ექნებათ.

მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებით შეწყდა წარმოება სამოქალაქო საქმეზე ზ. ბ-ძის სარჩელის გამო, მ. მ-ის მიმართ, 2002 წლიდან 2010 წლის 29 იანვრამდე ზ. ბ-ძის მიერ მ. მ-ის სახელზე გადარიცხული 57 476 აშშ დოლარის ¼-ის – 14 369 აშშ დოლარისა და 2010 წლის 29 იანვრიდან 2014 წლის 17 ივნისამდე გადარიცხული 61 549 აშშ დოლარის ½-ის – 30 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. გაუქმდა მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და განემარტათ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. მ-მა, წარმოადგინა 2020 წლის 26 მაისის მდგომარეობით მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის თანახმადაც, ქ. კასპში, ... მდე-

ბარე ს/კ №... უძრავი ქონების მესაკუთრედ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.05.2020 წლის №ას-1898-2018 განჩინების საფუძველზე, რეგისტრირებულია ე. ბ-ძე, შსს მომსახურების სააგენტოს ცნობის ასლი, რომელიც ადასტურებს, რომ ავტომანქანა ტოიოტა RAV 4 (გამოშვების წელი: 2002, შასის №A...) ასევე რეგისტრირებულია ე. ბ-ის სახელზე და ხსენებული დოკუმენტების საფუძველზე განმცხადებელმა მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, რამდენადაც, მორიგების პირობები შესრულდა და აღარ არსებობდა დროებითი ღონისძიების შენარჩუნების წინაპირობები.

საკასაციო პალატა გაეცნო განცხადებას, წარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსს, შეამოწმა მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობების შესრულების საკითხი და მიიჩნევს, რომ მ. მ-ის მოთხოვნა საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოა რომ გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (საქმე №51/12-14), რომლითაც ყადაღა დაედო ქ. კასპში, ... მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ №...).

საკასაციო სასამართლოში მხარეთა შორის მიღწეულ იქნა მორიგება, რომელიც დაამტკიცა სასამართლომ და შეწყვიტა საქმის წარმოება, თუმცა, მორიგების პირობების თანახმად, ხსენებული დროებითი ღონისძიება შენარჩუნდა მხარეთა მიერ გარკვეული ვალდებულებების შესრულებამდე (იხ. მორიგების პირობები). განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება ის გარემოება, რომ შეთანხმებული მოქმედებები შესრულდა და როგორც უძრავი, ისე – მოძრავი ქონება აღირიცხა მესამე პირის საკუთრებაში, ამდენად, უდავოა, რომ ვალდებულება შესრულდა და აღარ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე, 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (საქმე №51/12-14), რომლითაც ყადაღა დაედო ქ. კასპში, ... მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ № ...).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-152-148-2016

3 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა,  
განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. გ. ხ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი ან დასაქმებუ-  
ლი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ბ-ას“ (შემდგომში – მოპა-  
სუხე, აპელანტი ან დამსაქმებელი) მიმართ და მოითხოვა გათავი-  
სუფლების შესახებ 20.05.2013წ. №... ბრძანების ბათილად ცნობა,  
01.01.2010წ. უვადო შრომითი კონტრაქტის პირობებით დასაქმე-  
ბულის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი გა-  
ნაცდურის ანაზღაურება, სადაც გადახდილი კომპენსაცია – 3 300  
ლარი ჩაითვლება 2010 წლის მაისის დარჩენილი ნაწილისა და ივნი-  
სის შრომის ანაზღაურებაში.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 01.01.2009წ. გა-  
ფორმებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით 01.04.2009 წლამ-  
დე მოსარჩელე გამოსაცდელი ვადით დასაქმდა მოპასუხე ბანკში  
საცალო მომსახურების განყოფილების სპეციალისტის (პირადი  
ბანკირი) თანამდებობაზე, 01.04.2009 წლიდან, ვადიანი შრომითი  
ხელშეკრულებით დაინიშნა ამავე თანამდებობაზე, ხოლო მოპა-  
სუხესთან 01.01.2010წ. გაფორმდა უვადო შრომითი ხელშეკრულე-  
ბა ვიპ ფილიალის საცალო მომსახურების განყოფილების სპეცია-  
ლისტის (პირადი ბანკირი) თანამდებობაზე. დასაქმებულის შრო-  
მითი ანაზღაურება განისაზღვრა ყოველთვიური 2 200 ლარით (ხელ-  
ზე ასაღები ხელფასი) და წელიწადში ორჯერ პრემიის სახით ხელ-

ფასის 70%-ით. 2013 წლის მაისში ბანკის ვიზ ფილიალის მენეჯერისგან მოსარჩელეს ეცნობა, რომ კომერციულ დირექტორს გადანყვეტილი ჰქონდა დასაქმებულის გათავისუფლება, რის გამოც ეთხოვა, საკუთარი ნებით დაენერა განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე. მიუხედავად მოსარჩელის მცდელობისა, მას არც ბანკის კომერციულმა დირექტორმა და არც აღმასრულებელმა დირექტორმა მიღებული გადანყვეტილების თაობაზე რაიმე განმარტება არ მისცეს. მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში დასაქმებულს შრომის განაწესი არ დაურღვევია და არც რაიმე დისციპლინური ღონისძიების ზომა გამოყენებულა მის მიმართ. გასაჩივრებული ბრძანებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე მოპასუხემ ცალმხრივად, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე მითითებით, შეწყვიტა დასაქმებულთან ფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელემ დაარღვია შრომის შინაგანაწესი, ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო მისი მუშაობით, ამასთან, დასაქმებულს განზრახული ჰქონდა სხვა ბანკში სამუშაოდ გადასვლა, რის თაობაზეც დამსაქმებლისთვის იყო ცნობილი, რაც შეეხება პრემირების საკითხს, იგი შრომის განაწესით იყო გათვალისწინებული და მიეცემოდა ყველა დასაქმებულს. არასწორია მოსარჩელის განმარტება, თითქოს ის გაფრთხილების გარეშე გათავისუფლდა თანამდებობიდან, რადგანაც მასთან შეხვედრა გაიმართა და შეთანხმების შესაბამისად, მიეცა 1,5 თვის შრომის ანაზღაურება, ამასთან, გათავისუფლების რეალური საფუძველი იმიტომ არ მიეთითა ბრძანებაში, რომ, განაწესის დარღვევის მითითებით მას ხელი შეეშლებოდა სხვა ბანკში დასაქმებისას. მოპასუხემ დამატებით იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ მუშაობის პერიოდში მოსარჩელე მოპასუხის კუთვნილი და სამსახურებრივად დასაქმებულზე განერილი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით კომუნიკაციას ამყარებდა სხვა კომპანიასთან, რომლის დირექტორიც მოპასუხე ბანკის კლიენტია. დასაქმებულმა ამ კომპანიის შესთავაზა ღვინის მიწოდება, რომლის მწარმოებელი კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორიც მოსარჩელის მამაა. ის გარემოება, რომ სს „ლ-ში“ გეგმავდა მოსარჩელე მუშაობის დაწყებას, დასტურდება მისი მიმონერით მოპასუხის ერთ-ერთ თანამშრომელთან, ასევე, ბანკის სხვა ოფიციალურ პითან გაგზავნილი შეტყობინებით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბანკში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას დაიშვებოდა, ამ წესის დარღვევის თა-

ობაზე გაფრთხილებული იყო ყველა თანამშრომელი, მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელე არღვევდა ამ ვალდებულებას, რის თაობაზეც ეთხოვა განმარტება, ამ უკანასკნელმა კი, ნაწილობრივ შეძლო ინფორმაციასთან წვდომის აუცილებლობის დასაბუთება. დამსაქმებლის განმარტებით, მოსარჩელე არ იყო უკმაყოფილო არსებული პირობებით ხელშეკრულების მოშლისა, მან წერილობით გამოხატა მადლიერება, თუმცა ამის საპიროსპიროდ, საბოლოო ინტერვიუსას უარყოფითად დაახასიათა დამსაქმებელი. მიუხედავად ხელშეკრულების მოშლისა, მოპასუხისათვის გაურკვეველია, რატომ გამოთქვამს პრეტენზიას დასაქმებული რვა თვის შემდეგ, რომლის თაობაზეც მას ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე არც დამსაქმებლისათვის და არც სასამართლოსათვის მიუმართავს.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების/განჩინებების სარეზოლუციო ნაწილები:**

3.1. აღნიშნული საქმე განხილულ იქნა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ და საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 5 ივნისს, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, გამოიტანა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის 20.05.2013წ. №... ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, იგი აღდგენილ იქნა მოპასუხე ბანკში ვიპ ფილიალის საცალო მომსახურების განყოფილების სპეციალისტის (პირადი ბანკირი) თანამდებობაზე და 2013 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დამსაქმებელს დაეკისრა იძულებითი განაცდურის – თვეში 2 200 ლარის ანაზღაურება (იხ. უსწორობის გასწორების შესახებ 12.06.2015წ. განჩინება);

3.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 აგვისტოს საოქმო განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

3.3. ამავე სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს განჩინებით დამსაქმებელს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და დაუსრულებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში;

3.4. 2015 წლის 14 აგვისტოს დამატებითი გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 800 ლარის გადახდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება, ასევე,

მოსამართლის აცილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება და დამატებითი გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადანყვეტილება, ამ გადანყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება და დამატებითი გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი, ასევე, საქმიდან მტკიცებულების ამორიცხვაზე უარის თქმის შესახებ 2015 წლის 30 ნოემბრის საოქმო განჩინების გაუქმება და საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადანყვეტილების, ამ გადანყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებისა და დამატებითი გადანყვეტილების უცვლელად დატოვება. კასატორმა ასევე იშუამდგომლა საქმის განხილვასთან დაკავშირებით განუული ხარჯების მონინაალმდევე მხარისათვის დაკისრების თაობაზე (იხ. საკასაციო საჩივარი).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმების/სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის განმარტების კანონიერება წარმოადგენს, ამ თვალსაზრისით კი, გასაჩივრებული განჩინება ემყარება შემდეგ დასაბუთებას:

1.1.1. მოპასუხეს თბილისის საქალაქო სასამართლოში 05.06.2015წ. 16:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე უწყება ჩაბარდა 2015 წლის 28 აპრილს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით;

1.1.2. 05.06.2015წ. 16:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე მოსარჩელემ, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, იშუამდგომლა დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღების თაობაზე. აღნიშნული შუ-



ამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა, რადგან საქმეში არ იყო არც ერთი მტკიცებულება მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე;

1.1.3. 19.06.2015 წელს მოპასუხის წარმომადგენელმა ც. ქ-იამ საქალაქო სასამართლოში წარადგინა საჩივარი, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება;

1.1.4. საქალაქო სასამართლოს 05.08.2015წ. განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში;

1.1.5. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე მოპასუხის პრეტენზიები ძირითადად სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას ემყარება, კერძოდ, მოპასუხის ძირითადი წარმომადგენელი ც. ქ-ია იმყოფებოდა ავად, რის შესახებაც მხარეს არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, გამომდინარე იქიდან, რომ პროცესი დანიშნული იყო 05.06.2015წ. 16:00 საათზე, ექიმთან მიმართვის დროდ კი დაფიქსირებულია 05.06.2015წ. 15:10 საათი, ამასთან, ც. ქ-იასთან ერთად ბანკის აქტიური წარმომადგენელი იყო გ. გ-ი, რომელიც იმ პერიოდში იმყოფებოდა საზღვარგარეთ და პროცესზე ვერ გამოცხადდებოდა. რაც შეეხებათ მ. ვ-ეს, ნ. ბ-ესა და ა. ბ-ეს ისინი აღარ წარმომადგენდნენ მოცემულ საქმეზე მინდობილ პირებს. ამასთან, მათი წარმომადგენლობის არსებობის პირობებშიც კი, შექმნილი ვითარება არ იძლეოდა მათი ინფორმირებისა და პროცესზე გამოცხადების რეალურ შესაძლებლობას. საქმეში წარმოდგენილი ც. ქ-იას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული, მხარის წარმომადგენლის – ც. ქ-იას სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რადგანაც ცუდად გახდომასა და პროცესის დაწყებას შორის დროის მცირე მონაკვეთი წარმომადგენლის მხრიდან არ იძლეოდა მარწმუნებლის ინფორმირებისა და ახალი წარმომადგენლის პროცესზე გამოცხადების რეალურ შესაძლებლობას, ასევე, სასამართლოს ინფორმირების შესაძლებლობას.

1.1.6. მოპასუხის უფლებამოსილ წარმომადგენელ გ. გ-ს, რომელიც მოპასუხე დამსაქმებლის იურიდიული და სამართლებრივი საკითხების მენეჯერია, ასევე, გააჩნდა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რამდენადაც საჩივარზე თანდართული მისი პასპორტის ქსეროასლის თანახმად, გ. გ-ი იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ხოლო დამსაქმებლის სხვა წარმომადგენ-

ლები: მ. ვ-ე, ნ. ბ-ე და ა. ბ-ე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, აღარ წარმოადგენდნენ უფლებამოსილ პირებს, დაეცვათ მოპასუხის ინტერესები, რადგანაც 22.09.2014 წლიდან ნ. ბ-ე და 01.05.2015 წლიდან ა. ბ-ე აღარ იყვნენ მოპასუხე ბანკის თანამშრომლები, ხოლო მ. ვ-ე 01.10.2014 წლიდან გადაყვანილ იქნა ამავე სამსახურის სხვა პოზიციაზე, სადაც მის ფუნქციებში ბანკის სასამართლოში წარმომადგენლობა აღარ შედის.

1.1.7. სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კიდევ ერთ საფუძვლად იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ წინამდებარე საქმე საქალაქო სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე განხილულ იქნა არსებითად და 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემულ დავაზე ერთხელ უკვე სრულყოფილად იყო მოსმენილი მოპასუხის პოზიცია, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მიზანშეწონილი არ იყო.

1.2. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის შესახებ და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა, როგორც მოპასუხის წარმომადგენლის მიერ სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიოობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ისე მინდობილობების გაუქმების საკუთხს და არასწორად ჩათვალა, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება, კასატორის მოსაზრებით, გარდა მტკიცებულებათა არასწორი შეფასებისა, გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან.

1.3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობების არარსებობის თაობაზე და ყურადღებას რამდენიმე საკითხზე გაამახვილებს:

1.3.1. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები: ა) საქ-

მის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს მოპასუხე მხარე; ბ) გამოცხადებული მოსარჩელე უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც პირველი, ისე – სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ მხარე ჯერონად იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის, ასევე, გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილია, როგორც მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენლის ინფორმირების დამადასტურებელი სატელეფონო შეტყობინების აქტი, ისე – სასამართლო უწყება, ანუ სახეზეა მოპასუხისათვის შეტყობინების საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წინაპირობები, გარდა აღნიშნულისა, უდავოა ისიც, რომ ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სხვა ამკრძალავი წინაპირობაც არ არსებობს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დასაქმებულის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციის შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, სწორად შეაფასა დადგენილად მიჩნეულ გარემოებებთან მიმართებით სასარჩელო მოთხოვნის მართებულობა (სსსკ-ის 230.2) (იხ. სუსგ-ებები: №ას-239-226-2015, 19 ივნისი, 2015 წელი; №ას-1391-1312-2012, 10 იანვარი, 2014 წელი; №ას-1261-1520-09, 23 მარტი, 2010 წელი).

1.3.2. რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე წარდგენილი პრეტენზიის მართებულობას, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას აფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის კონტექსტში და არ იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ მოპასუხის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობა საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ, სასამართლოში გამოცხადების შეუძლებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნია, წარმომადგენლის შეუძლოდ გახდომასა და სასამართლო სტდომის

დროს შორის მცირე ინტერვალის გამო კი, ჩათვალა, რომ ც. ქ-იას არ ჰქონდა შესაძლებლობა, აღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობებინა მარნმუნებლისათვის. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ მოპასუხის მეორე წარმომადგენელი – გ. გ-ი საქართველოში არ იმყოფებოდა, მ. ვ-ე გადაყვანილ იქნა სხვა თანამდებობაზე და სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენლობის უფლებამოსილება აღარ ევალებოდა, ხოლო ნ. ბ-ე და ა. ბ-ე აღარ არიან დასაქმებული მოპასუხე ბანკში. მითითებულ გარემოებასთან მიმართებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი, რამდენადაც თუკი უკრიტიკოდ გავიზიარებთ ც. ქ-იას ჯანმრთელობის მდგომარეობას და მივიჩნევთ, რომ მას მართლაც გააჩნდა სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რის შესახებაც არ შეეძლო ეცნობებინა სასამართლოსათვის/დამსაქმებლისათვის, ასევე მხედველობაში მივიღებთ გ. გ-ის საქართველოში არყოფნას, პალატა მაინც ვერ მიიჩნევს დადასტურებულად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობების არსებობას, რამდენადაც საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბანკის სხვა წარმომადგენელთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მოპასუხემ სასამართლოს მხოლოდ საჩივრის განხილვის ეტაპზე აცნობა, მათ მიმართ გაცემული მინდობილობები ძალაში იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლი, მსგავსად დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმისა (სკ-ის 720-ე მუხლი), მარნმუნებელს ყოველთვის აძლევს უფლებას, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, თუმცა, საპროცესო მიზნებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის შეწყვეტის ნამდვილობისათვის საჭიროა ეს გარემოება წერილობით ეცნობოს სასამართლოს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის სასამართლოსათვის უცნობი იყო სხვა წარმომადგენელთა მიმართ გაცემული მინდობილობების გაუქმების ფაქტი (თანამდებობის შეცვლა თუ სხვა ორგანიზაციაში დასაქმება), მარნმუნებლის ამ ნებას, საპროცესო თვალსაზრისით, ძალა მას შემდეგ მიენიჭა, რაც მხარემ ამ ნების შესახებ აცნობა სასამართლოს. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს არა ერთი განმარტების თანახმად, იურიდიული პირის (მით უფრო სამეწარმეო საზოგადოების) წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა შემთხვევაში გაუქმება დაუშვებელია, რადგანაც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ისე უნდა

უზრუნველყოს თავისი საქმიანობა (მოცემულ შემთხვევაში იურიდიული სამსახურის მუშაობა), რომ ამა თუ იმ თანამშრომლის მივლინებაში ყოფნამ/ავადმყოფობამ არ შეაფერხოს იურიდიული პირის ნორმალური ფუნქციონირება. სათანადო მენეჯმენტის არქონა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად ვერ მიიჩნევა და, ცხადია, არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების ვალდებულებისგან (იხ. სუსგ-ებები: №ას-800-854-2011, 17 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-132-127-2012, 23 მარტი, 2012 წელი; №ას-269-257-2015, 20 ივლისი, 2015 წელი; №ას-604-572-2014, 4 მაისი, 2015 წელი).

1.4. მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამ თვალსაზრისით სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს საოქმო განჩინებაზე, ისე – ამ განჩინების თაობაზე სააპელაციო პალატის შეფასებებზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლებით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების ინსტიტუტი სამართლიანი სასამართლოს პრინციპს ემსახურება და გარანტირებულს ხდის მხარის უფლებას, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განმხილველი შემადგენლობის აცილების საფუძველები პირობითად შეიძლება დაეყოს ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებად, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო აქტივად დადასტურებული, თუნდაც სუბიექტური წინაპირობის არსებობა (მაგ: სსსკ-ის 31.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, განაცხადოს თვითაცილება, მიუხედავად იმისა, მხარე გამოხატავს თუ არა უნდობლობას მის მიმართ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის აცილების საკითხის განხილვისას უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს აწესებს ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა. ამასთან, იმ საქმეების უდიდეს უმრავლესობაზე, რომლებიც მიკერძოებულობის საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს სწორედ ობიექტურობის ტესტზე აკეთებს. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში. აღნიშნულის ფარგლებში, იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლე-

გიტიმური ეჭვი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის მოსამართლე ან ორგანო, რომელიც განიხილავს საქმეს, არ არის საკმარისად მიუკერძოებელი, მოცემული პირის პოზიცია არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად არის პირის ეჭვი მიკერძოების შესახებ ობიექტურად გამართლებადი ანუ რამდენად აქვს მას შიშის საფუძველი (იხ. ვეტსტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; მიქალეფი მალტის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება; პადოვანი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება; პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება). ნიშანდობლივია, რომ ობიექტურობის ტესტი უმეტესწილად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის (იხ. მილერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება). მოცემულ საქმეში მოსამართლის აცილების საფუძველები, რომლებზეც მოპასუხე პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე და სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა და ობიექტური ტესტის გამოყენებით უნდა შემოწმდეს, მდგომარეობს შემდეგში: საქმის პირველი ინსტანციით განმხილველმა მოსამართლემ, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოპასუხეს სს „ბ-ა“, ხოლო მის წარმომადგენელს გ. გ-ი წარმოადგენდა, განაცხადა თვითაცილება იმ საფუძველით, რომ მოსამართლეს ნაცნობობა აკავშირებდა გ. გ-თან, რასაც, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა მოსამართლის მიუკერძოებლობაზე. შუამდგომლობას ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.05.2015წ. საოქმო ამონაწერი (სამოქალაქო საქმე №...) სადაც სასამართლომ სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ეს განჩინება წინ უსწრებს წინამდებარე საქმეზე მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არასწორად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით. სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ კასატორს ამ საოქმო განჩინების კანონიერების შემოწმება არ მოუთხოვია, თუმცა, ეს ვერ გახდებოდა საკითხის შეფასებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. ერთ-ერთ საქ-

მეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების ჩამონათვალი და კანონმდებელი განსახილველი ნორმით ადგენს ზემდგომი სასამართლოს ვალდებულებას, მიუხედავად სამართლებრივი შედეგისა, გააუქმოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, თუ სახეზეა მითითებულთაგან ერთ-ერთი დარღვევა. თავის მხრივ, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების არსებობისას, ზემდგომი სასამართლო არ არის შეზღუდული ამ დარღვევის თაობაზე კასატორის მითითებით (იხ. სუსგ №ას-361-340-2014, 29 ივნისი, 2015 წელი).

1.4. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

## **2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

2.1. საკასაციო საჩივარს გ. ხ-ემ დაურთო მტკიცებულებები: თ. ტ-ის დისერტაციის ამონარიდისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართვის ასლი 3 (სამი) ფურცლად.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაზიარების საფუძველი, რის გამოც ისინი უნდა დაუბრუნდეს მხარეს.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

3.1. კასატორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მონინაღ-მდეგე მხარისათვის საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეუ-ლი ხარჯების: სახელმწიფო ბაჟის – 550 ლარისა (100; 150; 300) და ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 4 100 ლარის (800; 800; 2 500) ანაზღაურება.

3.2. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მხედველობა-ში იღებს იმ ფაქტს, რომ წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოე-ბა არ დასრულებულა, არამედ, ძალაში დარჩა სააპელაციო სასა-მართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასა-მართლოს. შემაჯამებელი გადაწყვეტილების არარსებობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე სასამართლო ხარ-ჯების სრულად განსაზღვრა ვერ ხერხდება, საკასაციო პალატა არ მიიჩნევს მიზანშეწონილად მტკიცებულებების დონეზე შეაფასოს ხარჯების ნაწილში კასატორის პრეტენზიის საფუძვლიანობა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 407-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინება და ამავე პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. გ. ხ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული თ. ტ-ის დისერტაციის ამონარიდისა და თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს მიმართვის ასლი 3 (სამი) ფურცლად.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდე-ბა.



**დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების  
საფუძვლები**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-953-2020

02 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაძე**

**დავის საგანი:** შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ  
ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი გა-  
ნაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ლ. გ-ი (შემდეგში – ტექსტში მოხსენიებული, როგორც მო-  
სარჩელე, აპელანტი, დასაქმებული ან ბ. ბ-ის დირექტორი) ა(ა)იპ  
№153 საბავშვო ბ. ბ-ის დირექტორად დაინიშნა 2007 წლის 19 ოქ-  
ტომბერს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-  
ის 709-ე მუხლი). მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 1000  
ლარს შეადგენდა.

2. ა(ა)იპ თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №100  
ბრძანებით ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, მოსარჩელე  
გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის  
გადაწყვეტილებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ  
ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებ-  
ითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის სარჩელი  
დაკმაყოფილდა (იხ. გადაწყვეტილება).

4. ა(ა)იპ თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ის დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის №005  
ბრძანებით, მოსარჩელე აღადგინეს ბ. ბ-ის დირექტორის თანამ-  
დებობაზე.

5. ა(ა)იპ თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ის 2017 წლის 10 თებერვლის №015 ბრძანე-  
ბით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო ბრძა-  
ნება), ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, მოსარჩელე კვლავ  
გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლებას  
სშკ-ის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, ბ. ბ. მ. ს-  
ის წესდების მე-6 მუხლის, მე-5 პუნქტის „ნ“ და „ს“ ქვეპუნქტები

დაედო საფუძვლად.

6. 2017 წლის 10 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ სადავო ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მოითხოვა სარჩელის უარყოფა უსაფუძვლობის მოტივით.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება; სამსახურში აღდგენის თაობაზე მოთხოვნა უარყოფილ იქნა; მოპასუხეს ერთჯერადი კომპენსაცია – 6000 (დაუბეგრავი) ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე და 24-ე მუხლები; სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლები; ასევე – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4, მე-8 და მე-14 მუხლები, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი; სშკ-ის მე-2, 32-ე, 37-ე და 38-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, მე-8, 54-ე, 115-ე, 316-ე, 317-ე მუხლები გამოიყენა.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 29 მაისის სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონინალმდეგე მხარე, რის გამოც, აპელანტმა მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 387.2 მუხლი).

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 29 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა; მოსარჩელე აღდგენილი იქნა დირექტორის თანამდებობაზე. აგრეთვე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის სახით დაეკისრა 2017 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენამდე ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა

12. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წარმომადგენელმა გაასაჩივრა საჩივრით. მისი მითითებით, სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სახელ-

დობრ, ავადმყოფობით, რაც დასტურდება ჯანმრთელობის შესახებ №302 ცნობით (იხ. სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა IV-100/ა).

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პატივსადები მიზეზი.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 29 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვა.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 მარტის განჩინებით ა(ა)იპ თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, შემდეგი დასაბუთებით:

16. სსსკ-ის 230.1 მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

17. საკასაციო პალატის განმარტებით, მსგავსი პრინციპით სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ, თუ საქმის განხილვაზე მონიწილდებოდა მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება, დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნორმით კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე დადგენილ და გაზიარებულ იქნეს სააპელაციო საჩივარში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებანი. თუ ისი-

ნი იურიდიულად ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება.

18. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი თავისთავად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადანწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და ქმნის ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდეგ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია, ხოლო, თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად არ ამართლებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

19. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოწინააღმდეგე მხარისათვის საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტყობინება; 2. მისი არასაპატიო გამოუცხადებლობა; 3. სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტების იურიდიული მართებულობა აპელანტის მოთხოვნასთან მიმართებით.

20. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ბ. ბ-ის დირექტორი. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნა, რომ სარჩელი იურიდიულად გამართლებული იყო და განმარტა, რომ მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღ-

ჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მას ზუსტად განსაზღვრავს საქართველოს შრომის კოდექსის 2.1 მუხლი და შეიძლება, დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან.

21. ამდენად, მხარეებს შორის სსკ-ის 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალბული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე) მუხლის საფუძველზე, დაიდო დავალების ხელშეკრულება, რაც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც ნესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულს ვალდებულებას წარმოადგენს დავალბული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი.

22. ამასთან, საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია სსკ-ის 720.1 მუხლის შინაარსზე, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ და ამ უფლებაზე უარის შესახებ სხვაგვარი შეთანხმება ბათილია. ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან (ამასთან დაკავშირებით შდრ. საქმე სუსგ №ას-1203-2018, 25.04.2019, №ას-838-784-2017, 31.07.2017, № ას-379-363-2016, 30.06.2016).

23. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, კერძოდ, სარჩელი იურიდიულად გამართლებული არ იყო, რის გამოც, მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 05 ივნისის განჩინებით საქმეზე დაინიშნა

ზეპირი განხილვა.

25. 2020 წლის 16 ივლისს 17:00 საათზე სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირ განხილვაზე, არ გამოცხადნენ მონინალმდევგე მხარის – ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ წარმომადგენლები – მ. ჩ-ი და გ. ქ-ძე, რომელთაც სხდომის დღე ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

26. სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენლებმა იშუამდგომლეს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის შუამდგომლობა, მონინალმდევგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდა, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის დაკისრებაზე უარის თქმის, ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-თვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი კომპენსაციის 6000 ლარის დაკისრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-თვის“ სახელმწიფო ბაჟის – 180 ლარის დაკისრების ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები) და გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღნიშნულ ნაწილებში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მოსარჩელე აღდგენილ იქნა ა(ა)იპ „ქ. თბილისის №... საბავშვო ბ. ბ-ის დირექტორის“ თანამდებობაზე; ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის სახით ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2017 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

28. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოუცხადებელი მხარე მონეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ (სსკ-ის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ მონინალმდევგე მხარის წარმომადგენლებს – მ. ჩ-ს და გ. ქ-ძეს 2020 წლის 08 ივლისს გამართული სასამართლო სხდომის შემდეგ ხელწერილის საშუალებით ეცნობათ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის 16 ივლისს 17:00 საათზე დანიშნული/გადადებული სასამართლო სხდომის თაობაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ხელწერილით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია,

რომ ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ. მ.ს-ოს“ წარმომადგენელს – მ. ჩ-ს სხდომის შესახებ ეცნობა კანონით დადგენილი წესით.

29. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საჭიროა კიდევ ერთი პირობის არსებობა, კერძოდ, აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, შემდეგ გარემოებათა გამო:

30. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ 2017 წლის 10 თებერვლის №2/015 ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელე დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, გათავისუფლდა ა(ა)იპ „ქ. თბილისის №... საბავშვო ბ. ბ-ის“ დირექტორის თანამდებობიდან 2017 წლის 10 თებერვლიდან. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი და ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ დაფუძნების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №16.67.710 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2016 წლის 13 ივლისის №27.28.613 განკარგულებით დამტკიცებული ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ წესდების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“ და „ს“ ქვეპუნქტები.

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით დამტკიცებულია ა(ა)იპ „თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ წესდება. აღნიშნული წესდების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამენარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესდებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. ამავე წესდების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის, სავალუტოც) სა-

ბანკო დანესებულებებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

32. მითითებული წესდების თანახმად, სააგენტოს დამფუძნებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახით. რაც შეეხება სააგენტოს სტრუქტურას, სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.მ.ს-ის“ წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად, სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე კი სააგენტოს ძირითადი მიზნებია: უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელება; უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მომსახურების ხარისხის მდგრადობა; კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების საქმიანობის ყველა მიმართულების მონიტორინგი და ა.შ. აღნიშნული წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს დაფინანსება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან და განახორციელოს აღნიშნული სახსრების ხარჯვა, მათ შორის, გადაანაწილოს მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე, ხოლო ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის უფლებამოსილია ამ წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინსფრასტრუქტურის და სხვა მიმართულების განვითარების პროექტები, მათ შორის: ახალი სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მშენებლობის ორგანიზება; სურსათის შეყიდვის მიზნით, სატენდერო პროცედურების უზრუნველყოფა, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ფართების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი; აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობისთვის, არსებული სტანდარტების შესაბამისად სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ეზოების მოწყობა (ატრაქციონები, სათამაშო მოედნები და სხვა) და სხვა ღონისძიებები.

33. ა(ა)იპ „ქ. თბილისის №... საბავშვო ბ.ბ-ის“ წესდების მე-4 მუხ-



ლის პირველი პუნქტის თანახმად, საბავშვო ბ. ბ-ს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ქმნის დანესებულების სათათბირო ორგანოს. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე კი, დირექტორი მართავს საბავშვო ბ. ბ-ს; წარმართავს და ორგანიზებას უწევს დანესებულების საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე და ა.შ. მითითებული წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ბ. ბ-ს გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საბავშვო ბ. ბ-ის დაფინანსების წყაროა ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი. აღნიშნული წესდების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს მუშაობის არანაკლებ ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები და არ მიუღწევია 60 წლის ასაკისათვის.

34. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობად უნდა შეფასებულიყო, შემდეგ გარემოებათა გამო:

35. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

37. დავალების ხელშეკრულება განეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. პირს ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლია უშუალოდ განახორციელოს კონკრეტულ ურთიერთობაში მისი უფლებები და მოვალეობები. დავალების ხელშეკრულება კი ის სამართლებრივი სა-

შუალეზაა, რომლის მეშვეობითაც ასეთ პირს შეუძლია მიანდოს გარკვეული მოქმედების შესრულება. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსენსუალური ხელშეკრულებაა, რომლის მხარეებია, ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალე-ბული მოქმედების განხორციელებას.

38. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე ქ. თბი-ლისის მთავრობის 2007 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით დაი-ნიშნა ქ. თბილისის №... საბავშვო ბ. ბ-ის დირექტორად. იგი აღნიშ-ნული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2015 წლის 13 ივლისს სა-ქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 თებერვლის გადან-ყვეტილებით, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შე-სახებ ბრძანება უკანონოდ იქნა ცნობილი და იგი აღდგენილ იქნა სამსახურში იმავე პოზიციაზე. ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ 2017 წლის 16 იანვრის ბრძანებით, ლ. გ-ი დაინიშნა ხელმეორედ ა(ა)იპ „ქ. თბი-ლისის №... საბავშვო ბ. ბ-ის“ დირექტორის თანამდებობაზე და უფ-ლებამოსილებას ახორციელებდა მისი სამსახურიდან გათავისუფ-ლების შესახებ 2017 წლის 10 თებერვლის ბრძანების გამოცემამ-დე. აღნიშნული გარემოებებით დასტურდება, რომ მხარეებს შო-რის არსებობდა ხანგრძლივი სამსახურებრივი ურთიერთობა, აღ-ნიშნულმა პერიოდმა მოიცვა ასევე მათ შორის დავა და სასამარ-თლოში საქმის განხილვა. ამ ხნის განმავლობაში მათი ურთიერთო-ბა თვით მხარეთა და სასამართლოს მიერ შეფასებულ იქნა შრო-მით-სამართლებრივ ურთიერთობად და მხარეები მოქმედებდნენ შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანანესით დადგენილ ფარგლებში.

39. სააპელაციო სასამართლომ სასამართლო პრაქტიკაზე მი-თითებით აღნიშნა, რომ სანარმოსა და დირექტორს შორის ურთი-ერთობა წესრიგდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი-სა და სსკ-ის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, სანარმოს დირექ-ტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, გან-სახილველ დავაზე მსჯელობისას, მენარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობე-ბის, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამარ-თლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები). დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვე-ობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მი-ღება, ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციების წარ-

მოება და ა.შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს (იხ. სუსგ №ას-655-611-2017, 11.07.2017წ; შდრ. სუსგ-ები: №ას-895-845-2015, 29.01.2016წ; №ას-560-535-2016, 02.09.2016წ; №ას-918-884-2016, 10.07.2017წ).

40. საკოორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებით ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწვევი ვალდებულია, გასწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. სასამართლო განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი (იხ. სუსგ №ას-1203-2018, 25.04.2019 წ.). საკასაციო სასამართლოს მითითებული მსჯელობა ეხება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საწარმოსა და დირექტორს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებას, და აკეთებს დასკვნას, რომ ეს ხელშეკრულება მიჩნეულ იქნეს დავალების ხელშეკრულებად. მისი ეს მსჯელობა არ ეხება ა(ა)იპ-ს, რომელიც არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით საწარ-

მოს და წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამენარმეო საქმიანობა.

41. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ქ.თ.ს.ბ.ბ. სააგენტო“ არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით საწარმოს. ის წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამენარმეო საქმიანობა. ა(ა)იპ „ქ.თ.ს.ბ.ბ. სააგენტოს“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის №... ს. ბ. ბ-ის“ წესდებების თანახმად, ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ და მის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბ. ბ. ფუნქციური დანიშნულება და მიზანია სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მართვა და წესდებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბავშვო ბ. ბ. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ანუ ისინი ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ბ. ბ-ის დირექტორი ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოკიდებულია სააგენტოზე, მოპასუხემ თავად განუსაზღვრა მოსარჩელეს სამუშაო ადგილი და შეუქმნა სამუშაოს შესასრულებლად საჭირო პირობები, შრომითი ურთიერთობის მანძილზე ბ-ის დირექტორი, როგორც დასაქმებული, სარგებლობს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით და გარანტიებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად პირდაპირ მითითებულია, საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობა ადასტურებს იმას, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა იწყება, შემდგომში წესრიგდება და სრულდება საქართველოს შრომის კოდექსით, რაც იმას ნიშნავს რომ სააგენტოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა წარმოადგენს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას. ამასთან, მოცემულ სადავო ურთიერთობასთან მიმართებით, არ არსებობს მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკა და მსგავსი ტიპის საქმეები სასამართლოს მიერ შეფასებულია, როგორც შრომით ურთიერთობად, ისე დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობად. მსგავსი ტიპის დავაზე ა(ა)იპ საბავშვო ბ. ბ-ის დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა) საქართველოს უზენაესის სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გან-

ჩინება არ განსხვავდებოდა საკასაციო სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან, ხოლო ქვემდგომი ინსტანციების მიერ აღნიშნული დავა მიჩნეული იყო შრომით სამართლებრივ დავად და არა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობად (იხ. საქმე №ას-1135-2018).

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მონინალმდევე მხარის გამოუცხადებლობის გამო, ჩაითვალა დამტკიცებულად, იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას.

43. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე მონინალმდევე მხარემ (მოპასუხე) წარადგინა საკასაციო საჩივარი.

44. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად სხდომა დაინიშნა 8 ივლისს, რომელიც გადაიდო 16 ივლისს 17:00 საათზე, თუმცა კასატორის მიერ ჩანიშნული იქნა 17 ივლისი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოდან განხორციელებული ზარის საფუძველზე, წარმომადგენელი დაგვიანებით გამოცხადდა აღნიშნულ დღეს სხდომაზე, სავარაუდოდ, სხდომა დანიშნულ დროს დაიწყო და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილი იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

45. კასატორი აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე მსჯელობის საგანს წარმოადგენს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ თავად სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

46. კასატორი მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლომ 2020 წლის 02 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე №ას-1337-2019 განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ ამართლებდა სარჩელში მითითებულ გარემოებებს, შესაბამისად, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა. მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „სწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი, ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდეციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინე-

ბული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მას ზუსტად განსაზღვრავს საქართველოს შრომის კოდექსის 2.1 მუხლი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ენევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულებისგან. ამდენად, მხარეებს შორის სსკ-ის 709-ე მუხლის საფუძველზე, დაიდო დავალების ხელშეკრულება, რაც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგს და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედებების მმართველის გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 720.1 მუხლის შინაარსზე, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ და ამ უფლებაზე უარის შესახებ სხვაგვარი შეთანხმება ბათილია. ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. შესაბამისად, სააგენტო არ არის კლასიკური გაგებით, დამსაქმებელი, ბ. ბ-ის დირექტორის დანიშვნა დამოკიდებულია მისი, როგორც, დამფუძნებლის ნების გამოხატვაზე და დადგენილი წესით რეგისტრაციაზე, ამის სანაცვლოდ კი სააგენტო ითხოვს მხოლოდ ერთს, ბ. ბ. სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული წესდებითა და დანესებულების შინაგანწესით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას და მინდობილი პირის კეთილსინდისიერ ქმედებას. სააგენტო დადგენილი მექანიზმების მეშვეობით აკონტროლებს და ზედამხედველობას უწევს დირექტორების საქმიანობას. დირექტორები, თავის მხრივ, როგორც დამფუძნებლის მიერ დანიშნული პირები, ანგარიშვალდებულნი არიან სააგენტოს წინაშე და აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ ექსკლუზიურად კონკრეტული ა(ა)იპ-ის ინტერესებში და მისი მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია ასეთი წესების დარღვევისკენ და საწინააღმდეგოდ, ან არ არის ბ. ბ-ის ინტერესებში, ან აზიანებს ამ ინტერესებს, ანიჭებს დამფუძნებელს უფლებას ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული პოზიციიდან, თუმცა სააგენტოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ მიუ-

ღია რეალური საფუძვლების გარეშე.

47. კასატორი მიუთითებს, რომ №153 საბავშვო ბ. ბ-ის საქმიანობის არცერთი მიმართულება არ იყო გამართული, კერძოდ: საკვები პროდუქტების შენახვის ვადების დარღვევა, პრემიების უსაფუძვლოდ გაცემა, სარემონტო სამუშაოების დარღვევით ჩატარება, ხელშეკრულებების დარღვევით გაფორმება, არაკვალიფიციური კადრები, ბ. ბ-ის ავეჯის მითვისება და საკუთარით ჩანაცვლება და ა.შ (აღნიშნულის მტკიცებულებები წარმოდგენილია საქმეში). შესაბამისად, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, ბ. ბ-ის დირექტორი, რომელიც არაჯეროვნად და არაკვალიფიციურად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან.

48. კასატორი მიუთითებს, სააპელაციო სასამართლო ავითარებს მსჯელობას, რომ სააგენტო არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით საწარმოს, არამედ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, შესაბამისად დირექტორსა და სააგენტოს შორის ურთიერთობა წარმოადგენს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხედველობიდან არ გამოერჩენია, ბ. ბ. სამართლებრივი სტატუსი და განმარტებას აკეთებს კონკრეტულად ა(ა)იპ-თან მიმართებაში, შესაბამისად აღნიშნული მსჯელობა უსაფუძვლოა. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ დავებთან დაკავშირებით არ არსებობს მყარად დადგენილი პრაქტიკა. აღნიშნულს კასატორი არ იზიარებს და უთითებს საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებას, კერძოდ: საქმე №ას-379-363-2016, 30.06.2016; ას-828-784-2017, 31.07.2017; ას-1203-2018, 25.04.2019; ას-1559-2019, 02.03.2020; ას-1337-2019, 02.03.2020; ას-1478-2019 24.03.2020; ას-999-2019 24.07.2020, კასატორი მიუთითებს, რომ ბოლო ოთხი გადაწყვეტილება ეხება კონკრეტულად სააგენტოსა და ბ-ებს შორის დავებს და შრომით-სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკის არსებობის მაგალითად, სააპელაციო სასამართლო იშველიებს საკასაციო სასამართლოს №ას-1135-2018 საქმეს. კასატორი აღნიშნავს, რომ, სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ საქმეში დავა მიმდინარეობდა ბ. ბ-სა და ბ-ის დირექტორის მოადგილეს შორის. აღნიშნული დავა პრაქტიკისათვის გამოდგება სხვა სამართლებრივი კატეგორიის საქმეებზე. კასატორი ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ბ. ბ-სა და მის მიერ დანიშნულ ნებისმიერ თანამშრომელთან ურთიერთობა წესრიგდება შრომის სამართლის შესაბამისად. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააგენტოს წარმომადგენლის სხდომაზე გამოცხადების შემთხვევაშიც კი, სააპელაციო სასამართლოს სასარჩევ

ლო მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით ჰქონდა საკუთარი შეხედულება და მაინც მიიღებდა ანალოგიურ გადაწყვეტილებას, რისი თქმის საფუძველსაც წარმოადგენს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუთება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის (საქმე №ას-379-363-2016, 30.06.2016; ას-828-784-2017, 31.07.2017; ას-1203-2018, 25.04.2019; ას-1559-2019, 02.03.2020; ას-1337-2019, 02.03.2020; ას-1478-2019 24.03.2020; ას-999-2019 24.07.2020) და კონკრეტულად საქმე №ას-1337-2019 02.03.2020 წელი, არსებული განმარტების გათვალისწინებით, კასატორი მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სრულად გაუქმებას და მოსარჩელისათვის სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2020 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის (საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე) საფუძველით.

50. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. გ-ის (მოსარჩელე) სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის – ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.მ.ს-ოს (მოპასუხე) წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო, დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელის სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ასევე მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი კომპენსაციის 6000 ლარის დაკისრების ნაწილში და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე აღდგენილ იქნა ა(ა)იპ „ქ. თბილისის №... საბავშვო ბ. ბ-ის დირექტორის“ თანამდებობაზე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ აგრეთვე დაე-



კისრა განაცდურის სახით ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2017 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

51. საკასაციო პალატის შეფასების საგანია სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა.

52. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

53. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ წინამდებარე საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 02 მარტის განჩინების საფუძველზე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 05 ივნისის განჩინებით საქმეზე 2020 წლის 16 ივლისს 17 საათზე დაინიშნა ზეპირი განხილვა. სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირ განხილვაზე, არ გამოცხადდნენ აპელანტის მონინაალმდევე მხარის წარმომადგენლები – მ. ჩ-ი და გ. ქ-ძე, რომელთაც სხდომის დღე ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის წარმომადგენლებმა იშუამდგომლეს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის შუამდგომლობა მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდა: სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელის სამსახურში აღდგენაზე და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოსათვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი კომპენსაციის 6000 ლარის დაკისრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოსათვის“ სახელმწიფო ბაჟის – 180 ლარის დაკისრების ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები) და ამ ნაწილებში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მოსარჩელე აღ-

დგენილ იქნა ა(ა)იპ „ქ. თბილისის №153 საბავშვო ბ. ბ-ის დირექტორის“ თანამდებობაზე. ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის სახით ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2017 წლის 10 თებერვლიდან სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

54. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოუცხადებელი მხარე მონვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ (სსკ-ის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებს – მ. ჩ-ს და გ. ქ-ქს 2020 წლის 08 ივლისს გამართული სასამართლო სხდომის შემდეგ ხელწერილის საშუალებით ეცნობათ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის 16 ივლისს 17:00 საათზე დანიშნული/გადადებული სასამართლო სხდომის თაობაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ხელწერილით (იხ., ამ განჩინების პპ:23-27).

55. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში, პირველ რიგში, იმსჯელებს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობაზე, კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად სხდომა დაინიშნა 2020 წლის 08 ივლისს, რომელიც გადაიდო 16 ივლისს 17:00 საათზე, თუმცა, კასატორის მიერ ჩანიშნული იქნა 17 ივლისი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოდან განხორციელებული ზარის საფუძველზე, მოპასუხის წარმომადგენელი დაგვიანებით გამოცხადდა 16 ივლისის სხდომაზე, სავარაუდოდ სხდომა დანიშნულ დროს დაიწყო და აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოტანილ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება (იხ. ამ განჩინების პ.43).

56. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა ვერ შეძლო დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის წარმოდგენა შემდეგი გარემოებების გამო:

57. საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისაგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით (იხილეთ *Nideröst-Huber v Switzerland*, 18/02/1997, § 23; *Kress v France* (დიდი პალატა), no.39594/98, § 72, ECHR 2001-VI; *Yvon v France*, no 44962/98, § 31, ECHR 2003-V; *Gorraiz*

Lizarraga and Others v Spain, no. 62543/00, § 56, ECHR 2004-III. „სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი კონცეფცია“ მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. Ruiz-Mateos V Spain, 23/06/1993, § 63, ECHR, Series A, no.262; Lobo Machado v Portugal, 20/02/1996, § 31, 1996-I. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნების დაცვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში (იხილეთ Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, 27.10.1993, § 33, seria A no. 274). აღნიშნული პრინციპი იმასაც გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ. Dilipak and Karakaya v Turkey, no. 7942/05 da 24838/05, 04/03/2014, § 77). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები მხარეს არ ჩაბარდა, მაშინ მას შეიძლება ხელი შეეშალოს სამართალწარმოების პროცესში საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში (იხ. Ozgur-Karaduman v Germany, no. 4769/02, 26/06/2007; Weber v Germany, no. 30203/03, 02/10/2007; Zavodnik v Slovenia, no.53723/13, 21/05.2015, § 70).

58. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსრულებელი გადანაცვებების მიღების შესაძლებლობის კუთხით. (იხილეთ: Azdajic v. Slovenia, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; Gankin and Oters v Russia, no. 12938/12. 31/05/2016, § 26.) თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით კი მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო სამართალწარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესით: მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, გამოიტანოს მისთვის სასურველი გადანაცვებება, ხოლო მოპასუხის ინტერესი – ესაა მოსარჩელისათვის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა მონაწილე-

ობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადანყვეტა მხარის შეუტყობინებლად უნდა დაკვალიფილცირდეს, როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსკ 394-ე მუხლი), ასევე საქმის წარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

60. ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს საშუალებას აძლევს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მაგრამ, რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე (რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ) და არც არაფერი აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ? საქმის განხილვა და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ-ერთი მხარის ნება-სურვილზე. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში საქმე განხილული და გადანყვეტილი უნდა იქნეს გამოუცხადებელი მხარის მონაწილეობის გარეშე.

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადანყვეტილება – ესაა სასამართლო სხდომაზე (როგორც მოსამზადებელ სხდომაზე, ასევე მთავარ სხდომაზე) გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადანყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს. დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანას საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოუცხადებელი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე მონაწილეობის მიმართ (როცა მოსარჩელე არ გამოცხადდა) ან აღიარებს (ცნობს) ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნას (როცა არ ცხადდება მოპასუხე).

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადანყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადანყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადანყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათ-

ვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ან/და არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეეწინააღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (შდრ. სუსგ №ას-1158-1113-2016, 10 თებერვალი, 2017).

63. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არ არის გამორიცხული შემთხვევები, რომ მხარე, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, კვლავ არ გამოცხადდეს დანიშნულ დროს იმ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე განიხილება არსებითად. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს მის მიმართ განმეორებით (მეორე) დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება, რომელიც მეორედაა გამოტანილი ერთი და იმავე პირის (მხარე) სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლობის გამო. ამიტომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არ იქნება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს, როგორც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. (ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. შდრ: BGHZ, Beschluss vom 07.12.2017 – IX ZR 81/17 – WM 2018, §345 ZPO, §514 Abs.2.Satz 1 ZPO, 445.)

64. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ (საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრისაგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზებით. ამრიგად, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებოდეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსე-

ბითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს გადაწყვეტილება ეფუძნება – გამოუცხადებლობა, კერძოდ გამოუცხადებლობის საპატიობა. სააპელაციო და საკასაციო საჩივრისგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ ამ საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ გამონაკლისია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 242-ე, 366-ე, 392-ე მუხლებით.

65. განმეორებითი (მეორე) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობებია: ა) იმავე პირის მიმართ, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, უკვე არსებობს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვიზეც ადრე იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება – არ იქნება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ეს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია თუ არა. ბ) მიმდინარეობს სასამართლო სხდომა არა საჩივრის დასაშვებობის შემონმების მიზნით, არამედ ამ საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების მიზნით, ან სხდომა, რომელზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ განიხილება საქმე არსებითად. გ) არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა წინაპირობა ანუ არ არსებობს მისი გამოტანისათვის კანონით გათვალისწინებული ხელის შემშლელი გარემოებები (სსსკ-ის 233-ე მუხლი).

66. სსსკ-ის 242-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს არა მარტო პირველ ინსტანციაში, არამედ სააპელაციო სასამართლოშიც. დაუსწრებელი წარმოება სააპელაციო ინსტანციაში ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით. დაუსწრებელი წარმოების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სსსკ-ის 366-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ დაიშვება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. სააპელაციო სა-

ჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილების გამოტანის სასამართლოში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრები.

67. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საკასაციო გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ცალკეული გამონაკლისი შემთხვევა (აკრძალვა), როცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ დაიშვება საკასაციო წესით. კერძოდ, დაუშვებელია სააპელაციო სასამართლოს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება (სსსკ-ის 392-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საკასაციო წესით დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება კასაციის წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი წინამძღვრები. (სსსკ-ის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

68. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, ამ ნორმაში გათვალისწინებული ტერმინები „ცვლილებებითა“ და „დამატებებით“ მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს ინსტანციისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რომელთა შეცვლა დაუშვებელია და მხოლოდ ამ თავისებურებების გათვალისწინებით (და არა მათი უგულვებელყოფით) არის შესაძლებელი პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვა.

69. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრე-

ბელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ენიშნავს. იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემომხდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მონინალმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა. სსსკ-ის 372-ე მუხლი განსაზღვრავს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენების ფარგლებს, ე.ი. ამ წესების გამოყენება არ ატარებს შეუზღუდავ ხასიათს, არამედ შეზღუდულია სააპელაციო სასამართლოს მიზნებით, სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების თავისებურებებით. მაშასადამე, სსსკ-ის 387-ე მუხლის 3-ე ნაწილი სისტემურლოგიკურ კავშირშია სსსკ-ის 372-ე მუხლთან. (შდრ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016).

70. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიძლება ორ კომპონენტად იქნეს დაყოფილი: ფაქტობრივი ნაწილი, რომელიც ივარაუდება ამ ნორმით და სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება ფაქტობრივ ქცევას. განსახილველ მუხლში მოცემულია პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს იურიდიული შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილება. პირობებს, გარემოებებს, რომელთა არსებობისასაც შეიძლება იქნეს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, წარმოადგენს საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის (აპელანტი, მისი მონინალმდეგე მხარე) გამოუცხადებლობა და გამოცხადებული მხარის (აპელანტი, მისი მონინალმდეგე მხარე) სასამართლოსადმი თხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი ავსებს და არ „აუქ-



მებს“ პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილ წესს. ის პირობები, გარემოებები, რომელიც დადგენილია პირველი და მეორე ნაწილებით (საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობა და ა.შ.), ნაგულისხმევია სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო ამ ნორმაში მითითებული სიტყვები „სხვა შემთხვევაში“ გაგებული უნდა იქნეს ზუსტად ის შემთხვევები, რომლებიც საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობასთან ერთად იწვევენ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც არ არის მითითებული სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (მაგალითად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას; ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ა.შ.). აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შესაგებლის წარუდგენლობა და საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა სხვადასხვა პირობებია, რომლებიც გათვალისწინებულია სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლი სპეციალური ხასიათისაა, მის მე-3 ნაწილში მითითებული სიტყვების „სხვა შემთხვევაში“ ფართო განმარტება არ შეიძლება იმ შეზღუდვების გაუთვალისწინებლად, რაც დადგენილია სსსკ-ის 372-ე მუხლით.

71. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუკი ვლინდება სსსკ-ის 233-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებულ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. იმ შემთხვევაში, თუკი, არ იკვეთება სსსკ-ის 233-ე მუხლის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი კონკრეტული გარემოებები, კანონი მხარეს ანიჭებს უფლებას, რომ მიუთითოს ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნ-

ქტზე – ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. აღნიშნული ქვეპუნქტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების გარემოებებზე აბსტრაქტულად მიუთითებს – „სხვა მოვლენა“ ან „დაუძლეველი ძალა“, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრეციის ფარგლებში ექცევა სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის აბსტრაქტული შემადგენლობის შეფასება და დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თუ დასახელებული გარემოების გაზიარება. სამოსამართლო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას (ანუ, იმის დადგენისას, რომ მითითებული გარემოებები შეესაბამება „სხვა მოვლენის“ ან „დაუძლეველი ძალის“ ობიექტურ გამოვლინებას), მოსამართლე იკვლევს და ადგენს, მხარის მიერ წარმოდგენილი გარემოებები/ფაქტები დანამდვილებით უზრუნველყოფენ თუ არა კანონით მინიჭებული საპროცესო მიზნების მართლზომიერ რეალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის – სსსკ-ის 233-ე მუხლის ობიექტური მიზნის განსაზღვრა, ანუ ტელელოგიურ განმარტება, რომლის დროსაც შესაფასებელია სამართლის ნორმის მიმართება სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ. სსსკ-ის 233-ე მუხლი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის უფლებადაცვითი შინაარსის მატარებელია და მთლიანად შეეხება იმ კონკრეტულ და ობიექტურ გარემოებებს, რომელთა არსებობაც გამოორიცხავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას; თუმცა, სამოქალაქო ბრუნვის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვროს სოციალური ყოფის ყოველი კონკრეტული გარემოება, რაც, ასევე შეიძლება წარმოადგენდეს გამოუცხადებლობის საპატიოდ შემაფერხებელ გარემოებას. სწორედ ამიტომ, ნორმით დადგენილი მიზნების რეალიზებას ემსახურება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანანესი „დაუძლეველი ძალისა“ და „სხვა მოვლენის“ შესახებ. ვინაიდან ამ ტერმინებს საპროცესო კანონმდებლობაში სიტყვასიტყვითი განმარტება არ გააჩნიათ, მათი დადასტურება დაინტერესებული მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

73. მაშასადამე, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ამგვარი გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეული ვა-

რადი, თუ დაამტკიცებს, რომ არსებობდა იმგვარი მოვლენა, რომელიც, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, გონივრული შეფასებიდან გამომდინარე, ქმნის პრეზუმფციას არა მარტო დაინტერესებული მხარის ინტერესის შესახებ განსახილველი საქმის მიმართ, არამედ გამოუცხადებლობის ობიექტურ ან/და ადამიანურ ფაქტორებზეც. მხოლოდ ამ გარემოებათა ერთობლივად შეჯერებითა და შეფასებით არის შესაძლებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს მხარის კანონიერი ინტერესების (მიიღოს მონაწილეობა საპროცესო სამართალწარმოებაში) დაცვას, ამასთან, ობიექტურ გარემოებათა დადასტურების შემთხვევაში, მხარის გამოუცხადებლობას საპატიოდ მიიჩნევს და დაუშვებელია, რომ ამ მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისთვის დამახასიათებელი საპროცესო წესით დადგინდეს როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, ისე სამართლებრივი შედეგიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ისეთ ვითარებას, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნებოდა სანქცია არა მარტო უპასუხისმგებლო, ან პროცესის მიმართ ინტერესის არმქონე პირისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც რეალური ინტერესი გააჩნია სამართალწარმოების მიმართ, მაგრამ საპატიო გარემოების გამო ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. სსსკ-ის 233-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი სწორედ ისეთ შემთხვევებს ანესრიგებს, რომ მხარეს არ ჩამოერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი გამოუცხადებლობა ყველა შემთხვევაში მარტოდენ სანქციად არ იქცეს (შეადრ: სუსგ №ას-1504-2019, 13 მარტი, 2020 წელი).

74. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ კასატორი (მონინააღმდეგე მხარე) ინფორმირებული იყო სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის 16 ივლისს დანიშნული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, დადგენილია, რომ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადნენ მონინააღმდეგე მხარის – ა(ა)იპ „ქ.თ.ს.ბ.მ.ს-ოს“ წარმომადგენლები – მ. ჩ-ი და გ. ქ-ძე, რომელთაც სხდომის დღე ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით (ამ განჩინების პ.17). შესაბამისად, საკასაციო საჩივრის ის არგუმენტი, რომ კასატორის მიერ სააპელაციო სასამართლოში სხდომის თარიღად ნაცვლად 16 ივლისისა, მხარის მიერ ჩანიშნული იქნა 17 ივლისი, ასევე მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოდან განხორციელებული ზარის საფუძველზე, წარმომადგენელი დაგვიანებით გამოცხადდა სხდომაზე აღნიშნულ დღეს, სავარაუდოდ სხდომა დანიშნულ დროს დაიწყო და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გა-

მოტანილი იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკასაციო პალატის მოსაზრებით ვერ გააქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 387-ე, 230-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების არსებობას. ამდენად, ამ ნაწილში, კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

75. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორი პრეტენზიას აცხადებს ასევე სარჩელის მოთხოვნის იურიდიული მართლზომიერების წინააღმდეგ, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მსჯელობის საგანს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე წარმოადგენს თავად სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა (ამ განჩინების პ.44). კასატორი მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა სამართლებრივად წარმოადგენს დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობას და არა შრომით სამართლებრივ ურთიერთობას. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოპასუხე სააგენტო არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით სანარმოს, არამედ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი, ამიტომაც დირექტორსა და სააგენტოს შორის ურთიერთობა წარმოადგენს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას.

76. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია შემდეგი გარემოებების გამო:

77. განსახილველ საქმეში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორის სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების კანონიერების შემოწმება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში განვითარებული სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ა(ა) იპ-ის დირექტორის სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, სსსკ-ის 230.2 მუხლის დანაწესის კონტექსტში, ეწინააღმდეგება ამ სახის დავებთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკას (შდრ. სუსგ-ები №ას-1337-2019, 2 მარტი, 2020 წელი; №ას-1559-2019, 2 მარტი, 2020 წელი; №ას-1203-2018, 25.04.2019, №ას-1042-2018, 28 თებერვალი, 2019 წელი; №ას-838-784-2017, 31.07.2017, №ას-379-363-2016, 30.06.2016).

78. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება

70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, 4. სარჩელში მითითებული გარემოებები (ფაქტები) იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

79. მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია.

80. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამომწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში“, რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში

სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

81. მოპასუხე მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან, რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამომწებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა.

82. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იხილავს მტკიცებულებებს და არ შედის მათ არსებით კვლევაში, მსჯელობს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელია ამ ფაქტების იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტები იურიდიულად ასაბუთებენ (ამართლებენ) მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას გამოცხადებული მოსარჩელის საწინააღმდეგოდ, რომლითაც უარს ეტყვის სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარ-

ჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს იქნება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადანყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

83. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მონინაალმდევე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადანყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მონინაალმდევე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სააპელაციო სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემონმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით) გაქარწყლება თუ არა გასაჩივრებული გადანყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით, დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანისას, მხედველობაში უნდა მილოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე).

84. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს სსკ-ის 35-ე მუხლი, რომლის მე-4 ნაწილის თანახმად, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მონესრიგებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მონესრიგების სამართლებრივ საფუძ-

ვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა და სწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები გვარდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

85. მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ბ. ბ-ის დირექტორი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7<sup>1</sup> პუნქტი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დაწინაშეზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დაწინაშე. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებული ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის მე-7<sup>2</sup> პუნქტი). საკასაციო პალატის განსჯით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი კომპონენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, პირობითად შეიძლება მოვიხსენიოთ „სასამსახურო ხელშეკრულებად“, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.

86. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი და დადგენილია, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადანაცვლებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება - არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც.



87. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სანარმოს ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ზუსტ განსაზღვრას იძლევა საქართველოს შრომის კოდექსის 2.1 მუხლი და შეიძლება, დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან.

88. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის სსკ-ის 709-ე მუხლის საფუძველზე დაიდო დავალების ხელშეკრულება. მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას. რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. ამასთან, საკასაციო პალატა მოსარჩელის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 720.1 მუხლის შინაარსზე, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ და სხვაგვარი შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. ამდენად, ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

89. შესაბამისად, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებელი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

90. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახ-

მად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, რამდენადაც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გამოირიცხება მოსარჩელის იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რომლებიც თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდულის ანაზღაურებას შეეხება.

91. საკასაციო პალატა განსახილველ საქმესთან მიმართებით ყურადღებას გაამახვილებს იმ საკითხზეც, რომ როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩელი მოპასუხის 2017 წლის 10 თებერვლის №2/015 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, დაკმაყოფილებულია. სარჩელი უარყოფილი იქნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდულის მიკუთვნების ნაწილში. მოსარჩელეს მიკუთვნებული აქვს კომპენსაცია ერთჯერადი გადასახდელის სახით 6000 (დაუბეგრავი) ლარი. როგორც საქმეზე დადგენილია, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით სააგენტოს (მოპასუხე) არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რომლითაც გათავისუფლების ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რაც გამოირიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმის შესახებ კასატორის მოთხოვნის მართებულობას (სსსკ-ის 364-ე, 264-ე მუხლები).

92. ამ პროცესუალური მნიშვნელობის მქონე გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ძალაში უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგი – ა(ა)იპ „ქ. თ. ს. ბ. მ. ს-ოს“ 2017 წლის 10 თებერვლის №2/015 ბრძანების ბათილად ცნობისა და მოსარჩელისათვის ერთჯერადი გადასახდელის სახით 6000 (დაუბეგრავი) ლარის ოდენობის კომპენსაციის მიკუთვნების შესახებ.

93. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, კასატორს სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 2130 ლარის ოდენობით

გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 1830 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ლ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს: ბათილად იქნეს ცნობილი ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ 2017 წლის 10 თებერვლის №2/015 ბრძანება ლ. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და ა(ა)იპ „ქ. თ.ს.ბ.ბ.მ.ს-ოს“ ლ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ერთჯერადი კომპენსაცია 6000 (დაუბეგრავი) ლარის ოდენობით.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

### გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-401-2019

2 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეძე

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სს „ს. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2016 წლის 13 სექტემბრის №000172450-3807917 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 238 637,35 (ორას ოცდათვრამეტი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი აშშ დოლარისა და ოცდათხუთმეტი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა; მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №000172450-3807917 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის 1 356,99 (ათას სამას ორმოცდათექვსმეტი აშშ დოლარისა და ოცხმოცდაცხრამეტი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა; მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2016 წლის 13 სექტემბრის №000172449-3807861 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 226 742,22 (ორას ოცდაექვსი ათას შვიდას ორმოცდაორის აშშ დოლარისა და ოცდაორი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა; სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, მოპასუხეების ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის და ლ. ლ-ასთვის სოლიდარულად დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით, განხორციელდა იპოთეკით დატვირ-

თული შემდეგი უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია: ა) მდებარე – მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; ბ) მდებარე – მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; გ) მდებარე – მცხეთა, სოფელი ..., სოფელი მუხრანი/მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; დ) მდებარე – თბილისი, ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – შპს „შ. თ.“; იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, აღსრულება მიექცევა მოპასუხეების ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის და ლ. ღ-ას საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე; მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს, ლ. ღ-ასა და შპს „შ. თ-ს“ მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 1 939.6 (ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი ლარისა და სამოცი თეთრის) ლარის გადახდა.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 2020 წლის 16 სექტემბერს, განცხადებით მომართა ა. თ-ძის, ა. თ-ძისა და მ. ჭ-ძის წარმომადგენელმა თ. ხ-ძემ და აღნიშნა, რომ სს „ს. ბ-მა“ დაიწყო უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და ქონების რეალიზაციის მოთხოვნით მიმართა სააღსრულებო ბიუროს და კვლავ არ არის თანახმა, გააფორმოს მორიგების აქტი მოვალეებთან. წარმომადგენლის განმარტებით, უძრავი ქონების მესაკუთრის – ა. თ-ძის ერთადერთი შემოსავლის წყარო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთებია, რომლებზეც განთავსებულია მეცხოველეობის ფერმა, სასაკლაო და ხდება საქონლის ხორცის რეალიზაცია. მითითებული სამეწარმეო საქმიანობა ოჯახის ერთადერთი შემოსავალია.

3. განმცხადებელთა წარმომადგენელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 263-ე მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება იშუამდგომლა 6 თვის ვადით, შემდეგი წესით: 5 თვის განმავლობაში, ოქტომბრიდან ყოველი თვის ბოლოს – 28 რიცხვში, მოვალეები ყოველთვიურად გადაიხდიან 100 000 ლარს, ხოლო მეექვსე თვის ბოლოს კი სრულად დაფარავენ დარჩენილ დავალიანებას.

4. განმცხადებელთა წარმომადგენლის განმარტებით, გადანყვეტილების აღსრულების განაწილვადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოვალეებისათვის. ამჟამად, მათ არ გააჩნიათ სრული თანხა იმისთვის, რომ შეასრულონ ვალდებულება, კრედიტორი კი არ

არის თანახმა გაუწიოს მათ შეღავათი და საშუალება მისცეს განაწილვადებით დაფარონ დავალიანება. გარდა ამისა, გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადებით კრედიტორს არ მიადგება ისეთი სახის ზიანი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვან დაბრკოლებად მიიჩნიოს სასამართლომ, ვინაიდან ამ ეტაპზე აღსრულებისათვის არ არის დანიშნული აუქციონი და ეს პროცესი შესაძლებელია კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში გაჭიანურდეს, მითუმეტეს კი იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში პანდემიის გამო გამოცხადებულია გარკვეული შეზღუდვები და ბიზნეს საქმიანობაც მნიშვნელოვნად შეფერხებულია, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს უძრავი ქონების რეალიზაციისთვის. მიუხედავად აღსრულების პროცესის გაჭიანურებისა მოვალეებს არ ეძლევათ საშუალება, რომ ეტაპობრივად დაფარონ დავალიანება. პანდემიის გამო შექმნილი კრიზისი ასევე ქმნის საშიშროებას, რომ ქონება ძალიან დაბალ ფასად გაიყიდება, რაც ასევე დიდი ზიანის მომტანი იქნება როგორც მოვალეებისთვის, ისე კრედიტორისთვის, რადგან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სრულად ვერ დაიფარება და დაიწყება მოვალეების პირადი ქონების რეალიზაციის პროცესი.

5. მოპასუხეთა განცხადებას ერთვის ამონაწერები საჯარო რესტრიქციის და წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

6. სს „ს. ბ-ის“ წარმომადგენელმა გ. კ-მ, 2020 წლის 30 სექტემბერს, მოსაზრებით მომართა უზენაეს სასამართლოს და განმარტა, რომ მოპასუხეთა წარმომადგენლის არგუმენტები გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების შესახებ არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. ბანკის წარმომადგენელმა მოსაზრებას დაურთო იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოპასუხეები ფლობენ წილებს 15-მდე შპს-ში. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ზოგადად კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები დამყარებულია მხარეთა თანასწორობაზე, თუმცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე უპირატესი კრედიტორის ინტერესია. სააღსრულებო წარმოება ხორციელდება სწორედ კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოვალის ქონებისა თუ სხვა მატერიალური ხარჯების განკარგვის გზით. მოსარჩელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ განცხადება მხოლოდ სამმა მოპასუხემ წარმოადგინა, ამ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში კი დანარჩენი ორი მოპასუხის ინტერესი შეილახება, რადგან მხოლოდ მათ მიმართ გაგრძელდება აღსრულება. ამასთან, შუამდგომლობის დაკმაყოფილებით ეჭვქვეშ დადგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლო

ხელმისაწვდომობის უფლება, რაც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების დაუსაბუთებელი განაწილვადება ფაქტობრივად უთანაბრდება მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას და ამავე უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის თვალსაჩინო მაგალითია. მხარეთა შორის სამართლებრივი დავა მიმდინარეობს 2017 წლის 28 დეკემბრიდან და მოვალეები ცდილობენ, თავი აარიდონ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასაც კი, რაც ცალსახად ზიანს აყენებს კეთილსინდისიერ კრედიტორს. სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს სჭირდება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება იპოთეკის საგნების რეალიზაცია, რაც, რა თქმა უნდა, არც ისე მცირე პერიოდთან არის დაკავშირებული. დამატებით სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განაწილვადებით უსაფუძვლოდ გაგრძელება კრედიტორის უკვე ხელყოფილი უფლებების კვლავ შელახვა და იმ ზიანის გაზრდა, რაც აქამდეც განიცადა ბანკმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

„საკასაციო სასამართლო, ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე, სს „ს. ბ-ის“ მოსაზრებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა განცხადება დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

7. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ხასიათდება მუდმივობის პრინციპით, რადგან სსსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. სასამართლოს შემაჯამებელი აქტის ამგვარი განსაკუთრებული თვისებიდან გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობაში სპეციალური ნორმის – 263-ე მუხლის შემოღების აუცილებლობა, რომლითაც განსაზღვრულია გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა. აღნიშნული ნორმა ემსახურება სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად, ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა,

გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე, შეცვალოს გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება და წესი (შდრ. სუსგ №337-322-2016, 16.06.2016 წ.).

8. სსსკ-ის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე გარკვეული დროის მანძილზე გაანაწილვადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ისეთი ობიექტური მიზეზის არსებობისას, როგორცაა მოვალის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ან სხვა ყურადსაღები გარემოებები, რომელთა შეფასება და მხედველობაში მიღება სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადება წარმოადგენს კანონმდებლის მიერ დაწესებულ ერთგვარ შეღავათს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოვალეს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით გაახანგრძლივოს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების პერიოდი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად (იხ. სუსგ №ას-811-811-2018, 20.07.2018 წ.).

9. საკასაციო სასამართლო, სსსკ-ის 263-ე მუხლის პირველ ნაწილსა და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველზე (რაზეც მართებულად მიუთითა თავად მოსარჩელემ, სუსგ №ას-404-387-2016, №ას-1263-1185-2015), განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადებაზე მოვალეს იმ შემთხვევაში შეიძლება ეთქვას უარი თუ გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადებით იმაზე მეტი ზიანი მიადგება კრედიტორს, ვიდრე მოვალეს, რომელსაც განაწილვადების შესახებ განცხადების უარყოფით შეიძლება მიადგეს. განსახილველ შემთხვევაში, კრედიტორის პრეტენზია, რომ მას გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადებით ზიანი მიადგება, დაუსაბუთებელია. კრედიტორი არის ქვეყანაში ერთ-ერთი მძლავრი ფინანსური დაწესებულება, რომელსაც ყოველთვის უნდა დიდი ოდენობით თანხა აქვს მიმოქცევაში (იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხეებს დაეკისრათ).

10. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების მიზანი არა აღსრულების შეფერხება, არამედ – ხელშეწყობაა. არგუმენტი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადებით შეილახება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და იმ ორი მოპასუხის ინტერესი, რომლებსაც განცხადება არ წარმოუდგენიათ, უსაფუძვლოა და საკასაციო სასამართლო მას ვერ გაიზიარებს, რად-



გან სსსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მოცემულ საქმეში გადაწყვეტილება გამოტანილია ხუთი მოპასუხის წინააღმდეგ, რომელთაგან სამმა ითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადაც, ხოლო იმის გამო, რომ დანარჩენმა ორმა მოპასუხემ არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით, წამოდგენილი განცხადების უარყოფის საფუძველი ვერ გახდება. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

11. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოპასუხეთა განცხადებაში აღნიშნულ არგუმენტს, რომ მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო შექმნილი კრიზისის გათვალისწინებით გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადაც საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. ამგვარად დაცული იქნება მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რადგან კრედიტორი მიიღებს შესრულებას სრულად 6 თვის განმავლობაში, რითაც საფრთხე არ შეექმნება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მოვალეები განიცდიან დამატებით ფინანსურ დანაკლისს. იმ შემთხვევაში თუ მოვალეები დაარღვევენ ამ განჩინებით დადგენილ გადახდის გრაფიკს, კრედიტორი გააგრძელებს იძულებითი აღსრულების პროცედურებს.

12. საკასაციო სასამართლო იზიარებს ა. თ-ძის, ა. თ-ძისა და მ. ჭ-ძის წარმომადგენლის განცხადებაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადაც თაობაზე, აღნიშნულ პოზიციას (იხ. ამ განჩინების 2-5 პუნქტები) და მიიჩნევს, რომ სსსკ-ის 263.1 მუხლის თანახმად, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, 6 თვის ვადით განაწილვადდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება შემდეგი გრაფიკით: 5 თვის განმავლობაში, 2020 წლის ოქტომბრიდან ყოველი თვის ბოლოს – 28 რიცხვში, მოვალეები ყოველთვიურად გადაიხდიან 100 000

ლარს, ხოლო მეექვსე თვის ბოლოს კი სრულად დაფარავენ დარჩენილ დავალიანებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 267<sup>1</sup>-ე, 263-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. თ-ძის, ა. თ-ძისა და მ. ჭ-ძის განცხადება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების განაწილვადების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. ა. თ-ძეს, ა. თ-ძესა და მ. ჭ-ძეს 6 თვის ვადით გადაუნაწილვადდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება შემდეგი წესით:

- 2.1. 2020 წლის 28 ოქტომბერი – 100 000 (ასი ათასი) ლარი;
- 2.2. 2020 წლის 28 ნოემბერი – 100 000 (ასი ათასი) ლარი;
- 2.3. 2020 წლის 28 დეკემბერი – 100 000 (ასი ათასი) ლარი;
- 2.4. 2021 წლის 28 იანვარი – 100 000 (ასი ათასი) ლარი;
- 2.5. 2021 წლის 28 თებერვალი – 100 000 (ასი ათასი) ლარი;
- 2.6. 2021 წლის 28 მარტი – დარჩენილი დავალიანება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-825-2021

3 აგვისტო, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალიზა-  
ცია

### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით სს „ბ-ის“ სარ-  
ჩელი მოპასუხეების: ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“,  
ი. ყ-ის, გ. ქ-ის, მ. ძ-ას, ა. ხ-ას, ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, ვ. კ-ძის, შ. ო-ნის, ი.  
ქ-ძის, მ. ხ-ის, ნ. ქ-ძის, თ. კ-ის, გ. თ-ას, თ. რ-ძის, ვ. ჩ-ძის, მ. ჩ-ძის, გ.  
თ-ასა და მ. ქ-ას მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის  
რეალიზაციის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

1.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“, ი. ყ-ს, გ. ქ-ს  
და მ. ძ-ას, სს „ბ-ის“ სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ  
695 504,80 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც დავალიანების ძირი-  
თადი თანხაა 619 139,10 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 76365,70  
აშშ დოლარი;

1.2. დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზა-  
ციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთუ-  
ლი შემდეგი უძრავი ქონებები:

1.2.1. ა. ხ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება,  
მდებარე – ქ. თბილისი, ..., სადარბაზო 1, სართული 0, ბინა №4ბ,  
საკადასტრო კოდი №...;

1.2.2. ამხანაგობა „მ-ის“ (ს/კ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი  
ქონებები, მდებარე: ა) ქ. თბილისი, ..., სადარბაზო 2, სართული 1,  
ბინა №5ა, საკადასტრო კოდი №...; ბ) ქ. თბილისი, ... ქუჩა №17, სა-  
დარბაზო №3 სართული №9, ბინა №99, საკადასტრო კოდი №...; გ)  
ქ. თბილისი, ..., სადარბაზო №4, სართული №12, ბინა №273, საკა-  
დასტრო კოდი №...; დ) ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №45, საკა-  
დასტრო კოდი №...; ე) ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №1, საკადას-



1.2.9. ნ. ქ-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., სადარბაზო №2, სართული №15, ბინა №235, საკადასტრო კოდი №...;

1.2.10. თ. კ-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №5, საკადასტრო კოდი №...;

1.2.11. გ. თ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, მდებარე: ა) ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №11, საკადასტრო კოდი №...; ბ) ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი 52, საკადასტრო კოდი №...; გ) ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №70, საკადასტრო კოდი №...;

1.2.12. თ. ჩ-ძისა (პ/ნ ...) და ვ. ჩ-ძის (პ/ნ ...) თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №21, საკადასტრო კოდი...;

1.2.13. მ. ჩ-ძის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №57, საკადასტრო კოდი ...;

1.2.14. გ. თ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №61, საკადასტრო კოდი ...;

1.2.15. მ. ქ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – ქ. თბილისი, ..., ავტოსადგომი №67, საკადასტრო კოდი ...;

1.3. მოპასუხეებს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“, ი. ყ-ის, გ. ქ-ის და მ. ძ-ას, მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 1486,45 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ;

1.4. სს „ს. ბ-ს“ დაუბრუნდა 2739,92 ლარი სარჩელზე 02.11.2016 წელს (საგადახდო დავალეზა №183) სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 5 000 ლარიდან;

1.5. ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, ვ. კ-ძისა და შ. ო-ნის სარჩელი სს „ს. ბ-ის“ მიმართ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. ქ-ძის წარმომადგენელმა ი. ს-მა, მ. ძ-ას, გ. ქ-ის და ი. ყ-ის წარმომადგენელმა გ. კ-მა, ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნის და ვ. კ-ძის წარმომადგენელმა რ. რ-ძემ და მ. ხ-მა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 იანვრის განჩინებით აპელანტების ი. ქ-ძის, მ. ძ-ას, გ. ქ-ის, ი. ყ-ის, ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნის, ვ. კ-ძის და მ. ხ-ის

სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა განსახილველად.

4. 2021 წლის 13 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ზ. პ-ძის, ნ. ბ-  
ის, შ. ო-ნისა და ვ. კ-ძის წარმომადგენელმა რ. რ-ძემ, რომელმაც  
მოითხოვა, შეჩერებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-  
მოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს №2/  
5071-16 საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულე-  
ბა მოსარჩელეთა ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნისა და ვ. კ-ძის საკუთრება-  
ში არსებული უძრავი ნივთების იძულებითი რეალიზაციის ნაწილ-  
ში.

5. განმცხადებლის განმარტებით, იპოთეკის საგნების რეალი-  
ზაცია შესაძლებელია იძულებით აღსრულების საფუძველზე, რაც  
მიმდინარეობს კიდევ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ  
2019 წლის 28 აგვისტოს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის სა-  
ფუძველზე დაუყოვნებლივი აღსრულების წესით. ამ ეტაპზე აუქ-  
ციონი გამოცხადებული არაა, თუმცა მზადდება მასალა სააუქცი-  
ონო მომსახურების ირგვლივ. იპოთეკის ქვეშ არსებული უძრავი  
ქონების რეალიზაცია კი წარმოშობს ახალ სამართლებრივ რეალო-  
ბას, დიდი ალბათობით აუქციონზე უძრავი ნივთების შემძენი პირი  
კეთილსინდისიერი შემძენი აღმოჩნდება, საიდანაც უძრავი ქონე-  
ბის გამოთხოვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემის წი-  
ნაშე დააყენებს მოსარჩელებს. ასეც რომ არ იყოს, სარჩელის სა-  
განია იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და უძრავი  
ნივთების იპოთეკის რეგისტრაციისაგან გათავისუფლება. შესაბა-  
მისად, თუკი აღსრულების პროცესში მოხდება მოსარჩელეთა უძ-  
რავი ქონების რეალიზაცია, აზრი დაეკარგება მათი სარჩელის დაკ-  
მაყოფილებას, ვინაიდან როგორც მინიმუმ, იპოთეკის საგნების რე-  
ალიზაციას შედეგად მოჰყვება იპოთეკის სხვა საფუძველით (აღ-  
სრულებით) გაუქმება და უძრავი ნივთები გავა დღევანდელ მო-  
სარჩელეთა საკუთრებიდან. ამდენად, მოსარჩელებისათვის სარ-  
ჩელს მხოლოდ იმ მდგომარეობამდე აქვს აზრი, შესაბამისად, მათ  
იქამდე გააჩნით იურიდიული ინტერესი, სანამ იპოთეკის ქვეშ მოქ-  
ცეული უძრავი ნივთები მათ საკუთრებაში იმყოფება და თავად უძ-  
რავ ნივთებზე რეგისტრირებულია ის იპოთეკები, რაც დღევანდე-  
ლი სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს. მათი სარჩელის დაკმა-  
ყოფილების შემთხვევაში კი ველარ მოხერხდება სასამართლო გა-  
დანწყვეტილების აღსრულება, რადგან სადავო იპოთეკის რეგის-  
ტრაცია აღარ იარსებებს, ხოლო იპოთეკის ხელშეკრულებები იძუ-  
ლებითი აღსრულების გამო უკვე შეწყვეტილი იქნება. ხოლო ბათი-  
ლი იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე უძრავი ქონების  
რეალიზაციით დამდგარი ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს

დღევანდელი სარჩელის საგანს, შესაბამისად – მათ იურიდიულ ინტერესს, ხოლო მომავალში რა რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან, ეს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ საუარესოდ გარდაქმნის პერსპექტივას შეიძლება დაუკავშირდეს.

6. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ №1448 კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების შესახებ 2021 წლის 22 აპრილს გამოტანილ განჩინებაში მიუთითა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე ასევე ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმის საფუძველზე, მის უძრავ ქონებაზე მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება, რის შედეგადაც აუქციონის წესით გასხვისდება სადავო ქონება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია, განმწესრიგებელი სხდომის გადაწყვეტილებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება“. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ აღნიშნული დებულებით დადგენილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უფლებების ან საჯარო ინტერესის პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგენა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის №ო1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს ტელეკომპანია საქარ-

თველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20). ამგვარად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების სავალდებულო წინაპირობაა, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს წარმოუდგინოს სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც ცხადად დაასაბუთებს, რომ სადავო ნორმის მოქმედება ქმნის გამოუსწორებელი შედეგების დადგომის გარდაუვალ საფრთხეს.

7. სასამართლოს შეფასებით, როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარე (რომელსაც სარჩელი აქვს აღძრული იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ) მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივი აღსრულების შედეგად შესაძლოა დაკარგოს საკუთრება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გამოუსწორებლად მიიჩნევა შედეგი, რომლის აღდგენა ვერ ხერხდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით. შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს ეფექტურ მექანიზმებს მის საქმეზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეცვლილი გადაწყვეტილების შედეგად უფლებებზე ეფექტურად აღდგენის უზრუნველსაყოფად. სსსკ-ის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები“. ამავე დროს, სსსკ-ის 270-ე მუხლის საფუძველზე, მხარე აღჭურვილია უფლებამოსილებით, კერძო საჩივრის შეტანის გზით გაასაჩივროს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინება. ბუნებრივია, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საკითხის გადაწყვეტა გარკვეულ დროს საჭიროებს და ამ პერიოდში, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია არსებობდეს გამოუსწორებელი შედეგის დადგომის რისკი. თუმცა, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების მოთხოვნის დასასაბუთებლად მხარე ვალდებულია წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც წარმოაჩენს, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, მის მიმართ არსებობს გამოუსწორებელი შედეგის დადგომის რეალური საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელს არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები ან არგუმენტაცია, თუ რატომ ვერ აზღვევს მის წინაშე არსებულ რისკებს კანონმდებლობით დადგენილი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების საპროცესო შესაძლებლობები. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განმარტების შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს შეჩერდეს სსსპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრუ-



ლებო ბიუროს წარმოებაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 მაისის განჩინებით ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნისა და ვ. კ-ძის წარმომადგენლის რ. რ-ძის შუამდგომლობა აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 375-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ გასაჩივრებულთა გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. განჩინება ამის თაობაზე შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია აღსრულების შეჩერება, აღსრულების ღონისძიებების გაუქმება, აგრეთვე აღსრულების გაგრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

10. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი მოპასუხეების ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „მ-ის“, ი. ყ-ის, გ. ქ-ის, მ. ძ-ას, ა. ხ-ას, ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, ვ. კ-ძის, შ. ო-ნის, ი. ქ-ძის, მ. ხ-ის, ნ. ქ-ძის, თ. კ-ის, გ. თ-ას, თ. ჩ-ძის, ვ. ჩ-ძის, მ. ჩ-ძის, გ. თ-ას და მ. ქ-ას მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

11. დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა სს „ს. ბ-ის“ შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით გაიკა სააღსრულებო ფურცელი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხეების: ნ. ბ-ის, ზ. პ-ძის, შ. ო-ნის, ვ. კ-ძის, მ. ძ-ას, მ. ხ-ის და გ. ქ-ის მიერ.

12. დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის განჩინებით ნ. ბ-ის, მ. ძ-ას, გ. ქ-ის, ზ. პ-ძის, შ. ო-ნის, ვ. კ-ძის და მ. ხ-ის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აგვისტოს განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

13. დადგენილია, რომ 2020 წლის 29 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა აპელანტის მ. ძ-ას წარმომადგენელმა ნ. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აგვისტოს განჩინების გაუქმება ამავე სასამართლოს 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე, ხოლო აღნიშნული განჩინების მიღებამდე. მხარემ მოითხოვა, სასამართლომ შეაჩეროს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები სსსკ-ის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

14. დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინებით მ. ძ-ას წარმომადგენლის ნ. გ-ძის შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 8 აგვისტოს განჩინების გაუქმებისა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

15. კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებელი აღსრულების შეჩერებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ დაწყებულია იძულებითი აღსრულება და თუკი აღსრულების პროცესში მოხდება მოსარჩელეთა უძრავი ქონების რეალიზაცია, აზრი დაეკარგება მათი სარჩელის დაკმაყოფილებას, ვინაიდან სულ მცირე იპოთეკის საგნების რეალიზაციას შედეგად მოჰყვება იპოთეკის სხვა საფუძვლით (აღსრულებით) გაუქმება.

16. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შეჩერების შესახებ სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა აღსრულების შეჩერების შესახებ.

17. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი სს „ს. ბ-სა“ და ამხანაგობა „მ-ს“ შორის დადებული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ და ასევე იპოთეკის ხელშეკრულებებით პირდაპირ არის გათვალისწინებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი. აგრეთვე, პირდაპირ არის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი მოწესრიგებული სს „ს. ბ-სა“ დამ. ძ-ას შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით.

18. სსსკ-ის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

19. შესაბამისად, სსსკ-ის 268.1<sup>1</sup> მუხლი წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში, სასამართლოს შეხედულების მიუხედავად, უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

20. ამდენად, სახელშეკრულებო დავების შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდებიან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, მაშინ კანონი იმპერატიულად ადგენს მხარის მოთხოვნის შემთხვევაში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას.

21. მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა №1448 კონსტიტუციური სარჩელი (ზ. პ-ძე, ნ. ბ-ი, შ. ო-ნი და ვ. კ-ძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსსკ-ის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> პირველი ნაწილის პირველი წინადადებისა და 269-ე მუხლის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, თუმცა, დღეის მდგომარეობით სადავო ნორმების მოქმედება შეჩერებული არ არის. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა განცხადება დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 მაისის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, ვ. კ-ძისა და შ. ო-ნის წარმომადგენელმა რ. რ-ძემ, მისი გაუქმება და შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვა.

24. საჩივრის ავტორის განმარტებით, იპოთეკის საგნების რეალიზაცია მთლიანად გამოორიციხავს ამავე უძრავ ნივთებზე დღევანდელი მოპასუხეების (რომლებიც მოსარჩელები არიან სხვა დავაში იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით) საკუთრების უფლების არსებობის გაგრძელებას. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც შეიძლება დაკმაყოფილდეს მოპასუხეთა მიერ აღძრული სარჩელი და გაუქმდეს რეგისტრირებული სადავო იპოთეკის ხელშეკრულებები, ვერ შეცვლის აღსრულების დასრულებით შექმნილ ახალ რეალობას, ანუ იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა აღარ იქნება სამართლებრივად საინტერესო მოსარჩელე მხარისათვის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ იპოთეკის ხელშეკრულებების შესაბამისად იპოთეკის რეგისტრაცია აღარ იარსებებს უძრავ ნივთებზე იპოთეკის ხელშეკრულებების იძულებითი აღსრულებისას უძრავი ქონების რეალიზაციის, მესამე პირის საკუთრებაში გადასვლის გამო.

25. საჩივრის ავტორის მითითებით, აუქციონის დასრულებისას, აღმასრულებლის განკარგულების შედეგად, აღსრულებული იპოთეკის რეგისტრაცია მოხსნილად ითვლება და ახალ შემქმენს უძრავი ქონება გადაეცემა უფლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში. გამომდინარე აქედან, არათუ გამოუსწორებელი შედეგი დადგება, არამედ ზემდგომი სასამართლოს (საბოლოო) გადაწყვეტილება ვერც შეცვლის იმ ნეგატიურ შედეგს, რაც შეიძლება აღსრულებით მის ძალაში შესვლამდე დადგეს და უფრო მეტიც, სასამართლოს განხილვების რომელიმე ეტაპზე თუკი აუქციონზე გაიყიდება სადავო ქონება, წინამდებარე დავის მოპასუხეებს, რომლებიც სხვა დავაში პროცესუალურად მოსარჩელებს წარმოადგენენ. დაეკარგებათ კიდევ სარჩელისადმი კანონიერი ინტერესი, ანუ სამართლებრივი შესაძლებლობა, გააგრძელონ დავა აღნიშნული მოთხოვნით, სასამართლო კი უფლებამოსილია მსგავს სიტუაციაში შეწყვიტოს საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო, ხოლო ასეთი განჩინების მიუღებლობის შემთვევაში საქმის არსებითი განხილვის შემდეგ არ დააკმაყოფილოს სარჩელი დავის დასრულების ეტაპისათვის იურიდიული ინტერესის (დავის საგნის) გაქარწყლების გამო.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

27. სააპელაციო სასამართლომ ამავე კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილზე მიუთითა, რომლის შესაბამისად, თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩე-

როს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. განჩინება ამის თაობაზე შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია აღსრულების შეჩერება, აღსრულების ღონისძიებების გაუქმება, აგრეთვე აღსრულების გაგრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით. ამდენად, ზემოთ მითითებული ნორმის ძალით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია: 1. გარკვეული ვადით შეაჩეროს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული და სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება; 2. გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები; 3. გააგრძელოს აღსრულება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით. აღნიშნული ნორმის მიზანია, სსსკ-ის მე-5 მუხლით დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპის რეალიზების მეშვეობით, სასამართლომ გაითვალისწინოს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი (სუსგ №ას-1091-1011-2017, 17 ნოემბერი, 2017 წელი).

28. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შეჩერების შესახებ სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის განჩინებით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა აღსრულების შეჩერების შესახებ.

29. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემასთან მიმართებით საყურადღებო და განმსაზღვრელია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი სს „ს. ბ-სა“ და ამხანაგობა „მ-ს“ შორის დადებული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ, ასევე იპოთეკის ხელშეკრულებებით პირდაპირ არის გათვალისწინებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხი აგრეთვე რეგულირებულია სს „ს. ბ-სა“ და მ. ძ-ას შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით.

30. სსსკ-ს 268.1<sup>1</sup> მუხლი წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში, სასამართლოს შეხედულების მიუხედავად, უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ამდენად, სახელშეკრულებო დავების შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდებიან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, მაშინ კანონი იმპერატიულად ადგენს მხარის

მოთხოვნის შემთხვევაში გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას.

31. იმპერატიულად განსაზღვრული საკანონმდებლო ჩანაწერის შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გაითვალისწინოს საჩივრის ავტორთა მითითება, რამეთუ აღნიშნული ზღუდავს კრედიტორისათვის კანონით მინიჭებულ უპირობო უფლებას მოითხოვოს გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, მაშინ როდესაც აღნიშნულთან მიმართებით ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ გამოვლენილია ნება.

32. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა №1448 კონსტიტუციური სარჩელი (ზ. პ-ძე, ნ. ბ-ი, შ. ო-ნი და ვ. კ-ძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში რომელიც შეეხება სსსკ-ის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> პირველი ნაწილის პირველი წინადადებისა და 269-ე მუხლის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, თუმცა დღეის მდგომარეობით სადავო ნორმების მოქმედება შეჩერებული არ არის. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

33. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნისა და ვ. კ-ძის წარმომადგენლის რ. რ-ძის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ივნისის განჩინებაზე დაუსაბუთებელია და, საქმის მასალებთან ერთად, უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნისა და ვ. კ-ძის საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დარჩეს.

34. სსსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც სსსკ-ის XLIX თავი შეიცავს. სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამავე კოდექს-

სის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

35. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იპოთეკით დატვირთული ქონებების სარეალიზაციოდ მიქცევის შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მართლობიერების შესახებ. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ განჩინების 28-ე, 29-ე, 30-ე პუნქტებში ასახულ მსჯელობას და დამატებით მიუთითებს, განსახილველი დავის მონაწილე პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსზე, რომლის თანახმადაც სსსკ-ის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნება გამოხატეს. აღნიშნულ შეთანხმებას სადავოდ არ ხდიან საჩივრის ავტორები, თუმცა შეთანხმების საპირისპიროდ მიიჩნევენ, რომ დაუყოვნებელი აღსრულება უნდა შეჩერდეს, რადგან მათ სასარჩელო მოთხოვნას სხვა დავაში აზრი დაეკარგება, თუ იპოთეკით დატვირთული სადავო ქონებები სარეალიზაციოდ მიექცევა და მესამე პირთა საკუთრებაში გადავა. საკასაციო სასამართლო საჩივრის ავტორთა ამ პრეტენზიას, როგორც უსაფუძვლოს, ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ განმცხადებლების აღსრულების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა დაუსაბუთებელია და მხარეთა ნებით შედგენილი ხელშეკრულების შინაარსს არ შეესაბამება.

36. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სსსკ-ის 375-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომლის თანახმად, თუ გასაჩივრებელია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. განჩინება ამის თაობაზე შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია აღსრულების შეჩერება, აღსრულების ღონისძიებების გაუქმება, აგრეთვე აღსრულების გაგრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით. გარდა ამისა, ამავე კოდექსის 270-ე მუხლი ნაგებულ მხარეს აღჭურავს უფლებით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე წარადგინოს კერძო საჩივარი და ამ გზით შეეცადოს სადავო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას (იხ. სუსგ №ას-393-2021, 24.05.2021 წ.). განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორებს კერძო საჩივარიც

ჰქონდათ წარდგენილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, თუმცა იგი უარყოფილი იქნა.

37. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორთა მოსაზრებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სადავო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საფუძვლიანობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ განმცხადებელთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ნორმატიული ბაზა და სამართლებრივი არგუმენტაცია შუამდგომლობის დაკმაყოფილების პროცესუალურ-სამართლებრივ წინაპირობას არ ქმნის.

38. დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორთა მითითება მათ მიერ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის გამო დაუყოვნებელი აღსრულების შეჩერების მართლზომიერებასთან დაკავშირებით, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმების მოქმედება არ შეუჩერებია, მიუხედავად იმისა, რომ ამას კონსტიტუციური სარჩელის ავტორები ითხოვდნენ (იხ. ამ განჩინების 30-ე პუნქტი).

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხეთა საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. პ-ძის, ნ. ბ-ის, შ. ო-ნის და ვ. კ-ძის საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივნისის განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივნისის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა ამავე სასამართლოს 2021 წლის 14 მაისის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-449-431-2016

7 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „დ-ე“-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ქ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების, მოსარჩელის პარტნიორობიდან გარიცხვისა და საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით შპს „დ-ე“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე ბ. ქ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის, 188 584 აშშ დოლარის ანაზღაურება; ბ. ქ-ი გათავისუფლდა საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან და გაირიცხა შპს-ს პარტნიორობიდან.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ქ-მა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით ბ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ-ე“-მა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით შპს „დ-ე“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

6. 2015 წლის 28 დეკემბერს შპს „დ-ე“-ის დირექტორმა გადან-

ყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე ბ. ქ-ისათვის შპს „დ-ე“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში საქართველოს საჯარო რეესტრში, სამენარმეო რეესტრსა და სახელმწიფოს სხვა ორგანოებში რაიმე სახის ცვლილებების, დამატებების რეგისტრაციის ან/და წარდგენის აკრძალვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა ბ. ქ-ისთვის შპს „დ-ე“-ის პარტნიორის უფლებამოსილების შეჩერება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით შპს „დ-ე“-ის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე ბ. ქ-ს აკრძალა შპს „დ-ე“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში (საჯარო რეესტრში, ასევე სამენარმეო რეესტრსა და სახელმწიფოს სხვა ორგანოებში) რაიმე სახის ცვლილებების ან/და დამატებების წარდგენის ან/და რეგისტრაციის განხორციელება; განცხადება მოპასუხისათვის საზოგადოების პარტნიორის უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; განემარტა განმცხადებელს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგებოდა და სარჩელი არ დაკმაყოფილებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს წარმოეშობოდა მოპასუხისათვის მიყენებული იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც მოპასუხეს მიადგა გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად; ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული განჩინება უნდა აღსრულებულიყო დაუყოვნებლივ და გაცემულიყო სააღსრულებო ფურცელი.

8. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლის მოთხოვნა ემყარება იმ გარემოებებს, რომ მონინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) შესაძლოა არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს და იმოქმედოს საწარმოს ინტერესების საზიანოდ. შესაძლოა მან მოტყუებით დაირეგისტროს თავი საწარმოს დირექტორად და ფინანსური სახსრები განკარგოს, გადამალოს, რის შედეგადაც განუხორციელებელი დარჩება მოსარჩელის მიზანი მოპასუხისგან საწარმოს ინტერესების დაცვის თაობაზე. საზოგადოებისათვის მოპასუხის ქმედებიდან გამომდინარე მოსალოდნელი საფრთხის რეალურობის დასასაბუთებლად კი განმცხადებელმა მიუთითა მოპასუხის მიერ უკვე განხორციელებულ ქმედებებზე. კერძოდ, მისი განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „დ-ე“-ს ვ. შ-ის სა-

სარგებლოდ დაეკისრა 46768.40 ლარის გადახდა და სწორედ ვ. შთან შეთანხმებით ბ. ქ-მა იცრუა, თითქოს ის იყო საწარმოს დირექტორი. სატელეფონო შეტყობინების გზით, როგორც საწარმოს დირექტორმა, ჩაიბარა უწყება სასამართლო სხდომის თაობაზე, შემდეგ კი დაუსწრებელი გადანყვეტილება, რომლის გასაჩივრების ვადაც გაუშვა და დღეისათვის გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. განმცხადებლის მოსაზრებით აღნიშნული წარმოადგენდა ბ. ქ-ისა და ვ. შ-ის მიზანს მოტყუებით დაუფლებოდნენ შპს „დ-ე“-ის დიდი ოდენობით ფულად სახსრებს.

9. გარდა აღნიშნულისა, განმცხადებელმა წარადგინა 2015 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული შპს „დ-ე“-ის პარტნიორთა კრების ოქმი, რომელიც მისი განმარტებით, კიდევ ერთხელ ადასტურებდა მოპასუხის არაკეთილსინდისიერებას და მისი მხრიდან იმის მცდელობას, რომ თავი გამოაცხადოს დირექტორად და მესამე პირები შეიყვანოს შეცდომაში.

10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 271-ე მუხლებით, მხედველობაში მიიღო ზემოაღნიშნული გარემოებები და ის ფაქტი, რომ სახეზეა მოსარჩელის სასარგებლოდ საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 16 მაისს მიღებული გადანყვეტილება და მიიჩნია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში გართულდებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადანყვეტილების აღსრულება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება შეაჩერა გადანყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს ზიანის ანაზღაურება და განმარტა, რომ საგულისხმო იყო განმცხადებლის ის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების გამოტანის შემდგომ მოპასუხეს ჰქონდა კონკრეტული მცდელობები, რომელთა განხორციელების შემთხვევაშიც საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ამდენად, პალატის მოსაზრებით, წარდგენილი განცხადება შეიცავდა საკმარის დასაბუთებას იმ ვარაუდის დაშვებისათვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში გადანყვეტილების აღსრულება გართულდებოდა.

11. სასამართლომ განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. შესაბამისად, მხარეთა ინტერესების დაბალანსების მიზნით უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გა-

მოყენება. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის დაცვისა და მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცულობისათვის საკმარისი იქნებოდა მოპასუხისათვის გარკვეული (მოთხოვნილი) აკრძალვების დადგენა, რაც მოსარჩელე მხარეს აარიდებდა ზიანის ოდენობის გაზრდის საფრთხეს და არ იყო საჭირო უფრო მკაცრი ღონისძიების – პარტნიორის უფლებამოსილების შეჩერების გამოყენება, რამდენადაც იგი გამოიწვევდა მოპასუხის კანონიერი ინტერესების გაუმართლებელ შეზღუდვას.

12. აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ბ. ქ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

13. საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მიჩნეულ უნდა იქნეს უკანონოდ, რადგან სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი, რომელიც არ არსებობს.

14. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე და 271-ე მუხლები ეხება უშუალოდ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. 271-ე მუხლი შეჩერებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის საოქმოდ განჩინებით.

15. საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო პალატა არ უნდა დაყრდნობოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან ეს საქმე ჯერ არ განხილულა სააპელაციო და საკასაციო წესით. მხოლოდ ამ გარემოებაზე დაყრდნობით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კი დაუშვებელია.

16. ასევე დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ბ. ქ-ისათვის შპს „დ-ე“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის აკრძალვა, ვინაიდან ქ-ი არ არის მარეგისტრირებელი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს დაარეგისტრიროს ცვლილება. ასეთ ორგანოს წარმოადგენს საჯარო რეესტრი და რეგისტრაციის აკრძალვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მარეგისტრირებული ორგანოს მიმართ.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1 აპრილის განჩინებით ბ. ქ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

18. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ქ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გა-

მო:

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად (საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებულია ამ მუხლის მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს), სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის, მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამარ-

თლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის იმ მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

22. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით შპს „დ-ე“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე ბ. ქ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის, 188 584 აშშ დოლარის ანაზღაურება; ბ. ქ-ი გათავისუფლდა საზოგადოების დრექტორის თანამდებობიდან და გაირიცხა შპს-ს პარტნიორობიდან.

23. აღნიშნულის საფუძველზე შპს „დ-ე“ მოითხოვს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას – მოპასუხე ბ. ქ-ისათვის შპს „დ-ე“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში საქართველოს საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრსა და სახელმწიფოს სხვა ორგანოებში რაიმე სახის ცვლილებების, დამატებების რეგისტრაციის ან/და წარდგენის აკრძალვას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა ბ. ქ-ისთვის შპს „დ-ე“-ის პარტნიორის უფლებამოსილების შეჩერება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

24. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით შპს „დ-ე“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის აკრძალვა გაუმართლებელია, რადგან ცვლილების რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოს.

25. პალატა მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია

ციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ტერმინის „დაინტერესებული პირის“ განმარტებას იძლევა კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება.

26. ამრიგად, ზემოაღნიშნულ ნორმებზე მითითებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ორგანიზაციის სარეგისტრაციო მონაცემებში ნებისმიერი სახის ცვლილების რეგისტრაციას სარეგისტრაციო ორგანო ახორციელებს დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ბ. ქ-ი, როგორც ორგანიზაციის გარკვეული წილის მფლობელი და პარტნიორი, ნამდვილად შეიძლება მოიაზრებოდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ დაინტერესებულ პირად. შესაბამისად, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ ვინაიდან ცვლილების რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოს, ბ. ქ-ისათვის ამ უფლების შეზღუდვა გამართლებელია.

27. უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია ასევე საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზეც, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი, რადგან მხარეს შეუძლია სამივე ინსტანციაში ექვზოს სამართალი და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პრეიუდიციად არ შეიძლება იქნას გამოყენებული რომელიმე ინსტანციის გადაწყვეტილება.

28. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი) შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობა კი შეიძლება იყოს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან აღსრულება მნიშვნელოვანწილად გაძნელებდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე.

29. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შე-

სახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. განმცხადებელი მის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად მითითებული ვარაუდის (ბ. ქ-მა შესაძლოა იმოქმედოს საწარმოს ინტერესების საზიანოდ, მოტყუებით დაირეგისტრიროს თავი საწარმოს დირექტორად, ფინანსური სახსრები განკარგოს და გადაამალოს, რის შედეგადაც განუხორციელებელი დარჩება მოსარჩელის მიზანი მოპასუხისაგან საწარმოს ინტერესების დაცვის თაობაზე) გასამყარებლად უთითებს იმ ფაქტზე, რომ ერთ-ერთი სამოქალაქო საქმის განხილვისას, სადაც სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „დ-ე“-ს ვ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა, ბ. ქ-მა ვ. შ-თან შეთანხმებით სასამართლო უწყება ჩაიბარა, როგორც ორგანიზაციის დირექტორმა. სინამდვილეში კი დირექტორი იყო ა. გ., რომელმაც არაფერი იცოდა აღნიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე და არ გამოცხადდა პროცესზე, რის გამოც მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო და ვ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით საწარმოს მიაღვა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი.

30. განმცხადებელმა სასამართლოს ასევე წარუდგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბ. ქ-ის მიერ შეტანილი განცხადება სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელსაც ერთვის ორგანიზაციის კრების ოქმი შპს „დ-ე“-ის დირექტორის, ა. გ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და აღნიშნულ თანამდებობაზე ბ. ქ-ის დანიშვნის შესახებ და განმარტა, რომ სინამდვილეში ორგანიზაციის კრება არ ყოფილა მონვეული და ბ. ქ-ს არც ჰქონდა მისი მონვევის უფლება. მან კრების ოქმი გააყალბა, რათა მოტყუებით შეეტანა ცვლილება შპს „დ-ე“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში და დირექტორად თავისი თავი დაერეგისტრირებინა.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განმცხადებლის მიერ ზემოთ მითითებული გარემოებები სავსებით საკმარისია იმ ვარაუდის შექმნისათვის, რომ სასამართლოს მიერ აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში ბ. ქ-ს შესაძლოა ემოქმედა ორგანიზაციისათვის საზიანოდ. მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა შპს „დ-ე“-ის სარჩელი და მოპასუხე ბ. ქ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის, 188 584 აშშ დოლარის ანაზღაურება; ამავე გადაწყვეტილებით ბ. ქ-ი გათავისუფლდა საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან და გაირიცხა შპს-ს პარტნიორობიდან. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის განმცხადებლის მოთხოვნას.



32. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ბ. ქ-ის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბ. ქ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. სააკველიციო სასამართლოს გადაწყვეტილება

### გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1488-2019

2 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. ვასილაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ანდერძის, სამკვიდრო მოწმობის, ჩუქებისა და  
ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, თანხის დაკის-  
რება

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### 1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ- ვლები:

1.1. ი. კ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატო-  
რის მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. შ-  
ისა და ნ. ტ-ძის (შემდგომში – პირველი და მეორე მოპასუხე, აპე-  
ლანტის მოწინააღმდეგე მხარეები ან კასატორები) მიმართ და მო-  
თხოვა:

- i 1984 წლის 23 მარტს შედგენილი №126 ანდერძის ბათილად ცნო-  
ბა;
- ii 1994 წლის 24 აგვისტოს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდ-  
რეობის №11 მოწმობის ბათილად ცნობა;
- iii №1/1887 უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად  
ცნობა;
- iv №121156701 ნასყიდობის ხელშეკრულების (რომლის საფუძ-  
ველზეც ი. ფ-ვამ საკუთრებაში აღირიცხა მიწის ნაკვეთი), 2014  
წლის 10 თებერვლის ნასყიდობის საკუთრებაში აღირიცხა მი-  
წის ნაკვეთი), ასევე, მეორე მოპასუხის საკუთრებად მიწის ნაკ-  
ვეთის აღირიცხვის თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულების ბა-  
თილად ცნობა;
- v პირველი მოპასუხისათვის 365 250 აშშ დოლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ოზურ-გეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება საკუთრებაში იყო და მას ფლობდა კიდევ მოსარჩელის მამა (ს/კ № ..., შემდგომში – სადავო უძრავი ქონება), რომელიც გარდაიცვალა 1993 წლის 18 აგვისტოს. მამკვიდრებლის ერთადერთი მემკვიდრე – მოსარჩელე დაეუფლა დანაშთ ქონებას, თუმცა, მოგვიანებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე ახერხებდა უძრავი ნივთის მონახულებას, ქონებას ყურადღებას აქცევდა და მოსარჩელის შვილიშვილი. 2017 წლის იანვარში მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ სადავო ქონების დაპატრონებას ცდილობდა ვინმე შ-ი. ინფორმაციის მოძიების შემდგომ მან შეიტყო, რომ მოსარჩელის მამის გარდაცვალების შემდგომ სადავო ქონება, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე დაურეგისტრირებია ვინმე ჟ. მ. ძე შ-ს, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მამამ გააუქმა ანდერძი. დაბა ... საკრებულოს 1994 წლის 22 სექტემბრის განკარგულებით, ჟ. შ-ის, როგორც მოსარჩელის მამის ანდერძისმიერი მემკვიდრის საკუთრებად აღირიცხა სამი საცხოვრებელი ოთახი და 1460 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ეს ქონება გარდაცვალებამდე ეკუთვნოდა დ. ა-ძეს, ხოლო მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში აღირიცხა ჟ. შ-ის საკუთრებად. განკარგულება გაცემულია დანაშაულებრივად, რადგანაც არ არსებობდა ანდერძი. ქონებით დაინტერესებულმა ... საკრებულოს გამგებელმა – კ. ყ-მა მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უკანონოდ გაცემული საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. განცხადებას ერთვის აზომვითი ნახაზი. ამდენად, მარეგისტრირებელი ორგანოს მოტყუებით მოახერხა სადავო ქონებაზე უფლების მოპოვება ჟ. შ-მა, ხოლო, მოგვიანებით, 2006 წლის 27 ნოემბერს, ნოტარიულად დამონმებული №1-1887 ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ქონება დაირეგისტრირა ჟ. შ-ის შვილმა – პირველმა მოპასუხემ. კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსის მოსაპოვებლად პირველ მოპასუხესა და სხვა პირებს შორის დაიდო სამი ნასყიდობა და მესაკუთრედ რეგისტრირდებოდნენ სხვადასხვა პირები, თუმცა სადავო ქონებით სარგებლობდა პირველი მოპასუხის ოჯახი. ყოველი მესაკუთრე მოქმედებდა ერთიანად, საერთო განზრახვით. 2015 წლის 17 სექტემბერს, როდესაც ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო ე. მ-ი, გ. მ-ამ (მეორე მოპასუხის მეუღლე) განცხადებით მიმართა მარეგისტრირებელ ორგანოს და მოითხოვა ხარვეზის გასწორება. ამ დროისათვის მას ქონების მიმართ არ უნდა ჰქონოდა რაიმე ინტერესი. ჟ. შ-ის ქმედების შედეგად ეს უკანასკნელი გამდიდრდა უსაფუძვლოდ, ხოლო, მოგვიანებით, მისმა შვილმა – პირველმა მოპასუხემ მიიღო

ქონება, რის შედეგადაც დაზარალდა მოსარჩელე. სადავო ქონება დღეისათვის ირიცხება მეორე მოპასუხის საკუთრებად და ქონება იპოთეკითაა დატვირთული.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისი მამა – ჟ. შ-ი იყო მამკვიდრებელ დ. ა-ძის მეგობარი. დ. ა-ძე მეუღლესთან დაშორებული იყო, რის გამოც ჟ. შ-ი უფლიდა მას, სწორედ ამის გამო მამკვიდრებელმა 1984 წლის 23 მარტს შეადგინა ანდერძი და ქონება უანდერძა მოპასუხის მამას, ანდერძი დადასტურებულია ... სადაბო საბჭოს უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ მამკვიდრებელმა დოკუმენტს ხელი მისი თანდასწრებით მოაწერა. ამ ანდერძის საფუძველზე კი, 1994 წლის 24 აგვისტოს სრულიად კანონიერად გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ანდერძის გაუქმების ფაქტს. ოზურგეთის რაიონის ... საკრებულოს 1994 წლის 19 აგვისტოს №6/320 ცნობით ირკვევა, რომ მამკვიდრებლის საბინაო ნიგნში დღეისათვის არაენაა ჩანერილი, შესაბამისად, დ. ა-ძე საბინაო ნიგნში რეგისტრირებული უკანასკნელი პირი იყო. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის ან მისი შვილიშვილის მიერ სამკვიდროს დაუფლებას, აღნიშნულის საპირისპიროდ, როგორც მოპასუხის მამა, ისე – თავად მოპასუხე და ყველა სხვა პირი ქონების ნამდვილი მესაკუთრეა. მოსარჩელე სადავო ქონებას არ უფლიდა არც მამის გარდაცვალებამდე და არც მის შემდგომ, მას ქონების დაუფლების სურვილი მხოლოდ 23 წლის შემდგომ გაუჩნდა. მოპასუხის განმარტებით, მოთხოვნა ხანდაზმულიცაა;

2.2. მეორე მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ მარტივი/მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი წარადგინა. მიუთითა მხოლოდ ის, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები არ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებებით, შესაგებლის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმულიცაა.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

## **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და სარჩელის უარყოფა/პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

1.2. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით მსჯელობის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონიერება, ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნებზე და განმარტა, რომ მოსარჩელეს მოთხოვნილი ჰქონდა ი. ფ-ვისა და ე. ა-ის მიერ სადავო უძრავი ქონების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა იმგვარად, რომ ეს უკანასკნელები დავაში თანამოპასუხეებად არ ყოფილან ჩაბმულები. მათი სხდომაზე მოწვევის გარეშე ნასყიდობის ხელშეკრულებების კანონიერების შემოწმების შემთხვევაში კი, ი. ფ-ვა და ე. მ-ი ვერ შეძლებდნენ საკუთარი საპროცესო უფლებების დაცვას. პალატის დასკვნით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 85-ე მუხლის მოთხოვნები, რის გამოც მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სად.

1.3. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და მიიჩნევენ, რომ არ არსებობდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა. კასატორთა მოსაზრებით, მოსარჩელეს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მიმართ არ გააჩნია იურიდიული ინტერესი, ვინაიდან იგი არა ქონების დაბრუნებას, არამედ თანხის ანაზღაურებას ითხოვს, ამასთანავე, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნებით ირღვევა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რადგანაც მოსარჩელეს მიეცემა სარჩელის აღძვრისას დაშვებული შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა.

## **2. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

2.1. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საპროცესო სამართლის ნორმათა მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა, შესაბამისად, პალატის შეფასებით სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო შეჩერდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის დოსპოზიციაზე. ხსენებული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. საქმის მასალებით უდავოა, რომ ხსენებული ნორმის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წინაპირობებთან არ გვაქვს საქმე, რაც შეეხება „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ წინაპირობას, დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამარ-

თლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც შებოჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (მრავალთა შორის იხ. სუსგ №ას-543-506-2017, 31 ივლისი, 2017 წელი).

2.2. საკასაციო პალატა, საკითხის სწორად შეფასების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს თავად სარჩელის საგანსა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადებისას განვითარებულ მოვლენებზე: მოსარჩელემ თავდაპირველი სარჩელით სასამართლოს 2017 წლის 21 მარტს მიმართა. სასამართლომ მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 16 მაისის განჩინებით დანიშნა და გამართა არაერთი სხდომა. მოსარჩელემ განკარგა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული უფლებები და 2017 წლის 13 ივნისს დააზუსტა სარჩელი, სადაც მოპასუხეებად დაასახელა მ. ში და ნ. ტ-ძე, ხოლო მოთხოვნები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

– .... სადაბო საბჭოს მდივნის, ა. ვ. ასული მ-ძის მიერ 1984 წლის 23 მარტს დამონმებული დ. ა-ძის ანდერძის (რეესტრის №126) ბათილად ცნობა;

– მ. ე-ძის მიერ დამონმებული, 1994 წლის 24 აგვისტოს ანდერძისმიერი სამკვიდრო მონმობის (ფორმა №11, რეესტრის №1-295) ბათილად ცნობა;

– სანოტარო აქტის – მ. ე-ძის მიერ დამონმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების (რეესტრის №1-1887) ბათილად ცნობა;

– მ. შ-სა და ი. ფ-ვას შორის 30.10.2012წ. დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

– ი. ფ-ვასა და ე. მ-ს შორის 10.02.2014წ. დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

– ე. მ-სა და ნ. ტ-ძეს შორის 06.07.2016წ. დადებული უძრავი ქონ-

ნების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

– მ. შ-ისათვის, სამკვიდრო ქონების განკარგვის შედეგად, მიღებული სარგებლის – 365 250 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრება.

2.3. დაზუსტებული სარჩელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად, ჩაბარდათ მოპასუხეებს და სასამართლომ მიიღო მათი შესაგებლები.

2.4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის წესსა და წინაპირობებს. ხსენებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია, მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა. სასამართლოს ხსენებული უფლება არ არის შეუზღუდავი და იგი მხოლოდ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების მიზანს უნდა ემსახურებოდეს (სსსკ-ის მე-200 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის (განცხადების) მიღების შემდეგ საქმე მოსამართლის განსახილველია, საქმეს ამზადებს მოსამართლე, ხოლო თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმე კოლეგიურმა სასამართლომ უნდა განიხილოს, მაშინ საქმეს ამ სასამართლოს ერთ-ერთი წევრი ამზადებს, რათა დაჩქარდეს მისი განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა). სამოქალაქო სამართალწარმოება, განსხვავებით მაგ: ადმინისტრაციული საგან, შეზღუდულია მხარის მოთხოვნითა და სარჩელში გადმოცემული ფაქტებით, ბუნებრივია, სარჩელის ბუნდოვანების შემთხვევაში, მოსამართლემ სწორედ მოსამზადებელ ეტაპზე უნდა შესთავაზოს მხარეებს, შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარდგენილი წერილობითი მასალები ((სარჩელი, შესაგებელი), სსსკ-ის 203.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ასევე, წარადგინონ დამატებითი მტკიცებულებები (სსსკ-ის 103.1 მუხლი), თუმცა, მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, მოთხოვნა გარდაქმნას, არამედ მან მხოლოდ შეკითხვების დასმით უნდა გამოარკვიოს, თუ რა სურს მოსარჩელეს და რომელ ფაქტებზე ამყარებს საკუთარ მოთხოვნას, ამასთან, მოსამართლის აქტიურობით არ უნდა დაირღვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-5



მუხლებით რეგლამენტირებული დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები.

2.5. საკასაციო პალატა მიუბრუნდება დაზუსტებულ სარჩელს და აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ საქმის მომზადების ეტაპზე ჩამოაყალიბა, თუ რისი მიღწევა სურდა სამართალწარმოების გზით. ამის შემდეგ მოსამართლის მოვალეობაა გაარკვიოს სარჩელი ფორმალურ-პროცესუალური თვალსაზრისით შეესაბამება თუ არა კანონის მოთხოვნებს (ვინ, ვის, რას თხოვს), დადებით შემთხვევაში კი, საქმის არსებითად განხილვის შედეგად განსაზღვროს მოთხოვნის მატერიალური საფუძვლიანობის საკითხი. როგორც საქმიდან დგინდება, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განსახილველად მომზადების ეტაპის დასრულებამდე მოსარჩელეს სადავო ქონების უკუქცევა არ მოუთხოვია (ამ გაგებით მოთხოვნის ადრესატი იქნებოდა ნ. ტ-ძე მისი არაკეთილსინდისიერად მიჩნევის შემთხვევაში), არამედ მხარე მხოლოდ მ. შ-თვის ითხოვს ქონების ეკვივალენტური თანხის დაკისრებას (მასთან მიმართებაში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი თეორიულად იქნებოდა სკ-ის 992-ე, 408.1 და 412-ე მუხლები ან 982.1 და 979.1 მუხლები). ამ კონტექსტში სრულიად მართებულია კასატორ ნ. ტ-ძის პრეტენზია ჩუქების ხელშეკრულების შემდგომი გარიგებების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობის თაობაზე. აქვე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღიარებითი მოთხოვნის დასაშვებობა სამართლის საკითხია და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს მხრიდან შემონგებას ექვემდებარება (სუსგ [დიდი პალატა] გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, ასევე, სუსგ-ებები: №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.). ამ კონტექსტში საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილებას, სადაც პალატამ განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელების მოთხოვნაა წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება), ე.ი. მათ მიერ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელია აღძრული. მოთხოვნის საფუძვლების დადგენისა და შემონგების შემდეგ, გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტი-

ლების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება.“ ამ განმარტებიდან გამომდინარე, როდესაც აღძრული არ არის წმინდა აღიარებითი სარჩელი, ამასთან მოსარჩელე არ ითხოვს „გარიგებათა ჯაჭვში“ მონაწილე ბოლო შემძენისაგან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, დაუსაბუთებელია რა გავლენას მოახდენს „გარიგებათა ჯაჭვის“ შუა რგოლის პირების ჩართვა დავის შედეგზე. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 422.1 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის თაობაზე საფუძველს მოკლებულია.

### **3. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაიდან არ არსებობს ამავე კოდექსის 385-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეს ხელახლა განსახილვად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

### **4. პროცესის ხარჯები:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, მ. შ-ს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 6 000 ლარის გადახდა, ხოლო ნ. ტ-მემ ამავე ოდენობით თანხა გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. მ. შ-ისა და ნ. ტ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა გამომუცხადებლობის შედეგები

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-620-2021

13 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე,  
ვ. კაკაბაძე

**დავის საგანი:** უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა, უძრავი ქონების ყადაღისგან გათავისუფლება, მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. დ-მა (შემდგომ – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ი-ის“ (შემდგომ – პირველი მოპასუხე), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომ – მეორე მოპასუხე, აპელანტი, კასატორი), ზ. ჩ-ის (შემდგომ – მესამე მოპასუხე), ლ. ჟ-ისა (შემდგომ – მეოთხე მოპასუხე), ი. ბ-სა (შემდგომ – მეხუთე მოპასუხე) და მ. ჯ-ის (შემდგომ – მეექვსე მოპასუხე) მიმართ, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის, უძრავი ქონების ყადაღისგან გათავისუფლებისა და მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვის თაობაზე.

##### მოპასუხეების პოზიცია:

2. პირველ მოპასუხეს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენია.

მეორე-მეხუთე მოპასუხეებმა წერილობით წარგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს, ხოლო მეექვსე მოპასუხემ სარჩელი საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე ცნო.

### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:**

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ..., მე-5 სართულზე, ბინა №48-ში (ს/კ ...) მდებარე 60.22 კვ.მ უძრავი ქონების მესაკუთრედ და ზემოაღნიშნული ქონება №A17102238, №A17111972, №A17128049 და №A18094089 სააღსრულებო საქმეების ფარგლებში დადებული ყადაღისაგან გათავისუფლდა. სარჩელი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მოვალეთა რეესტრის შეზღუდული უფლებიდან ამორიცხვის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მეორე მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

### **სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება:**

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე მოსარჩელის (მონინაალმდეგე მხარის) შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო აპელანტის სააპელაციო საჩივარი, ამ უკანასკნელის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, რაც მეორე მოპასუხემ საჩივრით გაასაჩივრა.

### **სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები:**

6. სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის განჩინებით, მეორე მოპასუხის საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 241-ე და 233.1 მუხლებით და განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის განსახილველად სასამართლო სხდომა 2021 წლის 25 თებერვალს, 11:00 საათზე ჩაინიშნა, რის შესახებაც, აპელანტს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა სასამართლო უწყება, რომელიც ორგანიზაციის კანცელარიის თანამშრომელს – ლ. ფ-ძეს 2021 წლის 28 იანვარს ჩაჰ-

ბარდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის 11:00 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის წარმომადგენელი, რომელიც სხდომის დროისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ გაფრთხილებული იყო სათანადო წესით.

8. აპელანტის მტკიცებით, პანდემიით გამოწვეული გარემოებებიდან გამომდინარე, სხდომის დისტანციურად წარმართვის გონივრული ვარაუდი ჰქონდა და ვინაიდან, სასამართლოს უფლებამოსილი პირი არ დაუკავშირდა, მიიჩნია, რომ სხდომა სხვა დროისათვის გადაიდო.

9. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 215-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებზე და განმარტა, რომ სააპელაციო განხილვის თითოეული ეტაპი ცნობილი იყო მხარეებისთვის, მათ გადაეგზავნათ საქმეში არსებული მასალები და ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თარიღისა და განხილვის ფორმის თაობაზე.

10. სააპელაციო სასამართლომ „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელ ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაციის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტა, რომ სასამართლო უფლებამოსილია, უზრუნველყოს სხდომაზე მხარის დისტანციურად მონაწილეობაც, თუმცა, სადავო შემთხვევაში, სასამართლო სხდომა დანიშნული იყო სხდომათა დარბაზში და იმ შემთხვევაში, თუ მხარეს სურვილი ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო დისტანციურად, სასამართლოსათვის უნდა ეცნობებინა.

11. სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ აპელანტი სხდომა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე სათანადო წესით იყო გაფრთხილებული. ამასთან, მას სასამართლოსთვის წინასწარ სხდომის გამოუცხადებლობისა ან დისტანციურად მონაწილეობის სურვილის შესახებ არ უცნობებია, რაც საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საფუძველია.

#### **საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

12. აპელანტმა (მეორე მოპასუხემ) საკასაციო წესით გაააჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად და საქმის ხელახლა სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

13. კასატორის მტკიცებით, იგი სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით გაფრთხილებული არ იყო. მართალია,

სასამართლო უწყება აპელანტს ჩაჰპარდა, მაგრამ სასამართლო უწყებაში აპელაციის აღმძვრელ პირად მითითებული იყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (მერია), შესაბამისად, აპელანტი ვერ ივარაუდებდა მის სამოქალაქო საქმეში აპელანტის სტატუსით დაბარებას, ეს კი ადასტურებს სასამართლოს მხრიდან აპელანტის არასათანადოდ გაფრთხილების ფაქტს, კერძოდ, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დასაბარებელი პირის ვინაობისა და სტატუსის ზუსტად მითითების ვალდებულების დარღვევას.

14. კასატორის მითითებით, 2021 წლის 25 თებერვლის სასამართლო სხდომის დისტანციურ რეჟიმში გამართვის მოლოდინი არსებობდა, ვინაიდან მანამდე ყველა სასამართლო სხდომა მისი მონაწილეობით დისტანციურად წარიმართა.

15. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლის თანახმად, სასამართლო სხდომის დისტანციურად გამართვისთვის სურვილის შემთხვევაში, მას სასამართლოსათვის თავად უნდა მიემართა. კასატორის განმარტებით, როდესაც სააპელაციო სასამართლო, იუსტიციის საბჭოს მითითების შესაბამისად, ყველა შემთხვევაში, პანდემიიდან გამომდინარე სხდომებს დისტანციურად მართავდა, სხვა ვერაფერს ივარაუდებდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება (რომლითაც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება) უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი უცვლელად დატოვების კანონიერება.

18. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მა-

ტერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

19. საკასაციო პალატა კასატორის არგუმენტების გაცნობის შემდეგ მიიჩნევს, რომ ამ კუთხით მას დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარუდგენია.

20. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტის სააპელაციო საჩივრის განხილვა 2021 წლის 27 იანვრის განჩინებით, 2021 წლის 25 თებერვალს, 11:00 საათზე, დაინიშნა.

21. აღნიშნულის შესახებ აპელანტს გაეგზავნა სასამართლო უწყება, რომელიც ორგანიზაციის კანცელარიის თანამშრომელს – ლ. ფ-ძეს 2021 წლის 28 იანვარს ჩაჰბარდა.

22. სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხის (აპელანტის) წარმომადგენელი. მონინალმდეგე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა გამოცხადებული მხარის შუამდგომლობა და აპელანტის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

23. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს კასატორის იმ ძირითად პრეტენზიებზე, რომლებიც უკავშირდება როგორც მისი წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზს (იყო თუ არა საპატიო აპელანტის გამოუცხადებლობა), ასევე – აპელანტის სასამართლო სხდომაზე სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მონვევას.

24. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს სსსკ-ის 387-ე მუხლი განსაზღვრავს. აღნიშნული ნორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში კი, გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინალმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სხდომაზე და არც გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე არ აცნობა სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, მონინალმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, და-

უსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამავდროულად, ზემოაღნიშნული საპროცესო ღონისძიება ერთგვარი სანქციაა ისეთი მხარისათვის, რომელიც არასაპატიოდ არ ცხადდება საქმის განხილვაზე. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ყველა ელემენტი: ა) აპელანტის გამოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მონინაალმდევე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

25. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინების გაგზავნა სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

26. სსსკ-ის 215.3 მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად მიიჩნევა მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამომწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადე-



ბის წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

27. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის საკასაციო პრეტენზიის თანახმად, პანდემიით გამოწვეული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის განხილვის დისტანციურად წარმართვის გონივრული მოლოდინი ჰქონდა, რის გამოც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა.

28. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, მიუთითებს „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელ ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაციის პირველ მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე (სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ: პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით) და განმარტავს, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო უზრუნველყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა დისტანციური მონაწილეობაც, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მთავარი სხდომა ზეპირი მოსმენით, სხდომის დარბაზში 2021 წლის 25 თებერვალს, 11:00 საათზე დანიშნა და სასამართლომ მხარეებს სათანადო წესით შეატყობინა. საქმის ელექტრონული მასალების თანახმად, აპელანტისათვის გაგზავნილ უწყებაში მითითებულია სხდომის გამართვის ადგილი – სასამართლოს მისამართი (გრიგოლ რობაქიძის 7ა) და სხდომათა დარბაზი (№17).

29. საკასაციო პალატის განმარტებით, მაშინ, როდესაც სასამართლო უწყებაში მითითებული იყო, რომ სხდომა სასამართლოს სხდომის დარბაზში გაიმართებოდა, მოსალოდნელი რისკის თავიდან ასაცილებლად, სხდომის დისტანციურად გამართვის გონივრული მოლოდინის ფარგლებშიც კი, აპელანტის წარმომადგენლის პასიური დამოკიდებულება – მიემართა სასამართლოსთვის და გაერკვია სხდომის ჩატარების ფორმატი, გონივრულობისა და წინდახედულობის სტანდარტს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, აპელანტის წარმომადგენელი მეტი წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში თავიდან აიცილებდა მის საწინააღმდეგო სამართლებრივ შედეგს – დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომა დისტანციურად სააპელაციო სასამართლოში არცერთხელ არ დანიშნულა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი, კასატორი პრეტენზია უსა-

ფუძვლოა და სსსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად ვერ მიიჩნევა.

30. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომლის თანახმად, მას სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია, შესაბამისად, გამოვლენილია სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, აღნიშნულსაც საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიუთითებს, რომ კასატორის აღნიშნული პრეტენზია ურთიერთსაწინააღმდეგოა იმ პრეტენზიის, რომლითაც ეს უკანასკნელი როგორც საკასაციო საჩივარში, ასევე – დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარში აპელირებდა და ამტკიცებდა, რომ პანდემიის გამო გონივრულად ვარაუდობდა სხდომის დისტანციურად წარმართვას და, ვინაიდან სასამართლოს უფლებამოსილი პირი არ დაუკავშირდა, მიიჩნია, რომ სხდომა სხვა დროისათვის გადაიდო.

31. კასატორის პრეტენზიის უარსაყოფად, აღსანიშნავია, რომ სასამართლო უწყებაში, მითითებული იყვნენ მოწინააღმდეგე მხარეები, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო უწყებაში აპელანტად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აღინიშნებოდა (საქმის მასალებში არსებულ სასამართლო უწყების მეორე გვერდზე აპელანტად კალმით მიწერია მუნიციპალური ინსპექცია), აპელანტს, როდესაც სასამართლო უწყება ჩაჰბარდა, შეეძლო იმავე უწყებაში მითითებულ მოსამართლის თამაშემნის საკონტაქტო ნომერზე დაერეკა და აპელანტი მხარის ზუსტი ვინაობა გაერკვია, რაც მას არ გაუკეთებია. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო უწყებაზე მითითებული იყო საქმის ელექტრონული ნომერიც, ამასთან, იმ დროისათვის, აპელანტს, სამოქალაქო წესით განსახილველი მხოლოდ ეს ერთი დავა ჰქონდა.

32. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომლის თანახმად, იგი სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით არ იყო მინვეული.

33. საკასაციო პალატის მითითებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხილეთ: *Azdajic v. Slovenia*, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; *Gankin and Oters v. Russia*, no. 12938/12. 31/05/2016, § 26.). თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით კი მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

34. საკასაციო პალატის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამარტივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია.

35. სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

36. ამრიგად, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შეესაბამება, უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 387-ე, 241-ე, 233-ე, 410-ე მუხლებით

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)